619
1988/2

ISSN 0130—1624

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა

036060
№ 6 1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა



619
1988 /2



საბჭოთა კავშირ-ამერიკის დიალოგი

1 ივნისს კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის საბოლოო საუბარი. დასრულდა განიარაღების, რეგიონული კონფლიქტების, ორმხრივი ურთიერთობის ფართო წრის პრობლემებისა და ჰუმანიტარული საკითხების განხილვა.

საუბრის შემდეგ კრემლში გაიმართა ცერემონია, რომლის დროსაც მ. ს. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა გაცვალეს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების სამოქმედოდ შემოღების სარატიფიკაციო სიგელები და ხელი მოაწერეს ოქმს ამ სიგელების გაცვლის თაობაზე. ისტორიული დოკუმენტი, რომელსაც ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა 1987 წლის დეკემბერში მოაწერეს ხელი ვაშინგტონში, ძალამოსილი გახდა.

გამომშვიდობებისას მ. ს. გორბაჩოვმა და რ. რეიგანმა სიტყვები წარმოთქვეს.

მ. ს. გორბაჩოვი: ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ვემშვიდობებით ერთმანეთს. მინდა ხელი ჩამოგართვათ და ერთხელ კიდევ გითხრათ: კმაყოფილი ვართ იმით, რომ ვიზიტის დღეებში გაიმართა საფუძვლიანი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საუბრები. იყო ადამიანური კონტაქტი, რომელსაც ძალზე ვაფასებთ. დიდი საქმე გავაკეთეთ. ბედნიერ გზას გისურვებთ, ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონო რეიგან.

რ. რეიგანი: ბატონო გორბაჩოვ, ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად ვშორდებით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 6 (617), ივნისი, 1988

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

მიხეილ გორგილაძე. და მაინც პროგლემები.

გიორგი ოზაანელი. ზღვის კაცები.

ნუნუ კუპრეიშვილი. თვალისჩინი.

ოტია იოსელიანი. სული.

ვასილ გვეტაძე. გაელვება.

ანდრე ცისკარიძე. ათენის პროფესორი საქართველოდან.

მიხეილ მორჩილაძე. ჯარისკაცმა გადაარჩინა.

სერგო არაქელიანი. ხოჯა აჰმად აგასის მინაწერი.

თენგიზ ჩალაური. ორმოცდასამი და შვიდი გელურა.

შტეფან ეპშტაინი. ერთი დღე მორის მეტერლინკთან.

გელა ჯიღაური. ინჟინერი მანუჩარ მაჩაიძე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ქინქლაძე

●

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ბაირაკ ვროგლევები

ფოტოები უ. დუბინინასი

ყოველ ქალაქს, სოფელს, მეურნეობას თუ საწარმოს სხვებისაგან განსხვავებული ისტორია აქვს. იგი იწერება ცალკეულ ადამიანთა, მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით. ამის საუკეთესო მაგალითია ოჩხამურის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი.

ბევრის მომსწრე ალამბრელმა უხუცესებმა აი რა მიამბეს:

— ის ადგილები, სადაც ახლა ოჩხამურის საბჭოთა მეურნეობაა გაშენებული, წინათ ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებს შიშის ზარს გვცემდა. მის მიდამოებში გავლას გამოცდილი მონადირეებიც ვერ ბედავდნენ. პატარ-პატარა ბორცვები დაჭაობებული ხეობებით იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი. საუკუნოვანი წიფლის დაბურული ტყე ეკალბარდითა და ხვიარა ფშალით ერთიმეორეში ისე გადახლართულიყო, რომ ჩიტიც ვერ გაძვრებოდა. ტყეში დაბუნაგებული ნადირი სოფლებს არ ასვენებდა. საქონელს თუ იქეთ ჭაობის ბალახი შეიტყუებდა, დაკარგულად ვთვლიდით. კოღოს არ იკითხავთ ახლა? 1929 წელს ხმა დაირხა: მთავრობას გადაუწყვეტია, ოჩხამურის ტყეები გაკაფოს, ჭაობები დააშროს და ჩაის პლანტაციები გააშენოსო. ეს ამბავი დაუჯერებლად გვეჩვენა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ამ საქვეყნო საქმის მონაწილენი გახდნენ ალამბრელები, მუხა-ესტატელები, ხუცუბნელები, წყაროკელები. ქობულეთელთა დასახმარებლად ჩამოვიდნენ რუსები, უკრაინელები, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები და გამეტებით შეუტიეს ოჩხამურის გაუვალ ადგილებს...

მეურნეობაში შემოუნახავთ ყამთა სვლისაგან გაყვითლებული ფოტოალბომი. ერთ-ერთ სურათზე მოჩანს ტყე, ფერდობზე ბრეზენტისა და წყავის ტოტების კარვებია გაშლილი. კარვების წინ ადამიანთა ჯგუფი დგას. ზოგს სვანური ქუდი ახურავს, ზოგს — „ბუდიონურა“. ზოგსაც ყაბალახი მოუხვევია. ჩაცმულობით ადვილად გაარჩევთ მათ ეროვნებას. აი ინტერნაციონალური მეგობრობის ცოცხალი სურათი!

ფურცლავთ ალბომს. აი სურათებზე ათვისებული ფართობები: აგებენ ყაზარმული ტიპის ფიცრულ სახლებს. ველზე ორი ტრაქტორია. ზაფხულია, შილიფად აცვიათ. სახეზე ისეთი მხიარული განწყობილება დასთამაშებთ, შრომასა და ბრძოლაში გამარჯვებულ ადამიანებს რომ სჩვევიათ ხოლმე...

ოჩხამური საქართველოს საბჭოთა მეურნეობებში ერთ-ერთი ფლაგმანია. ამაზე მეტყველებს საკავშირო და რესპუბლიკური ჯილდოები, გარდამავალი დროშები, დიპლომები. კულტურისა და ეკონომიკის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევებისათვის მეურნეობა დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით. შარშან გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ანალოგიური დროშა წელსაც დაიმსახურა (ბოლო ათწლეულში მეხუთედ!) კომბინატმა, რომელიც ამავე დროს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საპატიო დაფაზეა შეტანილი. ამ ხნის განმავლობაში ათი მოწინავე მუშა სოციალისტური შრომის გმირი გახდა, 131 კაცი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

1942 წლიდან 1975 წლამდე მეურნეობას სათავეში ედგა სოციალისტური შრომის გმირი ივანე ფუტურიძე. თევრათ ცეცხლაძე მეურნეობას 13 წლის წინათ ჩაუდგა სათავეში და მას აქეთ კოლექტივთან ერთად ახალ-ახალ შრომით წარმატებებს აღწევს. გარდატეხა მოხდა ინტენსიფიკაციის წყალობით.

მეურნეობაში შეიქმნა შრომითი დინასტიები. ვალერიან არველაძე მეურნეობის დაარსების პირველი დღიდანვე აქტიურად შრომობდა. შვილებიც მამის კვალს დაადგნენ. ვალერიანის სიძე კუჭა სეფისკვერაძე საქვეყნოდ ცნობილი მექანიზატორია. ყოველწლიურად „საქართველოთი“ ას ტონა ჩაის კრეფს. სახელოვანი მექანიზატორი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა.

სუბტროპიკულ ზონაში, განსაკუთრებით მეჩაიეობაში, წლობით ინერგებოდა შრომის ახალი ფორმები და მეთოდები, რადიკალური გარდატეხა კი მაინც არ იგრძნობოდა. ერთი სიტყვით, ხმაური ბევრი იყო, შედეგი ცოტა. წინსვლის გზაზე, უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადადგმულიყო. სიძნელეს ისიც ქმნიდა, რომ ამხელა მეურნეობას არ ჰქონდა თავის საკუთარი ჩაის ფაბრიკა და სხვაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ფაბრიკასა და მეურნეობას შორის დავას ბოლო არ უჩანდა. პიკის დღეებში ფაბრიკა მოზღვავებულ ნედლეულს ვერ ერეოდა, რაც ანელებდა კრეფის ტემპს და ხარისხს უკარგავდა ნედლეულს. ამას ემატებოდა

ისიც, რომ ფაბრიკა ამორტიზირებული იყო, ჩაის გაერთიანებას კი იმდენი სახსრები არ გააჩნდა, საწარმო განეახლებინა.

გარდაქმნამ, ქვეყნის ეკონომიკის განახლების პროგრამამ სოფლის მეურნეობის წარმოებაში გაბედული ნაბიჯის გადადგმა მოითხოვა. ასეთი ღონისძიება გატარდა ნატანების კოლმეურნეობაში და შესანიშნავი შედეგი მიიღეს. ნატანებლებს ოჩხამურელებმაც მიბაძეს. შარშანწინ მეურნეობას გადასცეს ქობულეთის № 1 ჩაის ფაბრიკა. ასე შეიქმნა ოჩხამურის აგროსამრეწველო კომბინატი. მისი შექმნის პირველი დღიდანვე მეურნეობის დირექტორმა ხელი მოჰკიდა ჩაის ფაბრიკის ტექნიკურ გადაიარაღებასა და განახლებას. ამ ღონისძიებებზე დაიხარჯა 270 ათასი მანეთი. ფაბრიკას აკლდა მუშახელი და იგი მეურნეობიდან შეავსეს. როგორც იტყვიან, საქმე საფიქრით აეწყო: ალარც პიკის დღეების სიძნელეები იგრძნობოდა, ალარც პროდუქციის ხარისხი ეცემოდა. შარშან კომბინატში მოიკრიფა 6105 ტონა ჩაი. გეგმის გადამეტებით აწარმოეს 1 116 ათასი მანეთის პროდუქცია.

— როგორი იყო პროდუქციის ხარისხი? — ვკითხე აგროსამრეწველო კომბინატის დირექტორს თ. ცეცხლაძესა და მთავარ აგრონომს ა. დონდოლაძეს.

— დაახლოებით ისეთივე, როგორიც მეჩაიეობის სხვა მეურნეობებში.

დიახ, მეჩაიეებმა დათმეს პოზიციები, დაქვეითდა მზა პროდუქციის ხარისხი. მომხმარებელი ალარ ეტანება „ქართულ ჩაის“. ვის უნდა მოეკითხოს პასუხი? რაოდენობის გამოდევნებამ, თავის გაჭრენის სურვილმა არა მარტო მეჩაიეობაში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც დააქვეითა საქმე. მეჩაიეს აიძულებდნენ, ბევრი მოეკრიფა და რა ექნა — ისიც ასრულებდა დავალებას.

თამარ ყუფუნიამ, სხვა მეჩაიეებმა დროულად ატეხეს განგაში. მოწოდებას თითქმის მთელი სუბტროპიკული ზონა გამოეხმაურა, მაგრამ სიტყვას საქმე არ მოჰყოლია. უზარმაზარ გეგმას არამარტო პროდუქციის გაუარესება, ბუჩქების დაკნინება და გადაქანცვა მოჰყვა.

ჩაის ბუჩქი ცოცხალი ორგანიზმია, მის შესაძლებლობას ისე უნდა გაფრთხილება, როგორც სულიერ არსებას. გამონაკლისი არც ოჩხამურელები იყვნენ. მათგან მოითხოვდნენ შესაძლებლობის მაქსიმუმს და ისინიც მაქსიმუმს იძლეოდნენ, თუმცა ტრიბუნიდან და პრესის ფურცლებზე გაბედულად აცხადებდნენ, რომ პლანტაციების ექსპლუატაცია ასე თუ გაგრძელდებოდა, დაკარგულს ველარაფრით დაიბრუნებდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებისა და 1987 წლის დეკემბერში მახარაძეში რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მიერ მიღებული რეკომენდაციების შემდეგ ოჩხამურელებმა კონკრეტული გეგმები შეიმუშავეს ჩაის პლანტაციების აღსადგენად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. წელს ამოძირკვეს 10 ჰექტარი ხანდაზმული პლანტაცია, სადაც გააშენებენ უხვმოსავლიან „კლონს“. გარდა ამისა, მძიმედ გასხლეს ათობით ჰექტარი.

ამჟამად მეურნეობაში როგორ მიმდინარეობს გარდაქმნის პროცესი? კომბინატის წინაშე დგას მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური კედელი ჯერ კიდევ აბრკოლებს. ახალმა კანონმა საწარმოებს უფლება მისცა თავისი სახსრები და ეკონომიკური ბერკეტები საჭიროების მიხედვით წარმართონ.

მოგეცეთ ლხენა, კანონში ყველაფერი კარგადაა ნათქვამი, მაგრამ ფინანსური ორგანოები ძველებურ შეხედულებებს მაინც ვერ შელევიან. მაგალითად, მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა გაერთიანდა და შეიქმნა ერთი სამეურნეო მექანიზმი, რომლის მთავარი მიზანია კომბინატში უზრუნველყოს ყველა მშრომელის მატერიალური დაინტერესება და შესაბამისად მათი პასუხისმგებლობის გაზრდა. ჩაის ფაბრიკის ცხელ ღუმელებთან დგომა გაცილებით ძნელია, ვიდრე სუფთა და გრილ ჰაერზე, პლანტაციაში. მიუხედავად ამისა, ფაბრიკის მუშას გაცილებით ნაკლები აქვს გამომუშავება, ვიდრე მკრეფავს. ასევე გაცილებით ნაკლებ პრემიას იღებს, ვიდრე მეჩაიე. სად არის ლოგიკა?! კომბინატს საშუალება აქვს, გაზარდოს ფაბრიკის მუშის ხელფასი. რაც გამოიწვევს შრომითი რესურსების დამაგრებას. ფინანსური ორგანოები კი ასეთი ღონისძიებების გატარების უფლებას არ იძლევიან. რატომ? ვანა კომბინატში უკეთ არ იციან ესა თუ ის პრობლემა, როგორ გადაწყვიტონ, რა გზით გაუმართონ ხელი თავის მუშას?

აგროსპეციალისტები შეშფოთებული არიან იმის გამო, რომ ჩაის საკრეფი მობილური მანქანა „საქართველო“ მეტისმეტად მძიმეა. ყოველ სეზონზე რიგთა შორის მანქანის რამდენჯერმე გატარება ნიადაგს ადაბლებს, აჭაობებს, მცენარის ფესვებს აშიშვლებს და აზიანებს. ამიტომ მოითხოვენ მანქანების წონის [illegible] და ტექნიკურ-საექსპლოატაციო პირობების გაუმჯობესებას. უკმაყოფილებას იწვევს ისიც, რომ ხელით საკრეფი აპარატები მძიმე და მეტისმეტად ვიბრაციულია, ცალკეული დეტალები ადვილად ფუჭდება.

მეჩაიეებზე თუ ვფიქრობთ? რა თქმა უნდა, ვფიქრობთ, ვზრუნავთ, მაგრამ საკმარისი ალარ არის ის, რასაც დღეს ვაკეთებთ. ჩვენ მათ შესაძლებლობის მაქსიმუმს ვთხოვთ, მაგრამ საკითხავია, ვუქმნით კი ყოველგვარ პირობებს ამისათვის?

ცნობილია, რომ დიდ საქმეს მუდამ დიდი პრობლემები ახლავს. ასეა ყველა სფეროში, ასეა მეჩაიეობაშიც. ცხოვრება წინ წავიდა, ადამიანებს მანქანები ამოუდგა მხარში, გაიზარდა ანაზღაურება. თავისთავად ცხადია, თითოეულის პასუხისმგებლობაც უნდა გაიზარდოს. რაკი ნედლეულის დამზადების გეგმა შეიკვრება და მისი ღირებულება გაიზარდა, უნდა ვკრიფოთ მხოლოდ აგროწესების მკაცრი დაცვით. ვინაიდან რაოდენობის გამოდევნება დანაშაულია. რაკი პარტიამ კურსი ხარისხის გაუმჯობესებისაკენ აიღო, მისი განხორციელება მეჩაიეთა ხელთაა. ვესაუბრე მოწინავე მეჩაიეებს ე. ბერიძეს, ა. ფუტკარაძეს, ა. ბოროვკასა და სხვებს. ისინი ოპტიმისტურად არიან განწყობილნი: დროა, სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთო.

მკითხველმა ისე არ გაიგოს, თითქოს ოჩხამურელები დღე და ღამე თავაუღებლად მუშაობენ და იმის დროც არ რჩებათ, რომ ცას ახედონ. ადამიანები, რომლებმაც გარემო ჯადოსნური ფუნჯით მოხატულს დაამსგავსეს, შრომასთან ერთად შინაარსიანად ისვენებენ. მაგალითად, მარტო შარშან 110 მუშამ პროფკავშირული საგზური მიიღო, ხოლო 150 კაცმა კოლექტიურად იმოგზაურა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში...

შებინდებისთანავე ცოცხლდება კლუბი, საითაც მთელი მეურნეობის კოლექტივს მიუხარია. შორს გაითქვა სახელი ოჩხამურის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლმა.

როცა ნაძვების ტევრით დაბურული გზით ვბრუნდებოდი, თან მომყვებოდა სასიამოვნო ფიქრები. აქ ტყეც ლამაზია, მთაც ლამაზია, მაგრამ შრომაში გამარჯვებულ ადამიანთა განწყობილებას ვერაფერი შეედრება. ოჩხამური და ოჩხამურელები ამის ნათელი მაგალითია.

მიხეილ გორგილაძე

18707

ტანკერი „მარშალი ვასილევსკი“ მედიდურად მიაპობს ზღვის ტალღებს და ბათუმისკენ მიემართება. ქალაქს თოფის გასროლის მანძილზე რომ მიუახლოვდა, სვლას უკლო. მერე ძრავებიც გამორთეს. ბოლოს, როცა ერთ ადგილზე გაჩერდა, ყველაფერი საზღვაო წესდების სრული დაცვით მოხდა: იგი საბუქსირო კატარღამ დაიბა და ტანკერზე ასულმა ადგილობრივმა ბოცმანმა 50 ათასი ტონა ტვირთტევადობის ზღვის გიგანტი ჩვეული ოსტატობით უხიფათოდ შეიყვანა საზღვაო ნავსადგურის მორკალურ უბეში და ნავთობრაიონის ერთ-ერთ ნავსაყუდელთან დააყენა.

გემისა და ტვირთის ჟურნალში გაფორმება რომ დამთავრდა, ნავსადგურის ნავთობრაიონის უფროსმა გურამ ანდღულაძემ განკარგულება გასცა და მალე ტანკერიდან ნავთობი ვერცხლისფერი სქელი მილებით გაემართა ნავთობგადამამუშავებელი ქარხნისკენ.

გადმოტვირთვა გრძელდება. ტვირთისაგან განთავისუფლებული ტანკერი თანდათან მსუბუქდება, გოჯი-გოჯ იწევს ზევით და უფრო უზარმაზარი ხდება. ტანკერის ეკიპაჟიცა და ნავთობრაიონის კოლექტივიც კმაყოფილია — გადმოტვირთვა შეუფერხებლად მიმდინარეობს. თან ჰიდრომეტეოსადგურის სამსახურიდან მოწვდილ ინფორმაციებს გულმოდგინედ ამუშავებენ: ძლიერი ქარიშხლისა ეშინიათ, რადგან ასეთ შემთხვევაში მუშაობა უეჭველად უნდა შეწყდეს, ტანკერი ღია ზღვაში გავიდეს და შტორმის ჩადგომას დაელოდოს. სამაგიეროდ, ნავთობრაიონელები წვიმასა და თოვლ-ჭყაპს აინუნშიაც არ აგდებენ: ამინდის ამბაური ჭირვეულობა მათ ხელს ვერ შეუშლის.

საზღვაო ნავსადგურის მეორე, სატვირთო რაიონზე ამას ვერ ვიტყვით. იქ მხოლოდ მშრალი ტვირთი ტრიალებს, — შხაპუნა წვიმა და თოვლ-ჭყაპი კი არა, უმნიშვნელო თქორიც რომ ცრიდეს, ზოგიერთი სახეობის პროდუქტებისა თუ ნედლეულის გადატვირთ-გადმოტვირთვა აკრძალულია. აგერ, გუშინ წვიმდა და ამერიკული ხორბლით დატვირთული საბერძნეთის გემი „სემასტერ II“ უძრავად იდგა ყურებჩამოყრილი კვებერთელა ამწეების ქვეშ და გამოდარებას უცდიდა. მეორე დღეს ნისლი გადაიყარა, მზემ გამოაჭყიტა და სატვირთო რაიონიც უცებ გამოცოცხლდა. „სემასტერს“ ფართოდ ახადეს ტრიუმები, დოკერ-მექანიზატორებმა ერთხმად აამოძრავეს ჭრიალა ამწეები და დაიწყო ვაგონების ხორბლით დატვირთვა...

* * *

შარშან საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიხედვით საქართველოს საზღვაო-სანაოსნო (უფროსი ჯემალ ჭიღვარია, პარტიული კომიტეტის მდივანი რევაზ ბერიძე) დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. საქართველოს საზღვაო-სანაოსნო, რომელიც 1967 წელს დაარსდა და ბათუმში მდებარეობს, აერთიანებს ბათუმის, ფოთისა და სოხუმის საზღვაო ნავსადგურებს, სატანკერო და მშრალი ტვირთზიდვის ფლოტს და სხვადასხვა პროფილის სამსახურებს.

ამათგან მოწინავეთა რიგებშია ბათუმის საზღვაო ნავსადგური (უფროსი ალექსანდრე რატიანი, პარტიული კომიტეტის მდივანი ნუგზარ ტუსკია). მიმდინარე ხუთწლედის პირველი ორი, 1986-87 წლის გეგმები აქ 110,2 პროცენტით და თანაც ვადაზე ადრე — 1987 წლის 1 ნოემბრისათვის შეასრულეს. ბათუმის საზღვაო ნავსადგურში, რომელმაც 1987 წელს დაარსების 100 წლისთავი იზეიმა, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა, შედის სატვირთო რაიონი, ნავთობრაიონი, საპორტო ფლოტი, საზღვაო ვაგზალი, სადისპეტჩერო სამსახური, საპორტო მეთვალყურეობის ინსპექცია და სხვა დამხმარე სამსახურები (ელექტრომეურნეობა, საპორტო სახელოსნოები, სარემონტო-სამშენებლო ჯგუფი, კავშირგაბმულობისა და კულტ-საყოფაცხოვრებო მომსახურების უბნები).

საზღვაო ნავსადგურში 800-ზე მეტი კაცი მუშაობს. აქედან 220 კომუნისტია. ნავსადგურის საგემო პოლიტიკა ძირითადად მშრალ ტვირთზეა დაფუძნებული. ამიტომ ნავსადგურის სატვირთო რაიონი ყველაზე მთავარი რგოლია. წელს ბათუმის საზღვაო ნავსადგურს გეგმაში უზის მილიონ 560 ათასი ტონა მშრალი ტვირთის გადამუშავება და ეს უშუალოდ უნდა განახორციელოს სწორედ სატვირთო რაიონის ორასოცკაციანმა შრომითმა კოლექტივმა.

— რეზერვების წყალობით ჩვენ ორი ამდენი ტვირთის გადამუშავებასაც შევძლებდით, — ამბობს სატვირთო რაიონის უფროსი მერაბ კუტუბიძე, — მაგრამ... — მერე, ხელს რაღა გიშლით — გადამუშავეთ!

მერაბს ეღიმება.

— იცით, ჩვენი სამსახური მეტისმეტად სპეციფიკურია; საკავშირო სამინისტრომ საკმარისი გემები თუ არ გამოუშვა ჩვენსკენ. აბა, რა გადავამუშაოთ?! მოკლედ, საზღვაო ნავსადგურმა გეგმები დროზე და გადაჭარბებით რომ შეასრულოს, ამისათვის საჭიროა სამი რამ: ტვირთი, ვაგონები და ამინდი! აქედან ტვირთი და ვაგონები თუ გონივრულად განაწილდება, წარმატება და გამართული მუშაობაც

ზღვის ქაშქები



უზრუნველყოფილი იქნება! მაგრამ ამ სფეროში ხშირად ნამდვილი დომხალია, რაც გადაუჭრელ პრობლემებად იქცა და რაზეც გაუთავებელი ლაპარაკი, მიწერ-მოწერა და დაპირებებია, საქმე კი არა და არ გვარდება.

— ეს როგორ გავიგოთ?

— გეტყვით, გეტყვით! აი, ჩვენმა საკავშირო სამინისტრომ წლის ამა თუ იმ მონაკვეთში, პირობითად რომ ვთქვათ, მაგალითად, დაგვიგეგმა ათასი ვაგონის ტვირთი. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ აგერ, მეორე, რკინიგზის საკავშირო სამინისტრო კი არც გვეკითხება, გეგმაში ისე გვისვამს ათას ხუთას ვაგონს! აღარ არის სამართალი: ჩვენ ამ მონაკვეთში ათასი ვაგონის სამყოფი ტვირთი დაგვიგეგმეს და ხუთასით მეტი ვაგონი რათ გვინდა? აქ ბავშვიც ხომ მიხვდება, რომ იმ ზედმეტ ხუთას ვაგონს ვერ ავითვისებთ! აბა, ერთი მასწავლეთ, რაში გამოვიყენოთ ის ხუთასი ვაგონი: ქვიშით ავავსოთ თუ ღია ზღვაში გავიდეთ, მეკობრეობა დავიწყოთ და სხვადასხვა ქვეყნის გემები ძალით შემოვათრიოთ ჩვენს ნავსადგურში და ის ხუთასი ვაგონი ისე დავტვირთოთ?

— ნუთუ მართლა ასე ძნელია კოორდინირება?

— როგორ გითხრათ?! პრინციპში ძნელი არ უნდა იყოს, მაგას რა უნდა, მაგრამ თითოეული სამინისტრო საკითხს ვიწროუწყებრივი ბარიერიდან უდგება და ზოგჯერ არაფრის გაგონება არ უნდათ, აბა, ამდენ ვაგონებს შე რაღა ვუყოო! ყველას მხოლოდ „თავისი“ სატკივარი აწუხებს. არადა, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საავტომობილო, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტი ერთ სამინისტროში უნდა იყოს გაერთიანებული. ეს ძველი და ცნობილი ამბავია, ამას ზევითაც კარგად ხვდებიან. არის ლაპარაკი, დაპირება, პროექტები, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი ჩანს. ვნახოთ, გარდაქმნის ბულდოზერი იქნებ ამ ციხე-სიმაგრესაც მიადგეს...

— ვაგონებით მომარაგებაშიც შეიმჩნევა ზოგჯერ ხარვეზები, — ჩივის ნავსადგურის მთავარი ინჟინერი ასლან ბოლქვაძე. — ზოგჯერ გვაწვდიან არარიტმულად, შეფერხებებით. ეს განსაკუთრებით იგრძნობა მას აქეთ, რაც ეკოლოგიური თვალსაზრისით ვაგონების სამრეცხაო ბათუმიდან სამტრედიაში გადაიტანეს...

* * *

1987 წლის იანვრიდან საზღვაო ნავსადგური თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსების სისტემაზე გადავიდა. სიახლეს წინ უძღოდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა. გემების, ვაგონებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების დაჩქარებული დამუშავების მიზნით 1986 წელს მოხდა დოკერ-მექანიზატორთა კომპლექსური ბრიგადების გამსხვილება. იჯარული შრომის ფორმამ მოიცვა ნავსადგურის მუშათა 85 პროცენტი. სიახლემ ნაყოფი გამოიღო: შარშან მშრალტვირთიანი 308 გემიდან დროზე და ვადაზე ადრე გადმოიტვირთა 301 გემი და ამ გზით 2000-მდე გემ-საათი დაიზოგა. იმავე პერიოდში ნავსადგურის დოკერთა ხელში გაიარა 25 072 ვაგონმა, რომელთა ოპერატიულმა დამუშავებამ 10 102 ვაგონ-საათის დანაზოგი მისცა ნავსადგურს. ეს ყველაფერი ერთად აღებული კი ათი ათასობით მანეთის მოგებაა.

შარშან ივლისში ყველა კომპლექსურმა ბრიგადამ ადმინისტრაციას ხელშეკრულება დაუდო: თუ ბრიგადის თუნდაც ერთი წევრთაგანი დაარღვევდა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინას, მაშინ მთელი ბრიგადა უარს ამბობდა წლიური პრემიის ათ პროცენტზე, საბედნიეროდ არც დისციპლინა დარღვეულა და არც საწარმოო ტრავმა მომხდარა. სამაგიეროდ ადმინისტრაციამ დოკერებს წლიური პრემიები ათი პროცენტით გაუზარდა.

— ვინ არიან მოწინავე დოკერ-მექანიზატორები, — ვეკითხები ნავსადგურის მესვეურებს, — შემახვედრეთ რომელიმე მათგანს.

— ო, ძალიან ძნელია რომელიმე მათგანის დასახელება, — თავი შორს დაიჭირა მთავარმა ინჟინერმა, — რადგან თითქმის ყველანი მოწინავენი არიან. არ იფიქროთ, რომ ვაზვიადებდე. არა, უბრალოდ ჩვენი სამუშაო ისეთია, რომ აქ ლოთი, ცუღლუტი, სხვისი მოიმედე და დაღლარა ვერ იბოგინებს — ზღვის კაცები ცოტა სხვანაირი რანგისა და ყალიბისანი არიან. ლოთობაო! რომელ ლოთობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აგერ, სულ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იაპონიის ძვირადღირებული ამწეებითა და ურთულესი მოწყობილობადანადგარებითაა აღჭურვილი რაიონი. კაპიტალისტი კი ჩვენი ნათლიმამა როდია, რამეზე თვალი დახუჭოს და ხელი ჩაიქნიოს. გემი გრაფიკის ზუსტი დაცვით უნდა დაიტვირთ-გადმოიტვირთოს. და თუ ჩვენი მიზეზით რაიმე შეფერხდა, ყველაფერს მისხალ-მისხალ გვიანგარიშებენ. ამიტომ აქ თავისთავად ისეთი გარემოება იქმნება, რომ გინდა თუ არ გინდა, სულ ნამუსიანმა, მშრომელმა და უღალატო კაცებმა უნდა იმუშაონ. ჰოდა, აბა, ვინ დავასახელო და ვინ გამოვტოვო?! კეთილი, დაგისახელებთ. მოწინავეა ცვლის ბრიგადირი, საქართველოს სსრ პრემიის ლაურეატი რომან კობახიძე. მაგრამ სხვა ბრიგადირებმა — ნოდარ წულუკიძემ, ზურაბ ზაქარაძემ, ამირან ახვლედიანმა რაღა დააშავეს, არც ისინი არიან სხვებზე ნაკლები! ანდა, ცვლის ბრიგადირები და დოკერ-მექანიზატორები ავიღოთ: შოთა მეგრელიშვილი, ნიკოლოზ ფენგლერი, გურამ კახიძე, ზაურ ზაქარეიშვილი, რევაზ გორგილაძე, პავლე იშხანიდი, ოთარ თავაძე, ნიკოლოზ ვასილიევი. მერაბ, კიდევ ვინ — შენ ხალხს შენ უფრო კარგად იცნობ!

— მიხეილ დოლაბერიძე, ლევან ბერიძე, ვლადიმერ სალოვი, — განაგრძო საუბარი რაიონის უფროსმა მერაბ კუტუბიძემ, — იური გუბიევი, ეპიფანე შანიძე, ვალერი აფიტულინი... როგორც ატყობთ, ჩვენი კოლექტივი ინტერნაციონალურია!.. შემდეგ, მცირე მექანიზაციის ჯგუფის მექანიკოსი თემურ მგალობლიშვილი, „ჰარტმანის“ კომპლექსის მექანიკოსი ჟან გალუსტიანი, ამწეების ჯგუფის მექანიკოსი რამაზ გოგიტიძე... არ კმარა!? აი, ძირითადად ის ხალხი, რომელთა მოუღლელმა მარჯვენამ, ოფლმა და კაცურმა შეგნებამ წელს მილიონ ნახევარზე მეტი ტონა ტვირთი უნდა გადაამუშაოს და დროულად გაუყვნოს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს.

* * *

უცხო თვალისათვის ნავსადგური ყოველთვის საინტერესო საყურებელია. დილის ცხრა საათზე კი მაინც განსაკუთრებულია: ამ დროს ახალი ცვლა მოდის! უყურებთ სპეცტანსაცმელში გამოწყობილ, ლაღად, ხუმრობა-ხუმრობით მომავალ ვაჟკაცური გამომეტყველების გარუჯულ დოკერს და გრძნობთ, რომ ზღვის კაცები მართლაც ცოტა სხვანაირი რანგისა და ყალიბისანი არიან.

გიორგი ოზაანელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალის რიგი



ლალი ჭანტურია, ნუკრი კაპანაძე, ციალა შურღაია



ეკთანი მარინა ავდიევა

ბატივცემულო ციალა ეკიმო!

ის დიდი ბედნიერება, რაც თქვენ მომანიჭეთ, ენით გამოუთქმელია. მე დღეს ხელმეორედ დავიბადე. ჩემთან ერთად ბედნიერია მთელი ჩემი ოჯახიც. გჯეროდეთ, ამ სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ...“ ან კიდევ: „ოქროსხელა დასტაქარო, ბევრს აჩუქე თვალისჩინი, თვალმრუდენი, კოხტა ქალო, დღეს სწორ თვალით შემოგცინით...“

ეს ბავშვის სათუთი და გაურანდავი ხელით დაწერილი სამადლობელი ყველაზე დიდი ჯილდოა ქალბატონი ციალასათვის.

რამდენ პატარასა და მათ მშობლებს აჩუქა „სწორი თვალით“ დანახული ბედნიერი დიმილი ამ მართლაცდა ოქროსხელა დასტაქარმა.

ორმოცი წელია, ყოველ ცისმარე მოიჩქარის აქეთკენ, დაუღალავი და მხნე ნაბიჯებით, პირზე განუშორებელი დიმილით. აქ მას ყოველთვის დიდი იმედითა და კრძალვით ელიან, ელიან პატარები, მათი მშობლები. კოლეგები.

მის სამუშაო კაბინეტში რომელი კუთხიდან ჩამოსულს არ ნახავთ, რა ასაკისა და ეროვნების ბავშვს არ შეხვდებით.

სტატისტიკა არც თუ ისე სახარბიელო ცნობებს გვაწვდის დღეს-დღეობით მთლიანად მსოფლიოში და, მათ შორის საქართველოშიც, ბავშვთა მხედველობის მდგომარეობის შესახებ. დასამალი არ არის, რომ ჩვენთან ყოველი მეხუთე ბავშვი ახლომხედველია. ხშირია თვალის სხვადასხვა დაავადების შემთხვევებიც.

ყოველივე ამაზე უარყოფით გავლენას ახდენს მხედველობითი ინფორმაციის მოზღვავებული ნაკადი — წიგნი, კინო, ტელევიზია. მხედ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ველობაშია მისაღები აგრეთვე გენეტიკური ფაქტორიც. ამიტომ ექიმის რჩევას, სწორად და, რაც მთავარია, დროულად დასმულ დიაგნოზსა და მკურნალობას, ბევრი გართულებისა და უსიამოვნების თავიდან აცილება შეუძლია.

გ. ტარსაიძის სახელობის თვალის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს საკონსულტაციო პოლიკლინიკაში რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ციალა შურღაია ბავშვთა მხედველობის დაცვის კაბინეტს ხელმძღვანელობს. მის გვერდით ტრიალებენ და პატარა პაციენტებს დიდი მზრუნველობით ეპყრობიან ამავე საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ლალი ჭანტურია და ნუნუ ოვაშვილი.

კარებთან მოზღვავებული რიგი რომ დავინახე, უნებლიედ გავიფიქრე: — „ნუთუ, ყველა დღეს უნდა გასინჯოს ციალა ექიმმა?“

მართლაცდა, მისი სამუშაო იმდენად დაძაბულია, წესით თხუთმეტ ბავშვზე მეტს არ უნდა დებულობდეს, თუმცა ეს ციფრი ზოგჯერ სამჯერ თხუთმეტსაც აღწევს. ან კი რა გული მოუთმენს, როცა ზოგიერთი ბავშვი რაიონიდან ჩამოყავთ, ზოგიც ისე პატარაა, რიგსაც ვერ „იტანს“. ამიტომ ხშირად სამუშაო საათების შემდეგაც უწევს მუშაობა. არც დასვენების დღეებია მთლიანად მისი „საკუთრება“.

— ყველაფერი შემიძლია გადავდო, მაგრამ როცა საქმე ბავშვის მხედველობას ეხება და ზოგჯერ მართლაც რომ საათებიც საშურია, ღალატი ყოვლად დაუშვებელია, — ეს ქალბატონ ციალას სიტყვებია.

როცა ამას ამბობდა, რატომღაც მომეჩვენა, რომ იმ წუთში მისი თვალებიდან ახობით და ათასობით ბავშვის ხხივიანი თვალი იხედებოდა.

... დროდადრო კარისკენ აპარებს თვალებს. ეტყობა, წუხს, რიგი ცოტა ჩნით რომ შეეყოვნდა. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და თითქოს მოიბოდიშაო, ისე თქვა:

— ამ ერთსაც გავუშვებ, ჩვილი ბავშვია!

კარგა ხანს გულდასმით სინჯავდა პატარა პაციენტს, მშობელს რჩევა-დარიგება მისცა და კვლავ მომიბრუნდა.

თავის თავზე ბევრი არაფერი უთქვამს, უფრო მეტი სხვებმა ილაპარაკეს. ეს სხვები კი მისი კოლეგებია, მშობლებია, ვის გვერდშიც ტრიალებს, ვის შვილებსაც მკურნალობს.

რაკი საკუთარ თავზე ლაპარაკს ასე ერიდება ეს მართლაც მარჯვენადალოცვილი ადამიანი, მის შესახებ გავეხაუბრე საავადმყოფოს მთავარ ექიმს გიორგი ჩიქოვანს, მის მოადგილეს ლალი ჭანტურიას, პოლიკლინიკის გამგეს ნუკრი კაპანაძეს. მათ მონათხრობში ვიგრძენი ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რითაც ექიმი ციალა შურღაია კოლეგებში სარგებლობს.

და განა მარტო აქ, თავის სამსახურში უქებენ ქალბატონ ციალას კაი ქალობას? ... შინაც, ოჯახშიც, შესანიშნავი დედა, ბებია და დიასახლისია. ხახლშიაც ვეწვიე და ეს ყველაფერი აშკარად დავინახე.

— ჩემი დათო და გოგი, ჩემი ნიკუშა და ლევანი, — ასე იწყებოდა და მთავრდებოდა ქალბატონ ციალას წამოწყებული ყოველი საუბარი.

საოჯახო ალბომის თვალიერების დროს ერთ ფოტოს წავაწყდი: ქალბატონ ციალას მიხაკებით ასაჩუქრებენ ჩემთვის უცნობი ადამიანები. ფოტომ ძალიან დამაინტერესა.

საქმე კი, თურმე აი რაში ყოფილა.

... ესპანეთში იმხანად საბჭოთა ტურისტების ჯგუფი ჩასულა. სულ რაღაც ერთ თვეში მალაგას სტადიონი მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებდა. ქალბატონ ციალას, რომელიც ჯგუფს ახლდა, სურვილი გასჩენია, თავისი თვალით ენახა სტადიონი, სადაც მისი შვილი—საქვეყნოდ აღიარებული ფეხბურთელი დავით ყიფიანი, სულ რამდენიმე დღეში მსოფლიოს სხვა სახელოვან ფეხბურთელებთან ერთად ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავდა.

და აი საბჭოთა დელეგაციის ერთმა ავტობუსმა გეზი მალაგას სტადიონისაკენ აიღო. მაგრამ რეკონსტრუქციის გამო სტადიონის დათვალიერება შეუძლებელი გახდა. მაშინ ტურისტებმა მის მესვეურებს უთხრეს, რომ ჯგუფში იმყოფებოდა დავით ყიფიანის დედა.

თქვეს ეს და, ესპანელები სიხარულით შემოეხვივნენ გარშემო ქალბატონ ციალას.

ეს ფოტოსურათი კი, რომელზეც ზემოთ ითქვა, გემზეა გადაღებული: მახპინძელმა ფირმის წარმომადგენელმა ქალბატონ ციალას ციხფერი მიხაკები მიართვა.

ვინ იცის, იქნებ ლევანმაც, წელს რომ ამთავრებს სპორტულ სკოლას და ფეხბურთელობაზე ოცნებობს, თავის საყვარელ ბებიას კვლავ განაცდევინოს ასეთივე სიხარული...

ტელეფონმა დარეკა. საუბრიდან შევიტყვე, ქალბატონ ციალას ახალნაოპერაციევ პაციენტთან იბარებდნენ. „ყველა საქმეს გადავდებ, ბავშვს კი ვერ ვუღალატებ“, — მომაგონდა მისი სიტყვები და წასახვლელად მოვემზადე. მოვდიოდი და ვფიქრობდი: ოღონდ მშვიდობა იყოს და სანამ ასეთი ექიმები არიან ჩვენს გვერდით, პატარების თვალსაჩინს საფრთხე არასოდეს დაემუქრება.

ნუნუ კუპრეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტია იოსელიანი

ლეკი

მოთხრობა

ვითომდა რა ყურადსაღებია, რა მოხდა ისეთი და ქვეყანა დეიქცა! რაღაცა სტუმარმა — უცხო ადამიანმა გზად გამოიარა... გაუჭირდა თუ დაულხინდა... მიზეზი ექნებოდა აპა, ისე, უმიზეზოდ და უნაიროდ ახლა კი არა, ყრუობა და უგუნურობა რომ იყო, მაშინ არაფერი ხდებოდა.

გამოიარა, ღამე გაათია... აპა, რაიზა ვართ მოსახლე და ოჯახიშვილი, მტერი ვიცით და მოყვარე, სტუმარი და მაინძელი. მაგი დღეს კი არა, მართლა ჭურში რომ ვიჯექით და თვალახოული გვეთქმოდა, მაშინ არ შეგვშლია!

...მარა, მაინძელმა რომ მაინძლობა იცის: დახვედრა, პურ-ღვინო, ლოგინი და თავ-სასთუმალი... შენ თუ სტუმარი ხარ... თან, თურმე, განათლებულ კაცად თავი მოგაქვს (განათლება და თანამდებობა დღეს ვის უკვირს), შენც შენი ადგილი უნდა იცოდე, დიდთან დიდი უნდა იყო და პატარასთან პატარა. იმნაირი რავა უნდა წამოტორტლო, ვერავინ ვერაფერი გაგიგოს, ან პატივისცემა და ამაგი წყალში ჩაყარო! ცოტაა, შე მამაცხონებულო, სალაპარაკო და ენის მოსაფხანი? თუ კარგის თქმა გიჭირს და ავენა ხარ, პირზე ხელს არავინ გაფარებს, აგინე მავანი და მავანი, ათასია გადამთიელი და ათი ათასი მტერი და დუშმანი. დღეს დღე არაა, რომ რადიო და ტელევიზია, გაზეთი და ჟურნალი არ აქიაქებდეს იმ ქვეყნებს, პრეზიდენტებსა და ვიცეპრეზიდენტებს, ჩვენი რომ არ ეყურებათ და თავისაზე ჯორივით დგანან. ახლა ის დრო ხომ არაა, არ იცოდე დედამიწის ზურგზე... ზურგზე კი არა, შიგ გულში რა ხდება და ზეცაში რა ალიაქოთია, არაფერი გეყურებოდეს!

რომ მოდგები, შე ოჯახაშენებულო, და იმნაირს იტყვი, არავის რო აღარ ახსოვს, ხომ უნდა დაფიქრდე? ხომ უნდა მოისაზრო, სადა ხარ, რა დროში და რა სოფელ-ქალაქში... მართლადა, ის დრო ხომ არაა და ქვეყანა ჩალით დახურული?!

მართლა და მართლა, ხალხი ცხოვრობს აქ, ადამიანები და, ავისა და კარგის, თეთრისა და შავის გარჩევა იციან... იმნაირი რავა უნდა დეიჩემო და ითავცემო, რასაც, ჭკუა რომ გადაიბრუნონ, ვერავინ ვერაფერს გაუგებს...

სულს ვეძებთო!..

მოიცა, მოიცა, ჯერ გულზე ხელი დაიდე, სინდის-ნამუსს უხმე და მერე ილაპარაკე! რას ნიშნავს „სულს ვეძებთო“?!

სული თუ გიდგათ, ის გვინდოდა გაგვეგოო!.. რაფერ ავხსნათ ეს და რანაირად გამოვამეცნიეროთ?! მართლადა, ბნელა და თვალში ვერ ვიხედებით, თუ რაა, ეს, ბოლოს და ბოლოს!

ჯერ ერთი, თუ ნამდვილი გვინდა, საქმეს ძირისკიდემდე უნდა ჩავყვეთ.

როგორც მთელი სოფელი ამბობს,—სოფელს ასი თვალი და ასი ყური აქვს და დაეჯერება, — ის, ბარდღა მიქაშავიძის სტუმრები, ბარდღასთან არც ჩამოსულან. საიდანღაც გამოუვლიათ, თუ გაუვლიათ... მანქანა გაფუჭებიათ... მაინც, ეს მანქანები, ახალთახალიც რო იყოს, მაშინათვე ფუჭდება და ნაწილს, ან წესიერ გამკეთებელს, ეშოვი? ბარდღა ჩალიჩობს რაღაც-რაღაცეებს. თავის ძველ „მოსკვიჩს“ აფოხიალებს: შლის, აწყობს, აკერებს ქუშტს ქუშტზე, ადუღებს, ფხეკავს, ხეხავს, თითხნის... გაჭირვება რას არ გასწავლის. ის კი არადა, ხალხს ისიც უთქვამს: „გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო“. ხალხი იტყვის, რა ენაღვლება, ენას აუბამ თუ აღვირს ამოდებ. კიდო კაი, ეს ახალი ნათქვამი არაა. ახლა, მადლობა ღმერთს, აღარც გაჭირვებაა და აღარც დედოფლები.

ჰოდა, მარტო ბარდღას და მის მანქანას ჭირს უსაშველო? ისეა სხვებიც და მეზობლობაში თუ მტერ-მოყვარეში, სანდო შემკეთებელ-გამკეთებელი რო ჭირს... ახლა, არც ბარდღა მიქაშავიძეა მთლად წმინდა წყლის დამლევი, რიცხავს ვინმე ან ორიანს დაუწერს? მეხუთეს... მეექვსეს... მეშვიდეს... ზოგს ტყუილა — უფასოდ (წინგახედულად) ხათრი-მათრით, დეიდაშვილ-მამიდაშვილობით... და, რო გააჩვია ხელი და გააჩვია, ყოველთვის უფასოდ და უარაფროდ... მოგეხსენებათ, ცარიელ ქოთანში ხელს იმ ყრუობის დროსაც არავინ ურევდა, ახლა მაგის ჩიტი ვინღაა! ბარდღამაც რომ გაუგო გემო ამ ხელის ჭუჭყს... ჭუჭყი უძახე შენ!.. დღეს შენ ნაშრომსა და ნაცოდვილარს კი არა, სხვისასაც... თუ დაგვანება... ის დრო აღარაა, უარს რომ ვამბობდით: „რაც არ გერგება არ შეგერგებაო!“ მშვენივრად ვირგებთ და კარგა ლამაზადაც ვინელებთ. ის კი არადა, ქონსაც ვიდებთ — წინ ვიხედებით: გვედოს ეს ქონი რა, რატომ უნდა ვეგონოთ მტერსა და დუშმანს მშიერ-მწყურვალი და უმწყემსურ-უპატრონო! აბა, ისაა კაი, გალეულ-გამწლეული რომ ძლივს დალასლასებ და სული კბილით გიჭირავს?..

ჰოდა, სულიო!

„სული თუ გიდგათო, იმის გაგება გვინდაო“... ამისანა რაიმეს რო ჭკუათმყოფი, აქაურებზე იტყვის და ამისათვის გზა-შარაზე აღოღდება, დააბნევს და გააოცებს სოფელ-ქვეყანას, აპა რა მოუვა!

და, სწორედ ამ „სულზე“ და „სულის თაობაზე“ დაიბარა დღეს ბარდღა მიქაშავიძე ენუქიმ. ენუქი სოფლის, აქაურობის თავკაცია და მის სათავკაცოში რა ხდება, ვის რა გაუგებრობა და არევ-დარევა მოაქვს და მიაქვს, მან უნდა იცოდეს. ამისათვის ჰყავს გამოძახებული ბარდღა, ამისათვის გადადო ყოველნაირი გადაუდებელი საქმე და თვალი გზისკენ უჭირავს. ენუქის არ უნდა გამოეპაროს ამ სოფელში, ჩიტი რომ ჩიტია, საიდან მოფრინდა, საით მიფრინავს, რისი სული უდგია და, საერთოდ. რა ჩიტია! გამოგეპარება, ვერ გაიგებ და: „ამხანაგო! საქმეს თავს ვერ ართმევ, მოუქნელი ხარო!“. დაგდებენ ქონიან ნიჩაბზე, ამოგართმევენ სულს!

იმათ კი აქეთ უკითხავთ: „სული თუ გიდგათო!“ დღეს ის დრო ხო არაა... რაში რას ვეძებთ, რას არ ვპოულობთ და ღდინს ვაცლით, მაგრამ „სული“ რა სიტყვა-პასუხია! „სულს ვეძებთო“, რას ნიშნავს?! ისმება, იჭმება, სახლს აგიშენებს თუ დაგიხურავს, მანქანას გიყიდის თუ ბენზინად ჩაასხამ; თანამდებობაზე დაგნიშნავენ, თუ გაზეთში გამოგაცხადებენ? მანქანა რომ გაუფუჭდათ, ნაწილი და გამკეთებელი ეძიეს თუ „სული?“ გადაგრევს ეს ხალხი, ენუქის აპა რა მოუვა!

მაინც, რით ავხსნათ, თორემ, კი ბატონო. „სული თუ გიდგათ, ის გვინდოდა გაგვეგოო“ ვსვამთ, ვჭამთ, გვაცვია, გვახურავს, სახლი გვაქვს, კარი გვაქვს. ეზო, მართალია ერთი მტკაველაა, მარა ხო გვაქვს? ღობე-ყორე არა, მარა რკინის გალავნები გვაქ შემორტყმული: სად ჰქონდა ეს ჩვენ ძველებს და იმათ ედგათ სული და ჩვენი ამბავი საკითხავია — გვიდგას თუ არა? ვინმე სხვას კი არა, ასეთი სიტყვა-პასუხი ენუქისაც დააბნევს: „რაღაცა მოწყობილი არ იყოსო, — ერთი გაფიქრება ესეც იეჭვა. — ვაითუ შემთხვევით გამვლელ-გამომვლელები მართლა არ იყვნენო!“ არადა, ყველაფერი აწყობილი და მოწესრიგებული აქვს. სოფელს უჭირს თუ ულხინს, პატრონი ენუქია. მაგრამ რა უჭირს, რაა ახლა ისეთი, რომ გაჭირვება დაერქმევა. ვითომ ელექტრონი არაა, თუ რადიო და ტელევიზორი, მაცივრები არ უდგათ სახლში თუ ზოგიერთებს ეზოში მანქანა. ახლა, თუ იმის კითხვა უნდათ, ვიღაცა ოხრებია: „საიდან, რით, რა შემოსავალ-გასავალითო“. მართლადა, ყრუობა ხო არაა, მარტო ხელფასს ხომ არ მივაჩერდებით? ბაღი გვაქვს, ბოსტანი გვაქვს, ყანა და საქონელი... ასე თუ დავწვრილმანდით და ყოველი ნაგავი და ნეხვი ვქექეთ, რა განათლება და დიდსულოვნება გამოგვივა. „ამყოლს აყევი, დამყოლს დაყევი და გახვალ გასავალსო“, არ გაუგონიათ მაგ ოჯახქორებს! ქიციც უნდა იცოდე და ქიცმაცურიც...

სადაა მაინც ამდენი ხანი ეს ბარდღა უკუღმართი. მანქანის ქვეშ იყო, ალბათ, შემძვრალი და. სანამ გაზუზნული დაიბანს და დაივარცხნის, ჩაიცვამს და დაიხურავს... ვითომ რაიმე მაგ ბლუს წამოაცდენინეს და იმან დააეჭვათ? „რა ხალხი ხართ, რისი სული გიდგათო?!.“ მარა, მართლადა, ის ძველი ბრიყვობა და უგუნურობა ხომ აღარაა? ბარდღას, თუ უმაღლესი არა, ტექნიკუმი აქვს დამთავრებული და, თუ აგრონომობისა არაფერი გაეგება, ის მაინც ხომ იცის, რა აკეთოს და რა თქვას.

აა, აგერ ისიც! და... მაგას თუ შეეშალა რაიმე ან მაგის სტუმრებს, ენუქის არაფერი ეშლება. ახლავე, აგერ აბანოში გამოჩნდება თეთრი და შავი...

— ბარდღა!

— ბა-ატონო!

— გადაკეტე, ერთი, მაგ კარი!

— მა-აგას რა დიდი ამბავი უნდა...

— მოდი, აგერ დაჯექი და მითხარი, რაა რომ მთელი სოფელი ამაზე ყაყანობს? მე რაიმე გამომეპარება? რა არ ვიცი... მოდი, დავანებოთ თავი ყველაფერს.

— და-ავანებოთ.

— და შენ ის თქვი, რაის „სულიო“?

— რი-ისიო და...

— ჰო, ჰო! რა სული და გულიო?! რა უსულობა და უგულობა შეგვამჩნიეს, რა გვჭირს ჩვენ მაგნაირი?!

— არა, უ-უგულობა არ უთქვამთ... უ-უგულობა, ღმერთწინაშე, არა...

— აპა, ეს „სული“ რა არიო?

— ე-ე, მაგი იყო, რა-აჟდენიჩ, რო ვერ გევიგე.

— რა ვერ გეიგე, კაცო, სახლში გყავდნენ... მგონი, იმ ღამეს დარჩნენ, ხო?

— რა ე-ექნათ, აპა, კრე-ესტავინას, რაჟდენიჩ. სად ვიშონიდი? ისე იყო ორივე ჩაშლილი და ჩალეწილი. ე-ერთი რო გაფუჭდება, ხო იცი, მე-ეორეს მაშინათვე მოსპობს.

— მაგას ჩვენებურად რაღაცა სხვა ერქმევა.

— ჯვართა-ავაო! თვითან თქვეს. მაგი თბი-ილისშიც ძნელი საშოვარიაო.

— აპა, აქ შენ სად გამოუჭედავდი, რო მოგადგნენ?

— რა ე-ექნათ. პროფილაქტიკა იმ დროს სად იყო. გვიან ჩამოსულან. მა-არა, ადრეც რო ყოფილიყო, კრე-ესტავინას ვინ ჩამოუსხამდათ. ისე, რა-აჟდენიჩ, ჩამოვარდებოდა კარდანი და დეილეწებოდნენ, ჩემთან რო არ მოსულიყვნენ.

— საიდან მოვიდნენ? საით ვიყავით და სად მივდიოდითო?

— მთა-აშიო... იქ გზა სულ ა-აღარ ყოფილაო...

— რა დაკარგეს და რას ეძებდნენ?

— რა-ა ვიცი... ქვეყნის უბედურება და სა-აზოგადოების აზრიო...

— საზოგადოებრივი აზრი დაკარგეს და იმას ეძებდნენ?

— რა ვი-იცი... რაჟდენიჩ, ხვარ ჩა-ავაცივდებოდი და ვერ ვკითხე.

— შენთან საიდან? იცნობდი, გიცნობდნენ...

— არა, მა-არა, გზაში რო გოუკითხ-გამოუკითხიათ: არაა ვინმე ქრისტიანი, სახლში რო ა-კეთებდეს, რაც ღირს გა-ადოუხდითო...

— სახლში აქ, ჩვენ, რაღაცა, ჩვენთვის... ჩვენთვის კი არა, შენთვის.. ამისთვის ვერ გიჭერთ და... ასე საქვეყნოდ და საზოგადოების საქმეს?..

— ა-არა, რაჟდენიჩ, იმგენსაც ისე უთქვამთ, თავისთვისო... ჩე-ემზე უთქვამთ: თავისთვისო, მარა გაჭირვებულს რა-აცხას გაგიხერხებსო... და ჩემი სახელი და გვარი ხო უნდა ეთქვათ? „უ-უიმეო!“ — ამ ჩემ ნათლისშვილს შემოურტყია თავში ხელი.

— რომელი და რა ნათლიე გყავდა, ბარღდა, შენ!

— რა ვი-იცი, რაჟდენიჩ, მე რო არ მახსოვს დედაჩემიდან ვიცი, განაგონი, ბა-აბუაჩემს რო იჭერდნენ, თურმე, გული გახეთქია და ჩვენი ჭირი წაუღია, ხო-ო უნდა მევენათლეთ...

— ბაბუაშენს რო იჭერდნენ იმ დროში მღვდლებსა და ეპისკოპოსებს სანათლავად და წირვა-ლოცვის გასამართავად დაასეირნებდნენ? რას მელაპარაკები მე შენ, ბარღდა. და ვინ გგონივარ!

— რა-აჟდენიჩ, ღვდელი, გონია, არც ქე ყოფილა, რაცხა, ნადიაკვნარი... ასე ამბობდა დედაჩემი, თვარა მე თო-ოთო ვიყავი. იგიც, — თუ-ურმე, თლად თელი ჭკუის არა... ისე, ჯვარი ქე ქონდა ვერცხლის, მარა უ-უძეწკოთ და უჯაჭვოთ, კისერზე ზორტით ჩამობმული.

— მირონი, ვითომ, მცხეთიდან ჩამოუტანეს თუ ალავერდიდან?!

— რა-აცხა ზეთი ექნებოდა, მარა ვინ დე-ეძებდა, ოღონდ მიცვალებული დეემარხათ.

— კი მარა, მაგი მაშინ ვერავინ გეიგო, ისე მოხდა?

— აჰ, ჩვენ მტერს, რო გეეგოთ! მე-ეზობლისას, ღამე ჩუმათ, კარჩაკეტილ ოთახში, თუ საცხა, ნა-აალიის ქვეშ შემოფიცრულში. მე-ერე, თურმე, იმ ჩემ ნათლიასაც ვერ ქონია საქმე კარქათ.

— აბა, ბაღნებს თუ ნათლავდა და რელიგიის პროპაგანდას ეწეოდა, თავზე ხელს ვინ დოუსვამდა!

— რა-აცხა ამნეირი მიზეზი ექნებოდა, ალბათ, და ერთ დღეს.. დღეს კი არა, ღამეს, ცოლშვილიანათ გაპარულა. ა-აგერ ცხოვრობდენ, თურმე, ახლა ნიკიფორეს შვილებმა ქსნის აგურის სახლები რომ წამოჭიმეს, მაგათი ნაეზოვარია.

— კაი, კაი, ჯანდაბას სად ცხოვრობდნენ და ახლა ვინაა მაგათ ნაფუძვარზე, მარა გაპარვამ და გაქცევამ უშველათ?

— რა ვი-იცი, ქალაქში, თურმე, თავიდან ვერ მიაკვლიეს და მერე, ერთხანს, დაჭერა რო შეჩერებულა, ნათლიაჩემს მუშაობა დოუწყია. ისე, ე-ეტყობა, მაინც ეშინოდა და ომი რო დეიწყო, მაშინათვე წასულა მოხალისეთ. ი-იღბლად ქე დაღუპულა და ამით ცოლ-შვილსაც შველებია, ო-ომში გმირულათ დაღუპულის ოჯახს ხელს ვინ დაა-აკარებდა.

— ჰოდა, ეს იმის შვილია, მარა რა მინდაო?

— რა და, ქე გი-ითხარი, ვერ გევიგე, საზოგადოე-ებრივი აზრი და მაშინა...

— მანქანა რო გაუფუჭდათ, მაგი კი არა, ისე რაო, საზოგადოებრივი აზრით... რა მინდაო, რა არ მომეწონაო, რისი „სულიო“... თუ, რა გევიგოთ აქედან?!

— რა და... რა-აჟდენიჩ...

— არა, რომ მოვიდნენ, დასარჩენად მოვიდნენ? რავა შეატყვე?

— ხო ვუ-უთხარი, მაგას ახლა სად ვიშოვნით-თქვა... არც ქე მინდოდა, ღმერწინაშე, რო მაშინათვე გემეშვა, თვარა, სადაც მეორე დილას რა-აცხა მოვუხერხე, იმ ღამესაც ხო შემეძლო.

— რა შეგეძლო, გქონდა ნაწილი?! ჩემ მანქანის ქვეშ რო ურაკუნებს, არ იცი მაგი?..

— არა, რა მქო-ონდა, მარა ძველი, გამონაცვალი ხო მეყარა, ან იმას ხო აქვს... და ამისას იმაზე გადავიტან, იმისას ამაზე გა-ადმოვანცოფ, ორი-სამი უვარგისის რაღაც-რაღაცეები გამოდგება... გა-ამოდგება ასე, რო სახლამდე მიაგორებს, ღერძი გზაში არ ჩამოუვარდება და არ დალეწავს...

— კარგი, კარგი. მერე, რა გვნებავს, თვალში რა არ მოგვდისო?!

— რა-ავა ხართო? რა-ანაირათო...

— მაინც, როგორ უნდა ვიყოთო, რა გვირჩიეს?

— რა-აა და.. ვთქვათ: ჭიშკარი რა უყავით მამაპაპურიო...

— აჰა, ჭიშკრიდანვე დოუწყეთ!

— კი, რა-ავარც მევიდნენ.

— მერე, შენ რა უთხარი?

— ვუ-უთხარი, ხისას და ჩელტისას რკინის არ ჯობია-თქვა?

— კარგად გითქვამს! მერე, რაიო, არ ჯობიაო?

— ა-არაო...

— მამა უცხონდა!

— ა-ასე თქვეს და...

— რაო, რატომო?..

— შე-ნი, შენებური ჩელტი ჯობია სხვის რკინასო.

— ეს რკინა, ვითომ, რატოა სხვისიო?

— რა ვი-იცი... პატარა ქეც დევიბენი, რა-აჟდენიჩ, იმ ჭიშკრის რკინების საბუთი კი არაფერი... შენც იცი, ი-ისე, ჩემი ხელით გავაკეთე...

— ჩემიც რო გააკეთე, მაგას არ იტყოდი, რა თქმა უნდა.

— ა-არა, რაჟდენიჩ! და, ამას გარდა. ღმერთწინაშე, — ა-არც უკითხავთ.

— მაგი მასე იქნებოდა... კიდევ რაო, კიდევ?

— კი-იდო... ღობე სადღააო, ღობის ღობე, ან ხიმის მესერიო?!

— აგერ, რკინის გაკრიალებული ზაბორები რო გვაქვს, ნაკლებიაო?

— კი-ითხე შენ! „ეს რა უბედურობაა, სოფლები რას დააგვანეთო!...“ — ა-არადა, რაჟდენიჩ, ქე იცი, მაგ ზაბორის კრასკა ავტოქარხნიდან ძლივას ვიშოვნე. შეენზაც იქიდან გამევიტანე...

— თვიდან?

— თა-ავიდან ჩემზაც არ მეყო.

— ჰო, ჩვენთვის, მარტო ჩვენთვის... და ჩვენი ეზოს გადაღმა რომ არ ვიყურებით... საზოგადოებისთვის რო არ ვზრუნავთ... უფროსი არ ვიცით და უმცროსი...

— უ-უფროსი და უნცროსი რო ვიცი... მე-ერე შენიც ხო გავახერხე... ახალი წასმული გეგონება, აგერ, რამდენი წლისაა და... ტარასიეს და არქიფოს რო ჩვენი მაღაზიის ტალახით აქვენ გაკრასკული, ორ წელიწადში ჩამეირეცხა.

— ალბათ, იმიტომ თქვეს... ის არ მოეწონათ...

— ი-იქით არც გოუხედიათ, რაჟდენიჩ, „სა-ახლი სახლს არ გავს... ან აივანი სადა აქვს, ან სვეტი და რიკული; კიბე კიბეს თუ გავს... გათლილი ქვის, ან ხის კიბეები იცოდნენო...“ რა ვი-იცი, ვითამ იმდენი ვიწვალე, ვიხლაფორთე და...

— მერე, მე რო მეუბნები, იმგენს ვერ უთხარი?

— რა მე-ეთქვა, რაჟდენიჩ, ახლა... იცი, არც ხის მასალის, არც ბლოკის და ცე-ემენტის საბუთები რო საყოფათ არა მაქვს, ხმის ამოღების ქე მე-ეშინია.

— ხო, ვინმე ინტრიგანი არ იყოს, მარა... მაგი, მაგას თუ გონია, მე არ მიკითხავს ზევით და ასე, ჩემ ჭკუაზე, რაც მინდა და რავარც მინდა...

— ჰო-ოდა, მანდამაინც არ გვე-ერჩიენ, ხოო?

—არა, კაცო! მაგათ, ბაბუაშენს რომ აკულაკებდნენ, ის დრო ხო არ გონიათ, ახლა, სახალხოდ და სალაპარაკოდ კი არა, მარა ისე კი მითხრეს: შენ, რავა, ბრმა და ყრუ გგონივართო? ვერ ვხედავთ, ან არ გვეყურებაო? შთლად ნამეტანს ნუ იზამთ, თვარა... აგერ, მრავალსართულიან სახლს რომ ვაშენებთ და იმ უბანში საკუთარი

ოდები სოკოებივით იზრდება, გგონიათ ჩვენ მართლა სოკო გვგონიაო?..

ამაზე ბარდღას სიცილი აუტყდა. სიცილი კი არა, რაღაც სიხარულ-შესწრებული კუჭკუჭი, რომელიც იმდენად სასაცილოს გამო კი არ გემართება, უფრო სასურველის, თუ ნანატრის ახდენის სიამე რომ წაგკიდებს.

— ნა-ანატრ დროში ვართ, რაჟდენიჩ, ნა-ანატრში...

— და, მაგენი ვინ არიან?... ან, მე ვინც მითხრა, იმას იმაზე ზემდგომმა არ უთხრა? მაგი მე მკითხე, შენ, და გეტყვი, არავისი არ გვეშინია ჩვენ და საზოგადოების აზრიც ისაა... მაგათ თუ სხვა რაიმე...

— აჰ, ა-არა! მაგი არა და... არც მგონია მაგნეირ რაიმეს რო ეძებდნენ... ი-ისე წუხდნენ...

— რაზე და რანაირად?

— რა-აფერ გითხრა... რა-აცხა... მგლოვიარეთ რო იქნები... ახლობელის და-აღუპვაზე... თუ, ვერ გეტყვი, ამნეირი რო არ მინახავს და გამიგონია, რა გითხრა. „სუული დაიღუპაო, სულიო!“ ამაზე იყვნენ ნამეტანი უგუნებოთ.

— ეს ეზო-ჭიშკარი, ღობე-ყორე...

— ჰო, მა-ართლა!.. „ყორე სადღააო, აქ ქვიანი ადგილია, ყორეები იცოდნენ და სადააო?!“

— ახლა ყორეები მომთხოვა?!

— რა დროს ყო-ორეა, ბატონო-თქვა, ხვლიკები და უ-უხსენებლები იცოდა-თქვა.

— მერე, ხვლიკიც კარგიაო?!

— ხვლი-იკიც კარქიაო!..

— ხვლიკი და უხსენებელიო?!

— გი-ინდა დაიჯერე, რა-აჟდენიჩ, გინდა არა, ასე კი თქვეს და...

— მერე, მაგენს უსმინე?

— სტუ-უმრები იყვნენ, რა მექნა. მა-აგი კი არა, კრამიტი რა უყავითო, რო ჩამაცივდნენ... პეტერე ქე შემეშინა, სახურავის შიფერიც... ქვითარი ქე მაქ, მარა ნა-ახევარისაა, მეორე ნახევარი უსაბუთოა. „ისლი, ყავარი და კრამიტი სადღააო!“ ი-იმიზა წუხდნენ. საბუთები და ამნეირი რაიმე არც უხსენებიათ, მა-არა კაცს რომ წელი არ გაქს მაგარი, გიჭირს, ი-იღუნები...

— საბუთებს თუ არ თხოულობდნენ, ელაპარაკათ, რას დაეძებდი...

— კი-ი, მარა, „რისი სული გიდგათო!“ „რისი სული გაქვთო?“... ვე-ერაფერი ვერ ვუთხარი, რა ვიცი, რისი სული გვიდგას, რა-აჟდენიჩ?

— არა, შენ ეს თქვი, რაიმე გლახა ხომ არაფერი წამოგაცდეინეს?

— რა ვიცი... რი-ისი სული და... სული გვიდგას და კა-არქათ ვართ-თქვა, აპა რა მეთქვა.

— მერე?

— მერე, უ-არესი, რაჟდენიჩ, „სული... საერთოთ, სული თუ იცით რააო? მაგასო, თუ გა-აგიგონიათ რა ერქვაო“.... სა-სა... რამდენი მიმეორეს და ვიმეორე... შეიცა, მეიცა.. „სა-აფშვინველიო! ხო, ხო საფშვინველიო! და, ესო, თუ იცით რააო. თუ გაგიგონიათ, რომ ადამიანს სული უნდა ჰქონდეს, უმისოდ შენ, ეს რკინის მანქანა და ჯვართავა ერთი ხართო“ — და-მაბნიეს, ისე და-ამაბნიეს, გინატრე: ნეტა ახლა რაჟდენიჩი იყოს აქ, ის გე-ეტყოდათ-თქვა...

— რომ არ დამიძახე და არაფერი გამაგებინე...

— არაფრით არ ქნეს, თვარა არ მინდოდა? მა-არტო შენ კი არა, კიდო ჩემი ბიძაშვილები და შვილის ნათლიებიც მინდოდა. არ ქნეს: „თუ ვინმეს კრამიტის სახურავი და ღობის ღობე აქვს, დოუძახეო“. სადაა ახლა ღობის ღობეები, კრამიტის და ყა-ავრის სახურავები?!.

— კაი, ეს ვითომ გასაგებია... მაგრამ სული რააო? და ღობესთან ან კრამიტთან სულს რა ესაქმებაო?

— ვე-ერ გევიგე, რაჟდენიჩ, და ამიტო გინატრე, შენ იმწამს მიხვდებოდი. ი-ისე, ერთმანეთს ეპუტუნებოდენ და მეყურებოდა: „რა გვეშველება, რომ სული ცხვირში გვიდგას და წინ არ ვიხედებით, ასე ხომ გადავგვარდებით და გადავშენდებითო!“

— რაო? რკინის ღობე, შიფერის სახურავი და ურიკულო, უაივნო სახლები გადაგვაშენებსო?!

— რა ვი-იცი და... ეს მაშვინ. მაშინას რო ვაკეთებდი... სახლში რო შევედით... რა-აფერ გითხრა, რაჟდენიჩ, და, ცოლი მოეწონათ ჩე-ემი...

— ცოლი? ცაცა?

— ჰო, ა-ამასო, ჯერ კიდო უდგია სულიო!

— სხვებს რა გჭირთ, დახოცილხართო?!

— ა-ასე გამოდის.

— ცაცამ რა უთხრა, ან რა ქნა ასეთი?

— რა გი-ითხრა... ცაცას ამბავი. ი ფეხი ხო აწუხებს...

— ხო, ფეხი... მარა ეს მოეწონათ?

— ა-არა, ის კი არა... რავა არ იცი, ქვეყანას შეჩივის და შეტირის... ქე გეემახსოვრება, მაგის თხოვა რავა მინდოდა, მარა... მერე, ისე რომ შეგვექნა საქმე, შენც ვერაფერი მემეხმარე... გითხარი, იმ გადაღმა ვენახსაც რკინით შემოგიღობავ-თქვა, მარა ვერ ქენი...

— ჩუ! ქალი დააორსულე და მერე მომადექი?

— ა-აპა, ხელი რომ არ დემეკარებია, მანამდე ეზოში ძალით კი არევინ მიგდებდა.

— შენ იგი თქვი, იგი, რა მოეწონათ.

— რა-ა და, ეს ჩემი ქა-ალბატონი ხო ყველას შეჩივის... ვითამ, ჩემი ჯინიზა: „გათახსირებულია, ბატონო, ქვეყანა. ადამიანი ადამიანს ვერ ენდობა, სიტყვა სიტყვა არაა და პირი პირიო!“ ვითომ მე ჩამომინაკრავებს, სიყვარული რო შემომფიცე და მე-ერე გატეხეო.

— რაზე დაჭირდა ცაცას ეგი, რა კითხეს ასეთი?

— „რო-ოგორ ბრძანდებით, რავა ხართო?“ — ხო მეიკითხეს. მაშინათვე მო-ოხსნა ცაცამ პირი: „რაღა ვბრძანდებით! თქვენი მტერი იყოს ისე. ჩვენ რო ვართო. პა-ატიოსნება და სინდის-ნამუსი ჩვენ არ გაგვაჩნია, სულისაგან გაფცქვნილი და გაღლეტილი ვართ, ვჭამთ, ვსვამთ, ვაშენებთ, ვღობავთ, მარა ჩვენია? ჩვენ ვცხოვრობთ, გ-გგონიათ?..“ ხო-ო იცი ცაცას ამბავი, რო გარეკა და გარეკა. არ დააფჩენია ამ ჩემს სტუმრებს პირი? თა-ავიდან, მე რო პირში წყალი ჩამიგუბეს...

— და რაო, ცაცას უდგია კიდევ სულიო?

— ა-აპა! ამ ქალს კიდევ უდგია სულიო და ქვეყანა ჯერ კიდევ არ დაღუპულაო!

— და, ცაცა გადაარჩენსო?

— ცა-აცა და ცაცასთანები გადაარჩენსო!

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ.

— თა-ავიდან არც მე მეგონა... ჩო იცი, რაჟდენიჩ, არიან ამნეირი ხალხი. შარშანწინ, ზაფხულში, დუშიჯო ახალმინას იყო ერთი მხატვარი. [illegible] ამბობენ თვარა, იმას არაფერი ეტყობოდა. ამ გა-აჩირაღდნებულ სახლებს სულ არ უყურებდა, ისიდორე ტყაბლაძეს რო დაფეხვილი ძელური ჰქონდა, იიმას ხატავდა და ხატავდა. ვი-ის რათ უნდოდა ისიდორეს გადაფერდებული, ბიჯგებით გამაგრებული როკის ქოხი! თვითონ ისიდორე ახალს იშენებდა და დროებით ხარ-ძროხა ყავდა შიგ... ა-არი ამნეირი ხალხი... და მიზა ვუთხარი: ბატონებო, მაგი ცოტა ავადმყოფი ქალია და ყური არ უგდოთ-თქვა, მარა გაგიგონია, ამის მერე მე აღარვინ მიგდო ყური „მაგას, ეტყობა, ფეხი ტკივა, თვარა, თქვენსავით ტვინი კი არაო“. ჰოდა, ქე ყო-ოფილა ახლა რაღაცა ექიმობა, იქნება ქე ესაშველოს-მეთქი, ვითამ, რა მითხრეს, ვერ გევიგე და დახმარება შევაპარე. „მაგი არაფერიაო, დამაშოშმინეს, მეცნიერ-ება წინ მიდის: ფეხი, ხელი, თვალი და ცხვირი სწორდება...“

— ცხვირი სწორდებაო თუ მოკლდებაო?

— გრძე-ელი მოკლდებაო, მოკლე გრძელდებაო და მალე ახალ ყურებს მოგაკერებენო. მარა ჭკუას რა ეშველება, ტვინი რო კოჭლობს, იმას რო ა-არაფერი უშველის, რა ვქნათო?

— რატომ კოჭლობს ტვინიო?!

— სუ-ულგამოცლილიაო!...

— სულს ტვინში რა უნდაო?! — გაიოცა ენუქმა და ღრმად ჩაისუნთქა.

— სუ-ული მუცელში რო გვიდგას, ამას რა ეშველებაო. მე ჩემს გუნებაში ვთქვი, — ამის გაგება ენუქისაც გოუჭირდება-თქვა და ა, ბატონო, ა! ა-ასე აგიხდა ყოველი კაი. ჩვე-ენ რო გვგონია, ავშენდით და დავშვენდით, იმ კაცებმა, „სული სულ არ გიდგათ, რა გეშველებათო!“

— მერე, მაგენს უყურებ შენ?

— არ-არა, მარა... მაგიზა ავაშენე იმხელა სახლი?! რა ვიცი, რა წელებზე არ დევიდგი ფეხი, რა არ ვიწვალე და ვიმამაძაღლე. მე ქვევით, ერთი პატარა ოთახიც მყოფნის, იგენი მაღლა ავაბრძანე, მოხატულ და შოპრიალებულში... ახედ-დახედეს და, კედლებზე ე ბრჭყვიალა რა წაგისვიათ, თვალები დაგვთხარეო? და ერმანეთს გა-ადოულაპარაკეს: „უსულობა ადამიანს სადამდე მიიყვანსო!“ უ-უსულობაა, რაჟდენიჩ, ოქროსფერათ აბჟღვიალებული ლუსტრა და კედლები? რა-ვი-იცი... რა გვიჯდება მაგი და რა მა-ქინაციებით რას ვმოულობთ...

— ი, ბრონზე მთლად ოქროსავითაა და მაგი თუ არ მოეწონათ... არაა მაგენი კაი ხალხი!

—ა-არც მაგი და, დახატული როა, არც ის, „რავა და-აგითითხნიათ აქოურობა, წაგესვათ ერთი უბრალო ფერი, შესულიყავით და გეცხოვრათ, ან ამდენი ოთახები რათ გინდათ, ჩვენი ბაბუა-ბებიები იმდენი შვილითა და შვილიშვილით ერთ თვალ ოდაში ეტეოდნენ, თქვენ რა უსაშველო გაგიჩნდათო! ა-ამიზა ყიდით სულსო?!“

— სული როდის გაყიდეთო? ვინ რა მოგცათო?!

— ჩე-ემმა ცაცამ მაცალა? „სად გვქონ-

(დასასრული 3ე-16 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაკვეთილი

ტიციან ტაბიძის ბოლო დღეები

ვასილ გვეტაძე

ათასცხრაასოცდაჩვიდმეტი წლის ზამთარშიც ჩვეულებრივი ამინდები დაიჭირა ტაიგაში. ცივი, სუსხიანი ქარი რომ შემოუბერავს, ჭახჭუხი გაუდის ერთიმეორეში შეყინულ ტოტებს.

ასეთ დროს ციმბირელები ამბობენ, ტყეს ძვლები ემტვრევაო.

რკინიგზის ლიანდაგის გარდიგარდმო, ორივე მხარეზე, თოვლით გადათეთრებული ტაიგაა. გაყინულ, თეთრ ღამეში ტყე ბრჭყვიალა დეკორაციებით მორთულ უზარმაზარ სცენასა ჰგავს, მით უმეტეს მაშინ, როცა ორთქლმავლის ცხელი ღუმელიდან ენასავით მოსარსალე სინათლე გარშემო მიმოეფინება და დათოვლილ ხეებს ძაგძაგით გადაევლება კენწეროებზე.

მატარებელი მიდის, ერთბაშად ამოვარდნილი შავი კვამლი გარშემო იფანტება ბოლქვა-ბოლქვად. ეტყობა, შეღმართია აქ, გზის ამ მონაკვეთზე, და ორთქლმავალს უჭირს.

ყოველ შემთხვევაში, ეს ასე ჩანს და ამაშიც არაფერია უცხო და უჩვეულო.

ასეა თუ ისე, მიდის მატარებელი ჩვეული ჩიქჩიქით, ერთნაირი, მონოტონური სიჩქარით. თუმცა ერთ ვაგონში დიდი ჩოჩქოლია. და ეს ყველაფერი მთავრდება იმით, რომ ვაგონიდან ძალისძალად გადაჰყავთ კაცი.

მატარებელი აგრძელებს გზას და შემკრთალი, შეძრწუნებული კაცი ტრიალ, ამოცარიელებულ სივრცეში მარტო რჩება, თავისი თავის ანაბარა, ქვეყნიერებისაგან ცოცხლად მოკვეთილი. რანაირი თვალებით იყურება ახლა ის მიმავალი მატარებლისაკენ, არავინ იცის.

და ამაშიც არაფერია უჩვეულო, რადგან ძნელია და არ მოხერხდება ციმბირის ჩაშავებულ, კუნაპეტ ღამეში ადამიანის თვალებში ჩახედვა...

ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე ტიციან ტაბიძემ, ამ ყველაზე უფრო მძაფრმა და ეროვნულმა ქართველმა პოეტმა თანამედროვეთა შორის.

ღმერთმა ქმნას და, იქნებ მთლად მართალი არც კი იყოს ეს ამბავი... მე იმ დროს თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისა ვიყავი. ჩემი თაობის პოეტები სწორედ მაშინ, იმ აბურდულ წლებში ვიდგამდით ფეხს და ბევრ რამეს ვხედავდით.

მოვესწარით იმას, რომ ტიციანის წიგნი, ყავისფერ ყდაში ჩასმული, მისი ხელწერითა და ნაცნობი პორტრეტით, მალულად ჩაგვეფუთნა უბეში და ასევე მალულად, გარეშე თვალისგან დაუნახავად, გვეკითხა და გვეკითხა ჩვენი საყვარელი ლექსები „სერგეი ესენინს“, „ანანურთან“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“, „კარმენსიტა“, „ილაიალი“, „რია-რია“, ერთი ამოსუნთქვით დაწერილი „როალდ ამუნდსენ“, საოცრად ელვარე სტრიქონები „ქალდეას ქალაქებიდან“.

მკითხველი არც მანამდე აკლდა ტიციანს, აკრძალვის შემდეგ კი ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. ახალგაზრდობა ისე მიეტანა მის ლექსებს, როგორც ფუტკარი ყვავილს.

არ ვიცი, სწორად ვიქცეოდით თუ არა, მაგრამ ის ყავისფერყდიანი წიგნი, გადაფურცვლისთანავე ამგვარი ალმური რომ შემოგვინთო, მართლაც არავის გაგვინადგურებია. რა დასამალია და, შიშით კი გვეშინოდა. გვეშინოდა, ვფრთხილობდით, კითხვით მაინც ვკითხულობდით.

ყოველივე ეს მდუღარე წყალში ხელის ჩაყოფასავითაა. საკმარისია, ვინმემ თუნდაც ერთი გადაბრუნებული სიტყვა მიიტანოს იქ, „სადაც ჯერ არს“, და ყველაფერი უკუღმა დატრიალდება.

●

— არ ვიცით, სად წევს ტიციანი, — ადუღებული ხმით ამოიძახა გიორგი ლეონიძემ პანთეონში, დასაფლავების დღეს, ნინო მაყაშვილის ცხედართან. — თუმცა მისი საბოლოო მამული უნდა დიდუბის მიწა ყოფილიყო და ამიტომაც შენ წვები ამ მიწაში ტიციანის მაგივრადაც და ამ უდროოდ გათხრილ ერთ საფლავში ამიერიდან ჩვენთვის ორი სამარე იქნება — ნინოსი და ტიციანის...

ყველაფერი შეიძლება წარმოიდგინო კაცმა, ყველაფერს შეიძლება შეურიგდე და შეეგუო, მაგრამ უბედურება, რომელიც ტიციან ტაბიძეს დაატყდა თავს, ყოვლად წარმოუდგენელია და შეუგუებელი.

ნუთუ მართლა მოხდა ეს. ნუთუ დაუძლურებული და სიკვდილის პირას მისული ავადმყოფი ადამიანი მართლა ძალით, პირდაპირ ხელის კვრით ჩამოიშორეს ბნელსა და მოულეველ გზაზე მიმავალი მატარებლიდან და სადღაც, ქვეყნის რომელიღაც მიგდებულ კუნჭულში უპატრონოდ მიატოვეს.

მერედა, იმ მიგდებულ კუნჭულში ცოცხლად დამარხვა რომელი კანონიერებაა და ან რითი დაიმსახურა ეს სიცოცხლისა და სიხარულისათვის დაბადებულმა პოეტმა.

იმითი ხომ არა, თავგამეტებით, გულღიად და ალალად რომ შეიყვარა ეს ქვეყანა, ეს ცა და მიწა, ველი, ტრამალი, ტყე და ღრე, მწვანე ალვები და თეთრი არყები. სტეპი და პურის ყანა, ბაღი, ვენახი... ყველაფერი ის, რაც ასე გამძლეა, სათნოა და ლამაზი და კაცურკაცობის მწვანე კვირტებშია ამოყრილი.

იმიტომ ხომ არა, რომ შეეძლო სტუმარი და მოყვარე გულწრფელად დაეინტერესებინა ქართული პოეზიითა და საქართველოთი. ანდა, იქნებ იმის გამოც, ადამიანური გულითადობით მოხიბლულმა სერგეი ესენინმა მარტო მას რომ გაუზიარა თავისი გულის ნადები:

— ჩემო საყვარელო ტიციან, საქართველომ მომხიბლა. დავლევ თუ არა ჩემთვის დაგროვილ ჰაერს მოსკოვსა და პიტერში, იმ წამსვე მოვფრინავ თქვენთან...

> წამექცა თავზე ცა გარღვეული
> და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა,
> და დარიალით გადარეული
> თვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს, —

იქნებ იმიტომ, ამ სტრიქონებმა მართლა რომ მოულბო გული სხვებსაც, საქართველოს ფარგლებს იქით, და ათქმევინა სიმართლე სიტყვის ისეთ უმკაცრეს ოსტატსაც კი, როგორიც ანა ახმატოვაა:

— ჩვენ, ლენინგრადელ პოეტებს, მეტისმეტად გვიყვარდა ტიციანი. იგი იყო უაღრესად თბილი, გულწრფელი ადამიანი, რომელსაც ასულდგმულებდა პოეზია.

ან იქნებ კონსტანტინე ფედინის ქვემოთ მოტანილი სიტყვები არაა გულზე მოსახვედრი:

— სხვა ქართველ პოეტთა შორის აღმოვაჩინეთ ისეთი შესანიშნავი პოეტი, როგორიც ტიციან ტაბიძეა. მას განსაცვიფრებელი ლირიკული ძალა და რიტმების მდიდარი მრავალფეროვნება აქვს.

ანდა იშიტომ ხომ არა, მისი ლექსი ნაღვერდალივით რომ ჰღუის და, მუხრან მაჭავარიანის სიტყვებისა არ იყოს, ერთიმეორეს შეზელილი ცეცხლი და წყალი ლავასავით რომ მოიზლაზნება და ნიაღვარივით გაიმტვრევა ხოლმე აქა-იქ.

რატომ მივიდა მისი სიტყვა ასე ახლო გულთან. რატომ გახდა ეს ნაღვერდლიანი ყავისფერი წიგნი ხელიდან ხელში გადასასვლელი. პორტრეტი რომ პორტრეტია, გამორჩეული და თავისებური, რატომ გვიზიდავს ასეთნაირად.

როგორი სითბოა, თუ გნებავთ, მარტო პოეტის პორტრეტში. რანაირი გამოხედვა! თითქოს ბავშვია მიამიტი და ალალი, სათნო, გულღია. შეკრეჭილი თხელი თმა შუბლზე ჩამოშლია. ღრმა და ფართო ცისფერი თვალები ამოკრიალებია. გრძელი, სანთლებივით ჩამოქნილი თითები. თითებშუა პაპიროსი ბოლავს და მოღეღილ ხალათზე, ზედ გულისპირთან, წითელი შიხაკია მიბნეული.

ტიციანს უყვარდა წითელი მიხაკი
და მამულს ლოცავდა ყანწით და წიგნით,
გულისპირს ებნია წითელი მიხაკი —
მზე და გაზაფხულის სულ ერთი მწიკვი, —

მისთვის დამახასიათებელი სითბოთი და გულწრფელობით თქვა შოთა ნიშნიანიძემ. კითხულობ პოეტის სტრიქონებს და ფიქრობ იმ ცოდვილიან დღეებზე, ყურში კი ჩაგესმის გურამ ასათიანის სიტყვები, როგორც ხალხი ამბობს ხოლმე, პირდაპირ ქრისტეს სასწორზე რომაა აწონილი:

— ტიციან ტაბიძეს არავითარი განძი არ მოუხვეჭია ცხოვრებაში. „ლექსები იყო მისი საგზალი“ და მკერდს მხოლოდ პოეზიის სიმბოლო — პატარა წითელი ყვავილი ამშვენებდა.

●

სახლიდან გარეთ ვერ გამოდის. მთაწმინდის ძირში, გრიბოედოვის ქუჩაზე, საკუთარ ოჯახში შეუფარებია თავი და ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში მოუსვენრად წრიალებს.

არავინ მოვიდა. არავინ მოინახულა. რა ვუყოთ, ასეა, თურმე, ცხოვრება მოწყობილი. ყველას თავისი სატკივარი სტკივა. თუმცა არა, არ ივიწყებენ მეგობრები. აგერ სიმონ ჩიქოვანმა მოაკითხა.

ენით უთქმელი სიხარულით შეხვდა პოეტი პოეტს. წლების შემდეგ, როცა ტიციან ტაბიძის რჩეულისათვის წინასიტყვაობა დაიწერება, ამ შეხვედრაზე სიმონ ჩიქოვანი იტყვის:

— შემატყობინეს, რომ ხიფათის მოლოდინში შინ წრიალებდა, ვერ ისვენებდა და სანთელივით ილეოდა. მე მაშინვე წავედი მასთან, რათა ორიოდე საათით მაინც გამომეთიშა იგი ასეთი მდგომარეობიდან, რამდენადმე მაინც შემემსუბუქებინა განსაცდელის მოლოდინით გამოწვეული მისი სასოწარკვეთილება. ტიციანს საოცრად გაეხარდა ჩემი მისვლა. მალე გაერთო საუბარში და რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსი წამიკითხა.

რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსი წამიკითხაო, ასე არ ამბობს ბატონი სიმონი? კაცი ამ დღეშია, ასეთი გასაჭირი მოსდგომია კარზე, და ის, სულით ხორცამდე პოეტი, ნაღდი და უტყუარი, თავისი ქვეყნის ერთგული შვილი, სიჩუმეს შინაგანად ვერ იტანს და უთქმელობას მაინც თქმას ამჯობინებს.

ეტყობა, მარტო მას შეუძლია სიცოცხლისადმი ასეთი რაინდული ერთგულება. როგორც ჩანს, სრულიადაც არაა უცხო მისთვის თავგანწირვამდე მისული სამშობლოს სიყვარული. განა საეჭვოა, რომ სწორედ ამან, ამნაირმა ადამიანურმა ღირსებებმა, სიკეთემ, გულალალობამ ათქმევინა ის, რასაც სხვა ვერ იტყოდა. უფრო სწორად, ამის თქმას ვერც გაბედავდა სხვა, მის მდგომარეობაში მყოფი კაცი.

დაპატიმრებამდე რაღაც ორიოდე დღით ადრეა დაწერილი „ვაჟა ფშაველას გადასვენება მთაწმინდაზე“.

წუთწუთობით მოელის ფანჯარაში მაცქერალი პოეტი, როდის მოუკაკუნებენ კარზე, რომ სამუდამოდ გაიყვანონ თავისი ოჯახიდან. როგორი ვაჟკაცი უნდა იყო, ამნაირად აბნეულ და აბურდულ წუთებში მშვიდად იფიქრო ვაჟა ფშაველაზე, იფიქრო სულიერ მამაზე, რომლის ჯიშში და ჯილაგში ღალატის გენი არ გარეულა.

რომელ სულიერ სიმაღლეზეა ლაპარაკი. რის ამაღლება, რა დაცემა, როცა უწმინდური სატანა ჩასაფრებულა სულში და ყოველი მოენე და მაბეზღარა სისხლის ფასს ადებს თავის ხელობას.

დაუჯერებელია, თუმცა ნამდვილი კია ისიც, ის პოეტური განწყობილებაც, ასე ელვარედ და აუმღვრევლად რომ ათქმევინებს პოეტს: როგორც მუხრანზე გაზაფხულზე მოდის ბალახი, როგორც გუთნიდედურს მღერიანო, „ისე უბრალოდ მინდა ვუმღერო ჩემ განახლებულ სამშობლო მიწას...“

ისევ განახლებული სამშობლო მიწა. ისევ მუხრანის ველი. ისევ ის ძველი, სისხლსა და ხორცში გაბრჯნილი გულწრფელობა, სისადავე, უბრალოება, ხალხისათვის თავდადება, თავგანწირვა. კარზე მოკაკუნების მოლოდინი სადღაა! კიბეებზე ამომავალი უცხო კაცების ფეხის ხმა სადღაც მიწყდა ყრუდ და აღარ ისმის?

თვითონ ხომ მაინც იცის, რომ მართალია. მართალია ცამდე, ცის იქითაც...

თეთრდება პრესნა და თებერვალი —
ქარბუქიანი მოსკოვის ღამე.
კავკასიონის მოჩანს მწვერვალი
და აყღერილი მთა მოკამკამე.

ეს ლექსი — „ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები“, დაწერილია მაშინ, როცა ტიციანი უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაშია და აშკარა საფრთხის წინაშე დგას. თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, უეჭველი დაღუპვისაგან ვეღარაფერი გადაარჩენს.

იქნებ მეგობარი რუსი პოეტის ბედი (ტიციანი ხომ მაიაკოვსკის იცნობდა ჯერ კიდევ ქუთაისიდან) ქვეშეცნეულად ემსგავსება მის ბედს და ამაშიც ბევრი რამე აქვთ საერთო და საზიარო.

თავისთავად გადმოდის სტრიქონებში ერთ ღარზე ჩამოცლილი სულის დუღილი — საფიცარი და სავედრებელი, და ეს ძალუმად და გამორჩეულად შეინიშნება მეორე ლექსში, რომელიც ოცდაჩვიდმეტი წლის სექტემბრითაა დათარიღებული.

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს პოეტმა აცახცახებული ხელით ამოიღო გული საგულედან და ჩვენ წინ დადო. ფართხალობს ახლა ეს გული ჩვენს ხელებში და გვევედრება, როგორმე გადავარჩინოთ. მოუსმინონ მას, მის ფეთქვას და გაიგონ, რომ ის სუფთაა, უღალატო, უხინჯოა, რომ ეს მფეთქავი ხორცის ნაჭერი შენს იმედზეა. შენს მუჭშია მომწყვდეული და ნუ გასრისავ.

წერით კი წერს, ვანცდით კი განიცდის, მაგრამ ეს სტრიქონები გაღწევს კი ამ ოთახიდან? მივა კი იმასთან, ვისთვისაც იწერება? ვინ მიიტანს იქამდე, ყველაფრის გამკითხველ მკითხველამდე, პოეტის ამბავს. ვინ იტყვის პატიოსან, მართალ სიტყვას. პირიქით, სოკოებივით მომრავლებული ყოველნაირი ჯურის დამსმენი და მაბეზღარა ამ არეულ-დარეულობაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

ვერ ვიტყვი, საკადრისად ჩამეთვლება თუ არასაკადრისად ეს საქციელი, მაგრამ რაკი მაბეზღარობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ ამბავსაც გავიხსენებ.

ლადო ასათიანთანაა ეს ამბავი დაკავშირებული. ქუთაისში მოხდა. მოხდა სწორედ იმ წელსა და იმ დღეებში, ტიციან ტაბიძის ბედის ძაფი გაწყვეტაზე რომ იყო მიმდგარი.

...დააპატიმრეს ლადოს დედა — უმწიკვლო, უსათნოესი ადამიანი. [illegible] სიკეთით სავსე, შესანიშნავი [illegible] ელი, საზოგადო მოღვაწე. კაცმა არ იცის, რატომ და რისთვის. მეზობელმა დაუწერა საჩივარი.

მამას ქუთაისში ცხოვრება აუკრძალეს. უმცროსი და-ძმა — მედეა და გოგიტა, სოფელში არიან. ლადოს აღარაფერს უბეჭდავენ. ინსტიტუტიდან გამორიცხეს. არ სწავლობს. არ მუშაობს, თავშესაფარიც აღარა აქვს და ნათესავთანაა შეხიზნული.

ამ დროს, ამნაირ გასაჭირში ჩავარდნილ ახალგაზრდა კაცზე, იქმნება „დოკუმენტი“ სამი პიროვნების ხელმოწერით იმის თაობაზე, რომ ლადო ასათიანი სამშობლოს მოღალატის შვილია, თვითონაც მოღალატეა და რა უფლება აქვს იმ ჰაერით ისუნთქოს, რომელსაც ისინი, ესე იგი, ამ დოკუმენტზე ხელისმომწერები სუნთქავენ.

ეს უწმინდური ნაწერი იმ სამიდან ერთ-ერთს, გაზეთებს შუა ჩაუდევს და წასაღებად გამზადებული, საქალაქო გაზეთის რედაქციაში დარჩენია. დასმენა „დროულად“ ვერ მივიდა „სადაც ჯერ არს“ და ლადო ასათიანი ბეწვზე გადარჩა.

ის დოკუმენტი, ბინძური და ყოვლად უნამუსო, ერთმა პატიოსანმა მწერალმა ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმს ჩააბარა თავის ფონდში შესანახად.

მე შეგნებულად არ დავასახელე იმ დასმენაზე ხელისმომწერები. ისინი დღეს ცოცხლები აღარ არიან. და თუ ეს ფაქტი მოვიტანე, მოვიტანე მხოლოდ იმიტომ, რომ ტიციან ტაბიძეც, ასე მგონია, უეჭველად ამნაირი დასმენითა და უკუღმართი ხელითაა დაღუპული.

ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა ითქვას სიმართლე.

ეს არაა შურისძიება და არც სამაგიეროს გადახდა. ეს მათი შერცხვენაა მხოლოდ და სურვილია იმისა, რომ კაცმა სხვის მაცქერლობაში არ გახარჯოს თავისი წუთისოფელი.

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები.
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები, —

რაც მართალია, მართალია, კი აუხდა თავის თავზე ნათქვამი ეს წინასწარმეტყველება, მაგრამ სიკვდილიცაა და სიკვდილიც. ტიციან ტაბიძის ამქვეყნიდან წასვლა სიკვდილი არაა. ეს უფრო წამებაა და ენით უთქმელი წამების შემდეგ სიცოცხლის გაგრძელება. გაგრძელდა სიცოცხლე და ჩვენს წარმოდგენაში სუსხიანი შოლტით მოსხეპილი ელვასავით გამოკრთა და გამონათდა მისი სახე.

დაუბრუნდა უსაფლავო პოეტი თავის ძველ ბინას თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე. იმ კიბეებზე ავიდა, გამწარებულებმა ტირილით რომ ჩააცილეს ერთ დროს ცოლმა და შვილმა.

დადის საოცრად გატანჯული და გაწამებული პოეტის სახელი ახლა ხალხში. ჩვენ შორისაა ბავშვურად გაბუტული საყვარელი სახე, შუბლზე ჩამოყრილი შეკრეჭილი თმითა და წითელი მიხაკით გულზე. თეთრსა და მკრთალ თითებში პაპიროსი ბოლავს, და დღეში ცოცხლდება იმდენჯერ, რამდენჯერაც ჟრუანტელად გაივლის ტანში მისი ნათქვამი სიტყვები:

აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება.
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს მეყოფა გამოსარჩლებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავითის სპანი

ხედი გარიყულადან

დიმიტრი ხახუტაშვილი

60

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლალი

ქსნის ციხის ლეგენდა

ბრძოლის წინ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომპოზიცია

კოსტიუმები სპექტაკლებისათვის: რ. კორსაკოვის „ესპანური კაპრიჩიო“ და ს. პროკოფიევის „ცთომილი შვილი“

დავით მონავარდისაშვილი

პირველი პერსონალური გამოფენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათენის ეროვნული სკოლა

ანდრე ციცკარიძე



საქართველო-საბერძნეთის ძნელი ურთიერთობის მშვენიერი გამოხატულებაა ქუთაისისა და საბერძნეთის ქალაქ ნიკეას დაძმობილება.

გასული წლის 17 მაისს გაზეთ „პრავდაში“ დაიბეჭდა გაზეთის კორესპონდენტის ვ. პოტაპოვის ინფორმაცია საბერძნეთიდან სათაურით: „სსრ კავშირ-საბერძნეთი, მტკიცდება თანამშრომლობა“. როგორც ავტორი აღნიშნავდა, პირეეში — ქვეყნის დიდ სანავთსადგურო ქალაქში, ხელმოწერილი იქნა სსრ კავშირ-საბერძნეთის ოქმი საზღვაო გემმიმოსვლის დარგში თანამშრომლობაზე. ამ ცერემონიით დამთავრდა აქ მიმდინარე გემმიმოსვლის საკითხებზე საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის შერეული კომისიის მერვე სხენა. ხელის დამთავრების შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე საბერძნეთის სავაჭრო ფლოტის მინისტრმა ხ. ალექსანდრისმა ისაუბრა ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობაზე. სწორედ ქალაქ პირეეს რუსეთის საზღვაო სავადმყოფოში მთავარ ექიმად მუშაობდა ლაზარე კატანიშვილი.

1891 წელს (№ 32) გაზეთი „ივერია“ წერდა: „ამას წინად ათინის გაზეთებმა დაიწყეს ლაპარაკი და დიდად აქებდნენ ახალგაზრდა კავკასიელს ლაზარე კატანიშვილს გისტოლოგიისა და ექსპერიმენტალურ პათოლოგიის პრივატ დოცენტს ათინის უნივერსიტეტში. ეს ლაზარე პავლეს ძე კატანიშვილი წალკელ ბერძენთა მღვდლის შვილია. ოთხი კლასი ტფილისის სასულიერო სემინარიაში შეასრულა 1882 წ. შემდეგ მეორე წელსვე გიმნაზიაში გადავიდა და კურსის დასრულების ეგზამენი დაიჭირა და იმავე წელსვე კიევის წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტში შევიდა სამკურნალო ფაკულტეტზედ. როცა ამ უნივერსიტეტში არეულობა მოხდა (1884 წ.), კატანიშვილი ათინის უნივერსიტეტში გადავიდა, 1890 წ. ზაფხულში მშვენივრად დაიჭირა ეგზამენები, მედიცინის დოქტორის ხარისხი მიიღო და სამკურნალო ფაკულტეტმაც თავის მხრივ მოწოდების ფურცელი მიუბოძა. ამას წინად კატანიშვილმა რუსულიდან ახალბერძნულის ენაზედ გადათარგმნა „მიკრობიოლოგია“ რუსეთის სამკურნალო-სადოსტაქრო აკადემიის პროფესორის მ. ი. აფანასიევისა. ამ ნათარგმნს დიდად აქებს ბერძნული გაზეთი“.

განა საინტერესო არ იყო ამ ადამიანის შესახებ რაიმე დამატებითი ამბავის გაგება?

ახლახანს სამსახურებრივ საქმეზე წალკის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსს — ირაკლი ჩაკალოვს ტელეფონით ველაპარაკებოდი. სწორედ მაშინ გამახსენდა, რომ ლაზარე კატანიშვილი წალკიდან იყო.

— ირაკლი, — ვეუბნები ტელეფონში, — კატანიშვილები თუ ცხოვრობენ ახლა წალკაში?

— კატანიშვილები? არა, არ გამიგია... მაგრამ აი, კოტანოვები კი არიან.

დავფიქრდი, „კატანიშვილი“, „კატანოვი“... იქნებ?...

— დავუშვათ კოტანოვები. იქნებ რომელიმე ოჯახმა იცის გასული საუკუნის ბოლოს საბერძნეთში მცხოვრები ლაზარე კატანიშვილის შესახებ ბა? მოდი, გამიგე.

ირაკლიმ ჯერ არ მიპასუხა. მერე კი მითხრა:

— რამდენიმე წუთით დამელოდეთ. მე ვიცნობ პავლე კოტანოვს, შეიძლება, მან იცის რამე. ახლავე დაგაკავშირებთ ტელეფონისტი.

ტელეფონში უცნობის ხმა მომესმა. ვუთხარი, ვინ ვიყავი და რა მაინტერესებდა.

— ლაზარე? როგორ არ ვიცი, მამა იყო ლაზარეს ძმის შვილიშვილი. ლაზარეს სურათიცა მაქვს და მისი შვილის — პავლესიც. ხვალ თბილისში მოვდივარ და შემიძლია, სურათებიც ჩამოვიტანო და ყველაფერი გიამბოთ.

ძალზე მესიამოვნა.

მართლაც, მეორე დღეს ჩამოვიდა წალკიდან პავლე კოტანოვი. ფოტოსურათები და ბერძნული გაზეთები გამიშალა მაგიდაზე.

— რასაკვირველია, ჯერ გაინტერესებთ თვით ლაზარე კოტანოვი, არა?

— ზუსტად ასეა, მაგრამ მე მინდა ლაზარე კატანიშვილი, ექიმი, რომელზეც ილიასეული „ივერია“ წერდა.

პავლე იღიმეზა:

— მე არ ვიცი, რატომ დაწერა „ივერიამ“ ლაზარე კატანიშვილი, აი, ეს კი გახლავთ ექიმ ლაზარე კოტანოვის ფოტოსურათი.

ერთ სურათზე სიმპატიური, წვერმოშვებული პიროვნებაა.

მეორეზეც ის არის.

ამ მეორე ფოტოსურათზე დიდი ხნის წარწერაა რუსულად: „ათენის უნივერსიტეტის ექსპერიმენტალური ანატომიის კათედრის პროფესორი, ქალაქ პირეეში რუსეთის საზღვაო სავადმყოფოს მთავარი ექიმი და აგრეთვე საბერძნეთის მეფის გიორგეს მკურნალი ლაზარე პავლეს ძე კატანოვი“.

და პავლემ გვიამბო:

— წალკელ მღვდელს, რომელზეც „ივერიაში“ წერია, ერქვა პავლე, პავლე დიმიტრის ძე. მას ჰყავდა ხუთი ვაჟიშვილი — სპირიდონი, ივანე, კონსტანტინე, ფეოდორი და ლაზარე. ლაზარე მათ შორის ყველაზე უმცროსი იყო. სწორედ ის გაემგზავრა საბერძნეთში და ცნობილი ექიმი გაჩდა. მას საბერძნეთში ოჯახი ჰქონდა. იქ დაიბადა მისი ვაჟიშვილი — პავლე. დიახ, ამ ვაჟიშვილს ლაზარემ დაარქვა თავისი მამის სახელი. აი, იმ წალკელი მღვდელის სახელი, „ივერიაში“ რომ არის მოხსენებული. ლაზარეს შვილის პავლეს ფოტოსურათია ეს არის.

და სტუმარმა ფოტოსურათზე მიმითითა.

სურათზე სათვალიანი პიროვნებაა.

— ლაზარეს ეს შვილი დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა.

— შვილები ხომ არ ჰყავდა?

— როგორ არა, სამი შვილი დარჩა. ახლა ისინიც საბერძნეთში ცხოვრობენ. აი, მათი სურათი. ეს ირინა, ეს ლაზარე, ეს კი ტალისა.

— ქალი მათ გვერდით?

— მათი დედაა, ლაზარეს შვილის — პავლეს მეუღლე.

პავლე კოტანოვი განაგრძობს:

— მე კარგად ვიცი, ლაზარეს შვილი, პავლე, აგრონომი იყო. და ახლა მისი მეუღლე აგრძელებს ამ საქმეს. აი, ხედავთ, ბერძნულ გაზეთში ფოტოსურათებია, როგორ უძღვება პავლეს მეუღლე მეურნეობას, ტრაქტორსაც კი მართავს.

...საქართველოდან საბერძნეთში ლაზარე კატანიშვილის ჩასვლის ამბავი და ილიასეული „ივერიის“ მისდამი ყურადღების გამოჩენა, უფრო საინტერესო ხდება იმასთან დაკავშირებით, რომ ამ პერიოდისთვის სხვა საგულისხმო ფაქტებიც არსებობს საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობიდან.

1897 წელს, საბერძნეთ-თურქეთის ომის პერიოდში, საქართველოდან მოხალისეულ წვიდა ორი ქართველი ახალგაზრდა — შევარდნაძე და წითლიძე (ჯერჯერობით მათი სახელები დადგენილი არ არის). გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 20 ივნისს წერდა: „გაზეთებიდან ამოვიკითხეთ, რომ რუსეთიდან თავისი ნებით საბერძნეთში წასულ მეომართა შორის ორი ქართველიც ყოფილა: შევარდნაძე და წითლიძე“. როგორც ჩანს, ბერძნების დასახმარებლად საქართველოდან წასულმა შევარდნაძემ და წითლიძემ თავი გამოიჩინეს ომში. ამიტომ მოხდა, რომ 1901 წელს ბათუმში ჩამოსულმა საბერძნეთის დედოფალმა მოიკითხა ორი გურული ოზურგეთის მაზრიდან.

ამავე დროს საბერძნეთ-თურქეთის ომში მონაწილეობდა საქართველოდან ათენში გამგზავრებული 17 წლის ქალიშვილი ელენა კონსტანტინიდისი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბერძნების რაზმს და მამაცობის მაგალითები აჩვენა, ბერძნემა ხალხმა თბილისელი ელენა კონსტანტინიდისი ჟანა დარკად აღიარა და გადაწყვიტა, მისი ძეგლი დადგმულიყო საბერძნეთის დედაქალაქში. ამგვარად, 90 წლის წინათ, 1897 წელს, საბერძნეთში იმყოფებოდნენ ლაზარე კატანიშვილი, შევარდნაძე, წითლიძე და ელენა კონსტანტინიდისი.

ვფიქრობთ, აღნიშნული პიროვნებების ცხოვრების დადგენა შესაძლებელია, მითუმეტეს, შევარდნაძე და წითლიძე სამშობლოში დაბრუნებულან. რაც შეეხება ლაზარე კატანიშვილს და ელენა კონსტანტინიდისის შესახებ დაწვრილებით ცნობებს, ეს მხოლოდ უშუალოდ საბერძნეთში შეიძლება გაირკვეს. ეჭვი არ არის, ლაზარე კატანიშვილმა, როგორც რუსეთის საზღვაო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, გარკვეული მონაწილეობა მიიღო ომის პერიოდში დაჭრილთა მკურნალობაში.

საინტერესოა თვით ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება საბერძნეთის და თურქეთის ურთიერთობაზე: „რა ჭქმნა ისეთი საბერძნეთმა, რომ ევროპა მუქარით და საყვედურით თითს უქნევს. იულიტება ტუუილუბრალოდ ქრისტიანი ხალხი, ლამის სულის ამოხდამდე მივიდეს კუნძული კრიტისა, ლამის ერთმანეთი შესჭამონ იქ დატყვევებულმა ბერძნებმა და დამპყრობელმა ოსმალომ, ევროპა — კი არამც თუ ხელს არ სძრავს, თავისს რიხიან ხმას არ იღებს“...

დღეს, როცა საბჭოთა კავშირ-საბერძნეთს შორის სულ უფრო მტკიცდება საქმიანი ურთიერთობა და ერთმანეთისადმი ინტერესი, როცა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძენი ეროვნების წარმომადგენლები ქართველებთან ერთად მეგობრულად ცხოვრობენ და შრომობენ, საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობის ტრადიციების ყოველი ფაქტი კიდევ უფრო ახლობელი და შთამბეჭდავი ხდება.

აი, რატომ გავიხსენეთ საქართველოდან საბერძნეთში ჩასული ადამიანები, რომლებმაც კიდევ ერთი შტრიხი შემატეს ორი ეროვნების მეგობრული ურთიერთობის საინტერესო ისტორიის ფურცელს.

ჯარისკაცმა გადაარჩინა

მიხეილ მორჩილაძე

ლუდმილა და მიხეილი

ბაცური კაცობა და ბედი, საერთოდ ასეა, მხოლოდ განსაცდელის ჟამს გამოჩნდება, გამოიკვეთება ხოლმე ადამიანის, კაცის ნამდვილი სახე და, რაც უფრო დიდია განსაცდელი, მით უფრო მეტი ასპარეზი უჩნდება ადამიანს საკუთარი მეობის ჩვენებისა.

1943 წლის გაზაფხულზე ქართველი ჯარისკაცი, რიგითი მიხეილ თათარაშვილი ტყვედ ჩავარდა ძალზე ჩვეულებრივად და გულსატკენად, 1941 წლის ზაფხულიდან ებრძოდა მტერს და ბრძოლებში, ჯარისკაცური გაჭირვებების გადატანაში როცა გაიწაფა, სწორედ მაშინ უმტყუნა ბედმა. დილის საუზმეს ელოდა, ახლად გაღვიძებულს ასეულის მეთაური გერმანელ ჯარისკაცთან ერთად თავზე რომ დაადგა, მიწურში. მტრის ჯარისკაცებმა იარაღი ჩაიბარეს. ისინი ხუმრობდნენ და იცინოდნენ კიდეც.

არაფერი უკადრისი არ უგრძვნია იმ დილით ყოფილ რიგით ჯარისკაცს. დილის საუზმე დროზე დაურიგეს. ეს იყო და ეს.

ამბობენ, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილი უნდა გერჩიოსო. მაგრამ როგორ?! თათარაშვილიც ასე ფიქრობდა და ტყვედ ჩაბარება გულში არასოდეს გაუვლია, მაგრამ ტყვედ მაინც ჩავარდა.

გარშემო ომი მძვინვარებდა. ცოტაც-და, დღეისათვის ისტორიაში ასე ცნობილი კურსკის ბრძოლები დაიწყებოდა. მიხეილისათვის კი ყველაფერი დამთავრდა, თითქმის ყველაფერი. თითქმის იმიტომ ვამბობ, რომ კაცი სანამ ცოცხალია, და სანამ კაცი ჰქვია, მისთვის არ შეიძლება, იყოს ცხოვრება სულერთი: რაც არ უნდა გასაჭირსა და განსაცდელში ჩავარდეს, თუ კაცი კაცია, თავის მეობას არ დაჰკარგავს.

ტყვეების ჯგუფი დასავლეთისაკენ მიიწევდა ტაატით. ერთ ღამეს, ქალაქ ბელაია ცერკოვის შორიახლოს, სოფლის დიდ ფარდულში, შერეკეს.

ქალის კივილმა გააღვიძა თათარაშვილი. ფარდულში მითქმა-მოთქმა ატუდა, ტყვე ქალს მშობიარობა დაეწყო. ეჭიმს კითხულობდნენ. მიხეილ თათარაშვილს არასოდეს საექიმო თუ საფერშლო კურსებზე არ უსწავლია.

— მაშ, რამ გაგაბედინა? — ვკითხე გაკვირვებულმა. მიხეილს ჩაეცინა:

— გლეხი ვარ მე ნამდვილი და სწორედ ამან. რაც მე პაპაჩემს ცხვარ-ძროხის მშობიარობაში დავხმარებივარ... ჰოდა, მეც გავბედე, მაინც იმიტომ, ჩემს მეტი მშველელი იმ უბედურს რომ არავინ გამოუჩნდა.

ჯერ ბიჭი დაიბადა და მერე გოგო. როგორც იყო ჭიპლარები გადავუსკვენი, მომყოლი მოვაშორე. ქალს ცოტა შვება მიეცა და, ირიყურაყა კიდეც. ბიჭს რუსლანი დავარქვით, გოგოს ლუდმილა. ტყვეები, ვისაც რა შეეძლო, იმით გვეხმარებოდა. ორი, ასე თუ ისე, ხუფთა პერანგი მოგვცეს. პატარა ცეცხლი დავანთეთ. ეს პერანგები ცეცხლზე გადავატარეთ და დავფერხეთ, რომ მკბენარი მოშორებოდა, ავადმყოფობა და რაიმე მიკრობი არ შეჰყოლოდა თან.

როგორც იყო, ბავშვები გავბანეთ და ჩემს ჯუბაში ჩავაწვინეთ ორივე. ტყვე ქალი ლუტაევა იყო გვარად, მარია ერქვა. როგორც შემეძლო, ისე მოვუარე და მერე ვუთხარი:

— მარია, ახლა ისევ ფეხით მოგვიწევს სიარული. გერმანელები გაგვიგებენ და ბავშვებს წაგვართმევენ. შეიძლება აქვე მოკლან და თუ არა, გზაში სიცივისაგან მაინც დაგველუპებიან. ჩვენს გადარჩენაზე ფიქრი ხომ ზედმეტია და ზედმეტი. ბავშვების გადარჩენაზე კი ვიფიქროთ. იქნება ვინმე ღვთისნიერი გამოჩენილიყო სოფელში. ამ ბავშვებზე ეზრუნა და ჩვენს სახელზე ესენი მაინც გადარჩენილიყვნენ.

მარიამ ყურადღებით მომისმინა და დამეთანხმა.

მაშინ ისეთი დრო იყო, საჭმელი ყველგან ჭირდა. ტყვეებში კი განსაკუთრებით. რომელ გზაზედაც გავდიოდით, წინ ხალხი გვხვდებოდა და ყველა ცდილობდა, დაგვხმარებოდა. ზოგან, იმ გზაზე, სადაც უნდა გაგვევლო, მოხარშულ კარტოფილს დაგვიყრიდნენ, ზოგან ჩვენთვის დაგდებულ პურის ნატეხსაც ვნახავდით ხოლმე.

გერმანელებმაც იცოდნენ ეს. წართმევით არ გვართმევდნენ, მაგრამ რამეს თუ ნახავდნენ, ან ფეხს გამოკრავდნენ, ანდა მიწაში ქუსლით ჩაჭედავდნენ, რომ მერე ჩვენს ძიძგილაობაზე ეცინათ.

სოფელში უნდა გაგვევლო. ხალხი სანახავად მოგვაწყდებოდა. მე გეგმა დავაწყვე და ბიჭებს მოველაპარაკე: როგორც კი ნიშანს მივცემდი, ჩხუბი აეტეხათ ერთმანეთში, ვითომდა საჭმელს ვერ იყოფენ. მე კი იმ დროს ჩემს ჯუბაში გახვეულ ბავშვებს ხალხს „გადავუგდებდი“.

ფარდულიდან სანამ გამოვიდოდით, მარიას ჩემი მათარა მივეცი და შიგ რძე ჩავაწყვეტინე. საწყალს დასკდომაზე ჰქონდა ძუძუები, თავისით მოსდიოდა რძე. ეს მათარაც ბავშვებთან ერთად შევახვიეთ. ქაღალდის ნაგლეჯზე პატარა წერილიც იყო ბავშვების სახელებითა და თხოვნა-ვედრებით, ეს საცოდავები არ გაეწირათ.

თითქმის სოფელს გაცილებულები ვიყავით, ირგვლივ შემოსეული ხალხიდან ვინ რას გვესროდა და ვინ რას: ზოგი პურის ნაჭერს, ზოგი კარტოფილს. ბიჭებს ნიშანი მივეცი...

გერმანელები ჯერ იცინოდნენ ჩვენს ძიძგილაობაზე, მერე კი, როდესაც ტყვეებმა ჩხუბი გაახურეს, კოლონაში შემოვარდნენ და ხელკეტებით დაერივნენ მოჩხუბრებს.

მეც დრო ვიხელთე და ჩემი ჯუბა ყველაზე ახლოს მდგარ ჭარმაგ მოხუცს ვესროლე ფრთხილად, ძალზე ფრთხილად... შიგ ბავშვებია-თქო, შევუძახე. მოხუცი, ეტყობა, იმწამსვე მიმიხვდა და ხალხში მიიმალა.

ამ ამბის მნახველ მარიას გული წაუვიდა, ჩხუბიც მოისხიპა, გერმანელებმა წესრიგი ისევ აღადგინეს, კოლონად დაგვაწყვეს, მარიაც მოსულიერდა და უფრო მეტი გულდაშიმებით გავუდექით გზას...

ტყვეები სხვადასხვა ადგილებში დაანაწილეს. მარია ბულგარეთში, ტყვეთა ბანაკში მოხვდა. ლამაზი ქალი იყო. ამ ბანაკის უფროსმა ის ათასობით სხვა ტყვეში გამოარჩია და ცოლად შეირთო. ასე და ამნაირად, საბჭოთა მოწყალების და მარია ლუტაევა ფაშისტი ბულგარელი ოფიცრის ცოლი გახდა. მიხეილ თათარაშვილი კი, ჯერ დასავლეთ გერმანიაში ვიღაც ბიურგერს დაუსვეს მოჯამაგირედ, მერე იქიდან საფრანგეთში, საკონცენტრაციო ბანაკში ამოაყოფინეს თავი. იქიდანაც დანი-

მიხეილი თავისი საქმის დიდი ოსტატია

მიხეილ თათარაშვილის ოჯახი.

ში გაგზავნეს. და აი იქ სულზე მიუსწრო მოკავშირე ინგლის-ამერიკის ჯარების სწრაფმა სვლამ და აშკარა სიკვდილისაგან იხსნა.

ბევრი ელაპარაკნენ იქ დარჩენაზე, ბევრიც აშინეს, ისევ რუსების ხელში რომ ჩავარდები, მაშინვე დაგხვრეტენო. ქართველ კაცს ძალზე ძნელად ათქმევინებ უარს სამშობლოზე, თუნდაც ეს სიკვდილის ფასადაც დაუჯდეს.

მიხეილ თათარაშვილიც სამშობლოში დაბრუნდა. მართალია, სახლამდე გზა კიდევ მრავალი წელიწადი გაეწელა. მდინარე ამურის ტყეებში ამუშავეს, მერე იქვე მშენებარე ქალაქ კომკავშირელის რკინიგზაზე გაიყვანეს. 1956 წელს შინ დაბრუნდა. ცოლ-შვილი ელოდა. მთელი ეს წლები იმათი სიყვარული ასულდგმულებდა. მერე ბიჭიც გაუჩნდა. ისევ დაიწყო ცხოვრება. სხვა თუ არაფერი, გულსატკენია მხოლოდ ის, რომ მიხეილ თათარაშვილმა იმ სისხლის წვიმების დროს სამი ადამიანის სიცოცხლე ხომ მაინც იხსნა, ჯილდოდ კი ერთი რკინის მედალი რაა, ისიც არ მიუღია.

●

ზემოთ აღწერილი ამბის მთავარი მონაწილეები ყველა გადარჩა. სოფელში დატოვებული ბავშვები მოხუც კაცს აუყვანია, სოფელში მას ბებუა ჩერნომორს ეძახდნენ. მოხუცს თავისი რძლისთვის მიუნდვია მათი გაზრდა. შვიდი-რვა წლის შემდეგ ისიცა და მისი რძალიც გარდაცვლილან. ბავშვები უდედმამო ბავშვთა სახლში აუყვანიათ. გოგონა ამ სახლის ერთ-ერთ მომვლელს აუთვალწუნებია. ბავშვს თურმე საათობით კუთხეში აყენებდა, სველი პირსახოცით სცემდა.

ლუდმილა ერთ ჭექა-ქუხილიან ღამეს სბავშვო სახლიდან გაპარულა. დილით ბოშებს გამოეცლოთ და გრძნობადაკარგული ბავშვი თან წაეყვანათ. ფეხები წართმეოდა, ვერ ინძრეოდა, შეიძლება შიშისა ან დაძაბულობის გამოც.

ნახევარი წელი ფორნით ატარებდნენ ლუდას. მერე ბოშა ქალმა, რომელმაც იშვილა, თავისებური წამლებითა და მოვლით გოგოს ფეხი ხელახლა აადგმევინა.

ლუდა სულითა და ხორცით შეეთვისა ახალ მშობლებს. მათთან ერთად იზიარებდა ჭირსა და ლხინს. თავადაც ნამდვილი ბოშა გახდა. უნდა გათხოვილიყო კიდეც, მაგრამ ბედმა ახალი განსაცდელი არგუნა, ერთ სანაწერო ღამეს მოუკლეს საქმრო, მისი მშობლები გაძარცვეს და მათი კარავი ცეცხლს მისცეს. ლუდა სახწაულებრივად გადარჩა.

ამის შემდეგ იქ აღარ დაედგომებოდა. ისევ ბელოცერკოვისკენ გამოსწია. სოფელში სასიხარულო ამბავი დაახვედრეს: დედამისი ჩამოსულიყო, შვილები მოეკითხა. ნაშა, ლუდას ძმა, მოენახა სბავშვო სახლში. ბიჭს სკოლა დაემთავრებინა და სამედიცინო ინსტიტუტში ჩაერიცხათ.

ლუდას სბავშვო სახლიდან ის მათარაც გადასცეს და ის ჯუბაც, რომლითაც მიხეილ თათარაშვილმა სიკვდილს გამოსტაცა მისი ორი შვილი.

ლუდამ მათარაზე ამოჩხაპნილი სამხედრო ნაწილის ნომერი და ჯუბის შიგა ჯიბეზე დაწერილი თათარაშვილის ინიციალები ამოიკითხა. სამხედრო კომისარიატში გააგზავნა. კომისარიატიდან პასუხი მოვიდა: მიხეილ თათარაშვილი ამა და ამ სამხედრო ნაწილში მომსახურე ჯარისკაცი, საქართველოში, ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლიდან ომის დაწყებისთანავე განცხადებით წავიდა ჯარში და 1943 წელს კურსკის ბრძოლებში დაიკარგაო.

ლუდამ წერილი გაუგზავნა დედამისს. ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. დედის მეშვეობით ძმაც ნახა.

ყველაფერი კარგი და კეთილი, მაგრამ ვინაა ბავშვების მამა? ლუდამ არ იცოდა ეს და დედამ გააგებინა: მამა გვარად თინრბა ყოფილიყო, აფხაზი ჯარისკაცი. მარიამ ისიც დაუმატა, რომ არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ის მოეძებნა და მისი ასავალ-დასავალი გაეგო.

თავად ლუდმილამ მონახა მამის ოჯახი. მამა 1943 წელს დაღუპულიყო ომში.

ლუდმილა აფხაზეთში, მამის ოჯახში ჩავიდა და სბოლოოდ აქ დამკვიდრდა. მუშაობა ბიჭვინთის საექსკურსიო ბიუროში დაიწყო ექსკურსიამძღოლად.

ბედნიერად წარიმართა მისი ცხოვრების გზა, მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა ის კაცი, ის ღვთისნიერი ადამიანი, რომელმაც ორი პატარა სიკვდილს გადაარჩინა.

უნდოდა ენახა ის ადგილები, საიდანაც მისი და მისი ძმის გადამრჩენელი სბრძოლველად გაიწვიეს. სურათი მაინც ხომ ექნებათო, ფიქრობდა, და ყვარელში ჩავიდა. პირდაპირ პარტიის რაიკომს მიადგა. რაიკომის მანქანით ახალსოფელში ჩაიყვანეს და, როდესაც ლუდმილა მანქანიდან გადმოვიდა, უეცრად დედამისის სახელი მოესმა:

— მარია, მარია!.. და მისკენ გამოქანებული ხაშუალო ტანის ჭაღარა გლეხკაცი დაინახა.

— მე ძალიან ვგავარ დედაჩემს და შამობილმაც ასე უცბად მიცნო. თუმცა ჯერ დედაჩემი ვეგონე, — ამბობს ცრემლმორეული ლუდმილა, მიხეილ თათარაშვილის შვილობილი, შვილი სამი დედისა და სამი სხვადასხვა მხარისა.

სული

და, ბატონო, სული რომ გაგვეყიდა, თვარა კაი თქვენო!“

— მერე, მაგი მოეწონათ?

— ე, ამ ქალს, ეტყობა, კიდო რო უდგას, რაკი სხვების უსულობას ხედავსო!

— კაცო, არაფერი დაწერონ... მარა რო არ გქონდეს, ვინ რა პასუხს მოგთხოვს.

— მე-ეც ასე მგონია, კომისია კომისიაზე მოდის და ვინმეს მაგის თაობაზე რაიმე უკითხია?

— ისე, ამდენ რამეს რომ აშენებთ, თქვე მამაცხონებულებო... იშონეთ, სადაც გინდათ, იშონეთ, მე კი არ მოგზდევთ, მარა საბუთები გააკეთეთ. რო მოგვადგეს იმნეირი ვინმე, გკითხოთ: საიდან, რით, ვისგან და რისგანო, რა პასუხს აძლევთ და თქვენი გულისთვის მე, პატიოსანი კაცი, უნდა გავილანძღო?

— მა-აგის მეშინოდა, რაჟდენიჩ, და ამიზა მედვა პირზე ბოქლომი. იმიზა გაავმართე იმისანა სუფრა...

— სუფრა კარგია, ბარდღა, სუფრას რა ჯობია. ხომ მოეკუპრათ პირი?

— ა-არაო...

— რა „არაო“, კაცო, არ გადამრიოთ შენ და იმგენმა!

— ა-ასე თქვეს და ცაცამაც მაშინათვე წამომაკრა: ხო გითხარი, მაგენი შენი ამფსონებივით ღორები ხვარ გგონიაო!

— ბარდღა... ისე, ახლა რაღა დროსაა, თვარა, მაგ ქალს რო არ გადაკიდებოდი, კარგი იყო.

— კა-არქი რო იყო, მაშვინაც ხო გითხარი, რაცხა მისაშველე-თქვა.

— როდის მაშინ, ქალი ხუთი თვის ორსული იყო! ისე, მაგი ქალიშვილობაში მაგნაირი იქნებოდა, რაფერ არ მოეშვი.

— ცო-ოდვა ავია, რაჟდენიჩ, თავიდან ბატკანივით იყო, ორ სიტყვას ერთმანეთზე არ გადააბამდა. ე-ეგი მერე გადეირია, არაფრით რო მაგის თხოვა არ მინდოდა და მას აქითაა ვერ მეინელა. შენ მაგიზა არ ეზოგები, იცის შენც ე-ერთხანს ჩემი მხარი გეჭირა.

— კარგი მინდოდა შენთვის, მარა კანონს ვერაფერი მოვუხერხე.. ისე, ბარდღა, ჩვენში დარჩეს და, ხო არაფერი შეგინიშნავს...

— რი-ისი, რაჟდენიჩ?

— ცაცა ხომ არაფერს წერს.

— ა-აპა, არა. ასე, პირში გეტყვის, რაც ენაზე მოადგება, თვარა წერა და ამისთანები არაფერი. ჩუ-უმათ და ამისთანები არაფერი. მა-ალულათ და ზურგს უკან... არ იზამს თვარა, მაგას დაგიმალავ?

— ჰო, რას გაიგებ. დღეს წერა-კითხვა ყველამ იცის. ისე, ის უფრო საშიშია, პირში რომ გაცინის და თეთრ კბილებს გიჩვენებს.

— ა-არა, ცაცა შენ თვალწინ გაგითხრის სამარეს და ზურგს უკან არა.

— ცაცას არაფერი უთხრა, თუ კაცი ხარ! შენ ის თქვი, ის, პურ-ღვინოზე ვლაპარაკობდით და პირი ნერწყვით ამევსო. ცაცას ენაა ძნელი ასატანი, თვარა პურმარილი და ნახელაობა ღმერთმა მოგცეს!..

— ჰო-ოდა, მასაქეთია ჭკუაზე არა ვარ... რაჟდენიჩ, „რათ გვინდოდა ამდენი ხორაგიო?!“

— პურ-ღვინო ხორაგიაო?!

— ა-ასე კი თქვეს და...

— აპა, რა გვინდოდაო?

— პა-ატარა რაღაცა: კეცის ჭადი, ყველი, ნადუღი და ერთი მუჭი წვანილიო. ჩაი ჩვენი აღარ ვარგა, თვარა, თითო ჭიქა თავს გადაგვდიოდაო.

— ღვინოვო?

— „ღვი-ინო სადღაო!“ — შემოირტყეს თავში ხელი.

— შენ რა უთხარი!

— რა მეთქვა, რაჟდენიჩ, ნამდვილი ღვინო მე კი არა...

— ნამდვილი რას ქვია? ღვინო ღვინოა!

— ცა-ცამაც გააფუჭა საქმე: „ჭაჭა, შაქარი და მისი ჯანიო!“ — ჭი-იქა ტუჩთან არ მიუტანიათ, რაცხა ჭადს და ყველს წაატეხეს, მარა, ან ეს ყელში რავა გაადაგვივა, რა გვეშველება, დაღუპული ვართ, დაქცეულიო!

— მოიცა, შენ, მოიცა, მაგენი ვინმე... ეს „სული“ რო დაუჩემებიათ, რაიმე სასულიერო... ეკლესიის ამბებზე ხომ არ იყვნენ?..

— ე-ეკლესია, ისე, ქე ახსენეს: გეტყობათ, თქვენ ხატი და ჯვარი დიდი ხანია გამწყრალი გყავთო. ეკლესიის ნანგრევები, წინა დღით, აქიდან რომ ოუარიათ, მა-აშვინ უნახიათ. რას უცდით, აღდგენას რატო არ აპირებთო?..

— ეკლესია, ღვდელი, ჯვარი და ხატი მომთხოვონ ახლა!

— ცა-აცამ: „ამგენს ღვთის შიში მაინც უნდა ქონოდათ, დღედაღამ კანონი სად უდარაჯებსო“. ჩე-ემზე აკაკუნებს, ვითამ, კანონი რო არა, ეზოში არ ჩამომიშობდაო. იმგენმა: „ამიტოა, ქალბატონო, სული-სა-საფშვინველი შეულეველი, უმისოდ გვჭირს, რაც გვჭირსო!“

— თუ სასულიეროც არა და ამნეირი არაფერი... რა საზოგადოებაა ამისთანა? ვინა ვართ, სად ვმუშაობთ, სად ვცხოვრობთ, რომელი საუკუნიდან მოვედითო, არ კითხე?

— მა-აგ საუკუნე კი არ მომაგონდა და ისე, ქე მინდოდა მეკითხა: მარა კიდო და კიდო უარესათ არ ვაწყენიო-თქვა და ყორფელზე თავის დაქნევა ვამჯობინე. ასე არ ვშობით, როცა ვინმე რაიონიდან, ან უფრო შორიდან მოგვადგება? პირში წყალის ჩაგუბებას რა ჯობია, რომ ვუთხრათ არაფერს ვჩალიჩობთ-თქვა, გადეირევა: აპა, მამა აბრამის ბატკნები ხართო! არა, ვართ ეს ბატკნები, რაჟდენიჩ, და რო ვიძახოთ ვინ დაგვჯერებს?

— კი მაგრამ, თუ საქმეს ასე ჭკუითა და გუმანით მიყევი, მხარი რამ უცვალათ? იქნება თავიდან რამე უზრდელად და ხეპრულად აკადრეთ?... სოფელში ქალაქელებივით რო იცით და ვერ მოგაშლევინეთ: „წადი, შენი ჭკუა ვატირე“ და „შენი პატრონის ქვეყანაო...“ თან ისე იგინებით, ბებრები ამბობენ: მაგნაირი რამე, ყრუობა რო იყო, მაშვინ არ გაგვიგონიაო!! „ბატონოს“ და „თქვენო კეთილშობილებას“ აღრე კი არა, ახლაც ქე გვიშლიენ, შარა „ამხანაგო“ და „პატივცემულო“ ხომ შეგიძლიათ იძახოთ.

— მა-ასე ვუთხარი, რაჟდენიჩ, თავიდან პატივცემულო-თქვა და იცი, რა მითხრეს?

— რაო!

— ჯე-ერ არაფერი პატივი გიცია და რა პატივცემულო ვართო!

— თავიდან არაო?

— მა-ანქანა შეგვიკეთე და პატივნაცემი და პატივცემული მერე ვიქნებითო. ი-იგიც ვუთხარი: გეტყობა, [illegible] ხართ-თქვა. თავიდან ხო [illegible] თი ნათლიისშვილი თუ იყო.

— სულ ორი იყვნენ, ხომ?

— ო-ორიც რაფერ მეიძებნა, რაჟდენიჩ, ასე ერთი ჭკუის და ერთიმეორის ალიკვალი... და, რო ვუთხარი, გეტყობათ საპატივცემულო ხალხი ხართ-თქვა: ჰოო, საპატივცემულო სხვაა და პატივცემული სხვაო. რაჟდენიჩ, შენი არ ვიცი და მე ერთნაირი მეგონა.

— არაო?

— ა-არაო. საპატივცემულოა, რომელიც პატივის ღირსია და მზად ხარ, პატივი სცე. პა-ატივცემული ისაა, რომელსაც უკვე პატივი დადე, მიაგეო და თუ ეს უკვე ჰქენი, რა საკადრისია ადამიანს წამოაძახოო, ეს დამადლებას ნიშნავსო!..

— ა, ალბათ ამის მერე ელაპარაკე უხეშად და გააფუჭე საქმე!

— ა-ა-არა, რაჟდენიჩ!.. ჰო, მერე იმ „იჩიზა“ ამიხირდნენ, რომ მითხრა შენი ნათლიის შვილი ვარო... ი-ისედაც შეცბუნებული ვიყავი, თან ენა თლათ დამება და რო დევიწყე: ა-ანა-პო-პო-პო-პო... ველარ დავამთავრე და, იმ ერთხელ გაიცინეს, რაც ჩემსას იყვნენ...

— მერედა, ეს პო-პო-პო-პო... რა იყო, ძაღლებს უძახოდი და უქსევდი?

— მა-ამის სახელით მინდოდა, ა-ანაპოლისტევიჩ-თქვა...

— არც ეს მოეწონათ?

— ე-ეს „იჩები“ აქ ვინ გასწავლათო, აქ რომელი თანამდებობის ხალხი თქვენა ხართო? ვითამ, ჩვენი სოფელი მინდოდა გამოშეჩინა, ზრდილობა ჩვენცა გვაქ, შენი არ იყოს, ძველი დრო კი არაა-თქვა. „ი ძველი ზრდილობა არ დაგეკარგათ, იმ მამაჩემ ანაპოლისტეს ჰქონდეს ცხონება, კარგი იყოო“. მე-ერე, ცაცას რო მიეფეთენ: „ქალბატონი და ქალბატონოო“, მი-ივხვდი და სულ „ბატონო“, „შენი ჭირიმე“ ვუძახე. რა ვიცი, ასე არ ჯობდა?

— რა ჯობდა და რა არა, მაგენს რას გოუგებდი, მარა, გზას რო დაადგნენ, რა თქვეს, რა დაგიბარეს?

— შე-ენს მტერს, რაჟდენიჩ... რა ვიცი, ყოველნაირად ისე დამაბნიეს... და და-ამწვარს დუღარეო, ჭიშკართან რო ძველი ქვები მიყრია, ის რო დეინახეს — „დი-ი-იდუო!“

— მართალია ის ხალხი. ის ჭიშკრის ქვები რაღათ გინდოდა, ვერ მოაშორე იქიდან?

— მო-ოაშორე კი არა.. ამ ძველისძველ ჩუქურთმიან მშვენიერებას აგდებთ, ამ სოფელს რომ შეუძლია ამით თავი მოიწონოსო და ჭიშკარს რკინისა და თუჯის ბოძებზე კიდებთო?!

— მიდი, კაცო, შენ! მაგენს უყურებ?

— ჰო-ოდა, რაჟდენიჩ, იმისანა დაშამათებული წავიდენ, დანა კბილს არ უხსნიდათ, მე არაფერი, მარა ცაცას შეეიმერთენ: „ამასო, ჩემზე უთხრეს, რაღა ეშველება, იქნება ბავშვებს მიხედოთო... ჰო, რამდენი გყავთო?“ ცაცამ: „ამის ხელში ნეტა ის ერთიც არ გამჩენოდაო!“ ეუუ! ყოველნაირად რავა ვიქცევით და ვპარტახდებითო, მარა უსულო ადამიანის ყოლას უყოლობა ჯობიაო... რა-აცა გყავთ, იმას მიხედე, იქნება რამეფრად სული ჩაბეროო.

— ბოვშვს რავა, მართლა სულისთქმა უჭირს, თუ რა შეამჩნიეს ასეთი?!

— ა-ამისთანა კი არაფერი... ცოტა

ხორცსავსეთაა, დილას, წასვლამდი, კაი მსუ-უყე საუზმე, სკოლაში — სადილი, სახლში — სამხარი, ზარმელი, ვახშმი და... ფე-ერ-ხორცათ კარქათაა, მაგის მხრით კი არაფერი მეთქმის, მარა, სწავლას ვერ ასწრებს, ჩამორჩა.

— ბოვშვია, რა ვუყოთ მერე, თამაში უნდა, განძრევა ჭირდება.

— კი-იდო, მუსიკაზეც ხო დაგვყავს.

— მერე, ყველაფერს რო ვერ მოასწრებს, მაგი არ უთხარით?

— ცაცამ უთხრა და იქვე მიაყოლა: ნეტა რა გვემუსიკება და გვემღერება, მარა პიანინო გვაქვს და დამკვრელი ხო გვინდაო. ქე ი-იცი, ყველას ქონდა და მეც ვიყიდე. მე-ეტიც რამდენი მივეცი... ცაცამ მაშვინაც: „მეზობლების ჯიბრზე, თვარა, ი-იჭმება თუ ისმება, ვიცითო?“ იმგენმაც: „ყოველნაირად გქონიათ საქმე აწყობილიო!“ ცა-აცამ: „ჩვენ რო საკრავათ, საცეკვაოთ და სამღერლად საქმე გვაქვს, კი გვეყოფაო!“

— ჭიშკართან დადგენ და აღარ წევიდნენ, კაცო, ბოლოს და ბოლოს?

— წევიდენ. გადავყევი მაგათ მანქანას, პატივისცემას და მადლობის მაგიერ... რო შე-ეგონა მოყვარე, ნათელ-მირონი დევიბრუნე-თქვა, „ნეტავი თქვენი კარგად ყოფნით, აქეთ პირი არ გვექნა და მანქანა, საიდანაც წამოვედით, იქ გაგვფუჭებოდა, ან ფეხი დაგვტეხოდაო!..“

— რაო, საიდანაც ჩამოვედით, იქ საქმე... თუ, რავარც თვითონ უთქვამთ „სული“... სული გვიდგასო?

— იქ რაც გვჭირდა, იგი არ გვეყოფოდა, დამწვარზე მდულარე დავისხითო!..

— რა მიკვირს, იცი, ჩემო ბარდღა?

— რა-აედენიჩ, შენ თუ რამე გიკვირს?!

— მიკვირს! ამ ხალხს მართლა რისი სული უდგას, რომ რაღაცას დაიჩემებენ და უნდა ქვეყანა გადარიონ. იქაც თუ ისეა საქმე, რავარც აქაა, მაშინ რა ატირებთ და აყივლებთ?!

— ო-ორი დღის წუთისოფელია ეს ქვეყანა და ამ მუცელს, ჭინჭებს და ცემენტის უშველებელ ყუთებს, ამათ რომ სახლ-კარი გონიათ, რავა უნდა გადაყვენ და სული ეშმაკს რავა უნდა მიჰყიდონო!

— რაიო? ეშმაკს მიყიდეთ და იმიტომ არა გაქვთო?

— ა-ამაზე წუხდნენ ნამეტანს... და იმიზა, იაშა გერაძეს...

— ტაქსის შოფერი რომაა!.. ალბათ მეტი გადაახდევია...

— ა-არა, ტაქსში როიც იუდენ.

— ჰო, ჰო, თავისი მანქანა ყავდათ... აპა, იაშასთან რა უნდოდათ?

— რა-ა და, საცხეიდან რო შიკარტუშჩიკები ჩამეიყვანა და სახლი ხელახლა გაალესია...

— მართალია, არც ისეთი... ნამეტანი ლამაზი ვარგა...

— ლა-ამაზი რო გვეგონა, სიმახინჯეაო!

— რატო, კედელში სარკის ნატეხები და ფერადი...

— ფერადი შუშებიო!.. უცხომ რო გეიაროს, სად მიწაში მიძვრებითო!..

— მიწაში არა, ქვესკნელში... ჯანდაბას მაგათი თავი, ხო მოშორდენ აქოურობას!

— წე-ევიდენ, რაედენიჩ, და, რავარც ახლა შენ გიყურებ, ისე ვიცი, მაგენი აქით პირის მქნელი არ არიენ.

— და ნურც შენ. რაიმე ჭირი იყოს, ლხინი იყოს... ნუ შეაწუხებ.

— ა-არა, აჰ! რა მეხლაფორთება და მედავიდარაბება.

— კი, კი, მე რო ვუკვირდები, ასე ჯობია!... რაღაცა „სული“ და რაღაცა... „საფშვინველიო“.

— ჰო, „საფშვინველიო“, „ეშმაკიო“, „მავნეო“... რა ვიცი, კიდევ რას მოიგონებენ და აგვირევენ აწყობილ ქვეყანას.

— კა-აი, რაედენიჩ, ბატონო, რავარც იტყვი, ისე ვიზამ. შე-ენზე უკეთესად ვინ იცის.

კარებთან მისული ბარდღა მაინც შეყოვნდა, გასაღების გადასაბრუნებლად წაღებული ხელი გაუჩერდა.

— რა იყო, კაცო, რა ფეხს ითრევ?!. ამ სოფელში შენს მეტი არავინაა და მეტი საქმე არა მაქვს?! — ენუქიმ მაგიდაზე მოფენილ ქვითრებს, ბლანკებსა და უწყებებს ორივე ხელი მიაშვირა.

— საქმის მეტი რა გვაქვს, რაედენიჩ, მარა...

— რა, რა მარა... რა ვერ გაიგე!.. მთლად ცოლის ჭკუაზე ნუ გადახვალთ, ბოლოს და ბოლოს! კაცი კაცი უნდა იყოს და ქალი — ქალი!..

— კი-ი, ენუქი, მარა... იმგენს ამნეირი რო არაფერი ეტყობოდათ.. ცა-აცას წიგნები... რაღაც-რაღაცეები ხო გვაქვს?.. ზოგს ნამალევად ყიდულობს და ზოგს ნაცხადურათ...

— წიგნებისთვის გცალიათ, დღე და ღამე მანქანის ქვეშა ხარ...

— ა-არა, მე კი არა... მარა ცაცა ღამ-ღამობით... ჩემი ხო არ ეყურება... და იმგენმა, ვახშმის მერე, შკა-აფში მარტო გარედან რო შეხედეს, მაშინათვე... არც ჩოუხედიათ... ყორფელი იცოდნენ, რაში რა ეწერა.

— წიგნი... აბა, ის დრო კი არაა და აგერ, ბიბლიოთეკა არა გვაქვს თუ, ვის აკვირვებენ მაგენი...

— მა-აგი ვუთხარი და... კა-არქიო...

— ბარდღა, გამასწარი შენი სტუმრებიანათ გარეთ!.. მაგ წიგნებია, რო იცოდე შენ!..

— მი-ივდივარ, რაედენიჩ, მარა ნამეტანი, ალბათ, არაფერი არ ვარგა, ხოო?

— არ ვარგა! და, ამას გარდა, თეატრია, კინოა, რადიოა, ტელევიზორია... ხოა ზოგჯერ ისეთი რაღაცა, რომ ვერაფერს გაუგებ. არც სასაცილოა, არც გასართობი და დაბორიალობენ ყურებჩამოყრილი არტისტები... მაგისთანები ე, მაგენზე არიენ მიციცინებული. შექსპირი რავა არ გაგიგონია... და ჰამლეტიე რამდენს ქვია ჩვენ სოფელში...

— ე-ე! შაგაზეც ამბობდენ...

— ბარდღა, გაჩუმდი! — იჯღავლა ენუქიმ. — არ მინდა, არ გამაგონო! მე გამიგონე, ის შექსპირი რომაა.

— რა-აედენიჩ, არის თუ იყო.

— მაგენს რო კითხო, არის და იქნებაო.

— მი-იდღემჩი იქნება?!

— ბარდღა, ეგი არაა ჩვენი საქმე, იმგენივით ყოლფერში ცხვირს ნუ ჩავყოფთ, მარა ჰამლეტი ხო იცი... იმას თუ დაუკვირდები, მამაჩემის აჩრდილიო, რო იძახის და ეჩვენება...

— ალბათ, ისაა სული, რაედენიჩ!

— სული!.. სული კი არა, ეჩვენება და რო ეჩვენება, სრულ ჭკუაზეა, გგონია?

— ა-აპა, გაგიჟებულს გვაყურებინებენ?

— თუ არადა, დაფიქრდი, ბარდღა, მართლადა, ყრუობა ხო არაა... მამები არ გვყავდა ჩვენ?

— იმას მოუკლეს, რაცხა, ასე მგონია.

— მერე? ჩვენ არ მოგვიკლეს?

— მა-ამაჩემი ბაბუაჩემზე ისე ძაან წუხდა, უსამართლობამ გოუხეთქა გულიო.

— მარა, ვის მეეჩვენა და ვინ გადეერია!.. მაგ კითხვით და მაგნარეობით ყურებით ემართებათ იმ შენი ნათლიისშვილებს მაგისთანები.

— რა-ავა, მართლა იჯერებენ?

— აპა! იჯერებენ და მერე... რავა არ იცი, ქარის წისქვილებს რო ებრძოდა კიდო ერთი ესპანელი... ესპანეთი რავა არ იცი, ფაშისტი ფრანკო რო ყავდათ...

— კი-ი, რაედენიჩ, იმ ქარის წისქვილებზე და იმ ვირიან სულელ გლეხზე რამდენი ვიცინე...

— შენ იცინი და მაგენი ტირიან.

— მაგიზა თუ ტირიენ?

— ტირიან და... რამდენია კიდევ მაგისთანა იდიოტები და შეშლილები. რუსეთში იგიც კი იყო, რომ „სულებს“ ეძებდნენ და ყიდულობდნენ.

— და-ა „რევიზორები“... მარა რევიზია ახლაც ბევრია და გო-ონია ყველა ნამდვილი არც ქეა.

— რას ქვია ნამდვილი არაა! შენ ისევ ის დრო გგონია?!

— ა-არა, ი დრო ვინ თქვა, მარა ერთს და ორს რო ვაქეიფეფთ, მესამეს და მეოთხეს რატო უშობენ!

— ჰო, ეს... იმ ერთსა და ორს არაფერი შეეშალოთ.

— ჩვე-ენ არაფერი გვეშლება და იმგენს ეშლება?!

— ჩვენ რომ არ გვეშლება, ამიტომ და, ამის გარდა, ამ დროშიცაა, ბარდღა გადმონაშთები და ნეგატიური ამბები.... ამაზე, ჩვენ, რაიონში თათბირები და ბიუროები რომ გვაქვს, ვიცით... წიგნებს... თუ მაგისთანებივით მოცლილი არა ვართ და სქელ-სქელ წიგნებს არ ვქექავთ, ამიტომ არ ვიცით? რავა, მართლა ის დრო ხომ არაა და სოფლის მამასახლისებივით ჭურში ხომ არ ვზივართ... წადი, წადი თუ კაცი ხარ და იმ ჩემ მანქანას კრესტავინა, თუ ჯვართავა რო უკაკუნებს არ დაგავიწყდეს!

— არა, რაედენიჩ, მა-აგას რა დამავიწყებს, — ბარდღამ გასაღები გადააბრუნა.

— მე კი... კი, რაედენიჩ, აპა რავა, მარა სოფელში... ცა-აცას ენაზე რამე დაამაგრდება და მეზობლები რო იმას კითხულობენ: ეს „სული“ თუ უნდა გვქონდეს, რა იქნა, როგორ ამოგვაცალესო?

— კაცო, არ გადამრიო მე შენ! წადი და ყველას ასე უთხარი, ენას კბილი დააჭირონ. საქმე საათივით აქვთ აწყობილი და ენა არ ამომაცლევინონ!

— არა, რო გეიგონ, მაინც. ვითამ რა არიო, თუ ასე საჭიროა, რატო, რა-ატო არ უნდა გვქონდესო?

— გაჩუმდი, ბარდღა, შენ... არ მიყვარს ცოლის ჭკუას აყოლილი კაცი. რაა... რა უნდა იყოს ასეთი... საჭირო რო იყოს, მე არ მექნება?

— ცა-ამდი მართალი ხარ, რაედენიჩ, შენ რო გქონდეს, ან იცოდე რაა და სოფელს უმალავდე... სოფელი შურიანია, ხო იცი, რას იტყვის. ა-ახლა ვის რა უნდა და რა ხმა ამოეღება!

— აგაშენა ღმერთმა, მაგი ვთქვი მეც... წადი, წადი თუ კაცი ხარ და საქმეს მიხედე! ენა... ენას კბილი დააჭირეთ! ნუ აყოლილხართ ფეხის ხმას და რასაც ჩაგძახებენ, ჭურივით ნუ ამოიძახებთ! გასაგებია?

— ყო-ოლიფერი გასაგებია, ენაჩაყლაპული ვარ, რაედენიჩ და, ქე ხედავ. მივდივარ...

ვანილია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარნარდის მესამე ქორწინება

პროფესორი ბარნარდი მსოფლიოში ცნობილი გახდა ამ ოცდაოდე წლის წინათ, როდესაც ისტორიაში პირველმა გადანერგა გული კეიპტაუნის საავადმყოფოში. მისი პაციენტი იყო ორმოცდაცამეტი წლის მამაკაცი (ოპერაციის შემდეგ მან ათი დღე იცოცხლა).

გულის გადანერგვის პირველმა ოპერაციამ ქირურგს სახელი და სიმდიდრე კი მოუტანა, მაგრამ ყველაფერი ეს ძვირად დაუჯდა მის პირველ მეუღლეს; თავმდაბალი, მოკრძალებული ქალი ქმარს გაეყარა 1969 წელს, მას შემდეგ, რაც უპოვნა იტალიელი მსახიობი ქალის ჯინა ლოლობრიჯიდას სასიყვარულო ბარათები.

პირველ მეუღლესთან ბარნარდს ორი შვილი ჰყავდა, ვაჟი (იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა) და ქალიშვილი, რომელიც 18 წლით უფროსია დედინაცვალზე.

გავიდა კიდევ ერთი წელი და პროფესორი ბარნარდი დაქორწინდა ცხრამეტი წლის ბარბარა ზელნერზე, სამხრეთ აფრიკელი მილიონერის ქალიშვილზე. მეორე ქორწინებიდან მას ორი ვაჟი ჰყავს. მათ ერთად თორმეტი წელი იცხოვრეს. ბარბარა ზელნერი უკმაყოფილო გახლდათ იმით, რომ მეუღლე ძალიან დაკავებული იყო. ისინი 1982 წელს განქორწინდნენ.

„ფრანს პრესის“ სააგენტო იუწყება, რომ სამოცდახუთი წლის ქირურგი კრისტიან ბარნარდი მესამედ დაქორწინდა (მისი მეუღლე ოცდაოთხი წლისაა).

კეიპტაუნში ქორწილს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ადგილობრივმა გაზეთმა გამოაქვეყნა პატარძლის — კარინ სეტცკორის ფოტოსურათი, რომელიც გადაღებულია იმ დროს, როცა იგი ექვსი წლისა იყო. ამ სურათში მომავალი პატარძალი ექიმ ბარნარდს მუხლზე უზის.

სურათის გადაღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ პროფესორი ბარნარდი შემთხვევით შეხვდა მას კეიპტაუნში, საკუთარი რესტორნის გახსნისას.

ბარნარდმა თავი დაანება კარდიოქირურგობას. იგი დაავადებულია ართრიტით და აღარ შეუძლია ოპერაციების ჩატარება. ამჟამად ბარნარდი ოკლახომის სამედიცინო ცენტრის კონსულტანტია. ამას წინათ იგი მშობლიურ ადგილებში — კაპსკის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთის ფერმერთა დასახლებაში დაბრუნდა და ცხვრის ფერმა შეიძინა.

ქორწილი ბორბლებზე

ცნობილია, რომ ექსცენტრიზმი შესაძლებელია სრულიად განსხვავებულ ფორმებში გამოვლინდეს.

შეყვარებულები შეუღლებულან წარმოუდგენელ ადგილებში: ერთმანეთისათვის ბეჭდები გაუცვლიათ წყლის ქვეშ, ღრუბლებს ზევით, მთის უმაღლეს მწვერვალზე...

ოცდაათი წლის ამერიკელმა რიჩარდ დიუმმა და ჯენის ლისიარმა გადაწყვიტეს, ხელი მოეწერათ... ავტობუსში.

ეს გადაწყვეტილება სულაც არ არის ექსცენტრული, საქმე იმაშია, რომ როგორც საქმრო, ასევე საცოლე, პროფესიონალი მძღოლები არიან. მათ ერთმანეთი ავტობუსში გაიცნეს.

მძღოლი გონს მოდის

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფრიდბერგის პოლიციამ დიდი ხნის მანძილზე ვერაფერი მოუხერხა მძღოლებს, რომლებიც სიჩქარეს აჭარბებდნენ.

არც გაფრთხილებამ, არც მაღალმა ჯარიმამ არ გასჭრა. ბოლოს პრობლემა გადაწყდა... ქალაქის ხელისუფლებმა ათას მარკად შეიძინეს ავარიაში მოყოლილი ორი დამტვრეული ავტომანქანა და ისინი ქალაქის შესასვლელში დადგეს.

ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ახლა მძღოლები, რომლებიც ცდილობენ, ქალაქიდან ასი კილომეტრი სიჩქარით გავიდნენ, დამსხვრეულ მანქანებს რომ დაინახავენ, სწრაფად ანელებენ სვლას.

კინოვარსკვლავი გააძევეს

განთქმულმა პორნო კინოვარსკვლავმა ილონა სტაილერმა, რომელიც იტალიის პარლამენტის წევრია, გადაწყვიტა, თავისი უფლებები ევროპის პარლამენტშიც წამოეყენებინა.

ბრიუსელში, სადაც ამ ბოლო დროს ევროპარლამენტის წევრები იკრიბებიან, მას იმედი გაუცრუვდა: პირველივე საღამოს სტაილერი საპოლიციო უბანში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ ბელგიიდან გააძევეს.

პოლიციის ხელისუფალთა განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სტრიპტიზი ბელგიაში აკრძალული არ არის, ილონა სტაილერმა ღამის კლუბში თავის თაყვანისმცემელთა წინაშე გამოსვლის დროს ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა.

სიგარეტი ცეცხლმაქრობით

ანთებული სიგარეტი ხშირად ხანძრის გაჩენის მიზეზია. დანიელი გამომგონებელი კ. იენსენი კი გვარწმუნებს, რომ მისი გამოგონებით შესაძლებელია სიგარეტით ხანძრის გაჩენის თავიდან აცილება.

კ. იენსენის მიერ შემოთავაზებულ გამოგონებაში სიგარეტსა და ფილტრს შორის მოთავსებულია ამპულა წყლით. ამპულის გარსი პოლიეთილენის ან პროპილენისაგანაა დამზადებული; როგორც კი ცეცხლი ამპულას მიუახლოვდება, გარსი სკდება და წყალი სიგარეტს აქრობს.

თანაც, შეიძლება ამპულა ფილტრიდან მოშორებით მოთავსდეს. ამით სიგარეტი მწეველისათვის ნაკლებშხამიანი იქნება. როგორც ცნობილია, მავნე ნივთიერებანი ორგანიზმში სიგარეტის ქვედა ნაწილიდან ხვდება.

იენსენი იმედოვნებს, რომ მისი გამოგონება „სიგარეტი წყლის ამპულით“ მსოფლიო ბაზარს დაიპყრობს.

ჯერჯერობით ეს სიახლე დაპატენტებულია ოცდაჩვიდმეტ ქვეყანაში.

ზამალი ცხვირის ღრუდან

მეცნიერები ეძებენ ორგანიზმში წამლის შეყვანის ახალ გზებსა და საშუალებებს.

ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრი სამკურნალწამლო საშუალება იშლება საჭმლის მომნელებელ ფერმენტთა ზემოქმე-

---

ბომბეის ცენტრალურ მოედანს აუყვა, ლამაზ, აივნიან სახლთან გაჩერდა და ფანჯარას მიაჩერდა.

რატომ არ უკრავენო, გაუკვირდა.

ყმაწვილი ქვაფენილზე ჩამოჯდა და დაელოდა.

ფანჯარაში გოგონა გამოჩნდა.

ბიჭუნამ დაუსტვინა.

გოგონამ მისკენ გამოიხედა.

— რას გვიბრძანებ? — დაეკითხა.

— გთხოვ, იმღერო.

— აბა, მოუსვი! ეგლა მაკლია, შენს ქეიფზე ვიარო, — მიუგდო და ფარდის უკან მიიმალა.

ისევ დაუსტვინა!..

— შეგვეშვი, თორემ განანებ.

— აქედან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ იმღერებ.

შუაღამის, წარმოსადეგმა მამაკაცმა (გოგონას პირზე ხელი ააფარა:

— შვილო, ეგრე უკმეხად ლაპარაკი არ შეიძლება! — შემდეგ უცნობს გადასძახა:

— ქალიშვილი რატომ გაგვინაწყენე?

— აბა, რა? ამოდენა გზა ტყუილა გამოვიარე? ვთხოვ, რა მოხდება, იმღერე-მეთქი, ის კი ინაზება, თავს იფასებს.

— რა სიმღერაა ასეთი?

— დაე, მუდამ იყოს მზე!

— ოჰო, საიდან იცი?

— რუსი ტურისტებისგან გამიგონია. ძალიან მომწონს. ყოველთვის აქეთ მოვეშურები, ერთი სული მაქვს, რომ მოვისმინო...

კაცი ჩაფიქრდა. სათვალე გაისწორა და ბიჭუნას ანიშნა, ამოდიო.

შევიდა ოთახში და მიესალმა გოგონებსა და სანდომიან ქალს.

კუთხეში მიიყუჟა. შეცბუნებული გოგონები კედელს გაეკვრნენ.

— რა გქვია, ყმაწვილო? — მყუდროება დაარღვია ოჯახის უფროსმა.

— სანჯაი, ჩემო ბატონო!

—მშობლები გყავს?

— დიახ, ერთი დაცა მყავს.

სერგო არაქელიანი

ერთი თავი მოთხრობიდან

ხოჯა აჰმად აბასის მინაწერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებით ჯერ კიდევ მანამ, სანამ ისინი მოქმედებას იწყებენ.

ფირმა „კალიფორნია ბიოტექნოლოჯის“ მკვლევარები გვირჩევენ, რომ ინსულინი, ზრდის ჰორმონი და ზოგიერთი ცილა ცხვირის ღრუდან შევიყვანოთ.

იმისათვის რომ ეს დიდი მოლეკულები ცხვირის მემბრანაში გავიდნენ, მკვლევარები მათ სინთეთიკური წარმოშობის მცირე ზომის მოლეკულებით ფარავენ; მათ კი სოკო გამოიმუშავებს.

რთული ექსპერიმენტი

ამას წინათ მონრეალის ერთ-ერთმა კლუბმა რთული ექსპერიმენტი ჩაატარა. ახალგაზრდა, ძალზე სიმპათიურ ქალს ასდოლარიანი უნდა გადაეცა იმ მამაკაცისათვის, რომელიც მას ავტობუსში პიკის საათებში ადგილს დაუთმობდა.

მანდილოსანი ძალიან გაწვალდა... არა და არ ჩანდა ნანატრი ჯენტლმენი.

ბოლოს, როგორც იქნა, მერვე ავტობუსში ძლიერი სქესის წარმომადგენელმა დაუთმო ადგილი, თანაც დასძინა: — „ჯანდაბას ჩემი თავი, დაბრძანდით. ამ გაჩერებაზე მე მაინც ჩავდივარ!“

გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან

ალექსანდრე დიუმა (შვილი)

რა საწყენია

მაღალი წრის საზოგადოების წარმომადგენელი მანდილოსანი ალექსანდრე დიუმას წერილით პატიჟებს თავისთან. მწერალი ვერ ახერხებს მისვლას და პასუხად საბოდიშო წერილს უგზავნის. ამან ძალზე გააღიზიანა მანდილოსანი. და აი, პირველსავე შეხვედრისას ქალი მწერალს ეუბნება:

— რა საწყენია, ბატონო დიუმა, რომ ცნობილი მწერლები უწინდებურად ზრდილობიანნი აღარ არიან ქალების მიმართ.

— რა საწყენია, — შენიშნა დიუმამ, — რომ მაღალი წრის საზოგადოების ქალები უწინდებურად თავაზიანნი აღარ არიან მწერლების მიმართ.

ტრისტან ბერნარი

აურზაურის გარეშე

ერთი დრამატურგი ტრისტან ბერნარს დახმარებას თხოვს პიესის სათაურის შერჩევაში.

— მე ხომ პიესა არ წამიკითხავს, ძვირფასო, — ეუბნება ბერნარი.

— არა უშავს, მაინც ეცადეთ.

— რახან ასეა, კარგი. თქვენს პიესაში გამოყენებული გაქვთ დაფდაფები?

— არც ერთი.

— საყვირები?

— არც საყვირი.

— მაშ, ნუღარ ეძებთ სათაურს. პიესას უწოდეთ „აურზაურის გარეშე“.

მანქანაში

ერთი მეგობარი ტრისტანს თავაზობს:

— მანქანით გინდა გაგასეირნო?

— სიამოვნებით!

ჩასხდნენ ორთავენი მანქანაში და გზას გაუდგნენ. მანქანა ხეს დაუპირისპირდა და შეეჯახა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. დარცხვენილი „მძღოლი“ ბოდიშს უხდის ტრისტან ბერნარს.

— ერთი ეს მითხარი, — ეკითხება ტრისტანი მეგობარს, — როცა გზაზე ხე არ დგას, როგორ ახერხებ მანქანის გაჩერებას?

რომ არ გაალვიძოთ

ერთმა მომხსენებელმა, რომელმაც თავისი მრავალსიტყვაობით ყველას თავი მოაბეზრა, ტრისტან ბერნარს შესჩივლა:

— არ ვიცი, რა ვქნა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს არავინ მისმენს.

— თქვენ რა, რჩევა გნებავთ ჩემგან? კეთილი. როცა მოხსენებას დაამთავრებთ, საზოგადოებას თავი დაუკარით და ფეხაკრეფილმა დასტოვეთ დარბაზი.

— რატომ?

— რომ არ გაღვიძოთ, ვისაც სძინავს.

მორის ფევალიე

ჩვენ ბარიბარში ვართ

როცა მორის შევალიე ცნობილ მწერალს ბერნარდ შოუს შეხვდა, უკვე კინოს საკმაოდ ცნობილი მსახიობი იყო.

— ძალიან გამეხარდა თქვენი გაცნობა, ბატონო შევალიე. ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ, ოღონდ კინოში არასოდეს ვყოფილვარ, რათა ეკრანზე მეხილეთ, — უთხრა მას მწერალმა.

— ჩვენ ბარიბარში ვართ, ბატონო შოუ: მეც ბევრი რამ მსმენია თქვენს შესახებ, ოღონდ თქვენი არც ერთი წიგნი არ წამიკითხავს.

ფრანგულიდან თარგმნა **იონა ბადაგიძემ.**

ლოცვის საფასური

გვალვები დაიჭირა. ახუნდმა ხელები ზეაღაპყრო და ღვთისადმი ლოცვა ალავლინა. მეორე დღეს მართლაც იწვიმა. ახუნდი გავარდა, თანასოფლელებს კარდაკარ ჩამოუარა და ფული მოკრიფა. მოლამ უარით გაისტუმრა.

— გახსოვს, აღა, — უთხრა, — შარშან კოკისპირულად რომ წვიმდა, ალაჰს სამი დღე ემუდარებოდი, რა იქნება, გადაიღოსო. ამაოდ დაშვრი. არ შეისმინა უფალმა შენი ვედრება. მარცვლეული ჩახურდა, ჩალაა. ლოცვის საფასური მაშინ გადაგიხადე და ახლა გამოგიქვითე ...

მოლას ვირი

ქედხუდამ ნასრედინისგან ვირი ითხოვა და სამოგზაუროდ გასწია. აქეთობისას, მეზობელ სოფელში, გაყიდა. შინ რომ დაბრუნდა, პატრონს მოახსენა:

— სახედარი მომიკვდა. უფალმა მიიბარა მისი სული. უზენაესის ნება ასეთი იყო.

— რა იცი?

— წუხელ დამესიზმრა. თავისი პირით მითხრა.

— როგორ გეკადრება! ალაჰი საზმარში მეც გამომეცხადა.

— მერე?

— ვირი ისევ მოინდომა...

განკითხვის დღე

ახუნდმა თანასოფლელები, რომლებსაც შესაწირავი არ მოჰქონდათ, შერისხა:

— ასე თუ წავიდა, ხვალ-ზეგ, ღვთის სამსჯავროს წინაშე რომ წარვდგებით, ალაჰი არ შეგვინდობს და სული წაგვიწყმდებაო...

მოლა ახუნდის სახლში შეიპარა, ძვირფასი, მაგრამ მსუბუქი, რაც კი ხელში მოხვდა. წამოკრიფა და გამოვარდა. ახუნდი გამოეკიდა:

— ჩემი ნივთები სად მიგაქვს, შე კაი კაცო?

— აკი შენი პირით ამბობდი, განკითხვის დღე დაგვიდგებაო. თუ ქვეყანა დაიქცა, ამ ქონებას რა თავში იხლი?!

თარგმნა **მამიკონ თაქორიანმა.**

— რას დგახართ? გაამხიარულეთ სტუმარი. შეასრულეთ მისი საყვარელი სიმღერა.

— მაინც რომელი? — იკითხა უფროსმა დამ.

— დაე, მუდამ იყოს მზე! — ჩაერია სანჯაი.

— მე დავუკრავ, ჩემი დები კი იმღერებენ, — თქვა და როიალს მიუჯდა.

სანჯაი სულგანაბული უსმენდა. გოგონებმა უკანასკნელი აკორდი აიღეს. ბიჭუნამ მოწიწებით თავი დახარა და წასასვლელად გაემზადა.

— არა, ვერ გაგიშვებთ, — ზეზე წამოდგა დიასახლისი. — სადილზე ჩვენთან დარჩები.

— გმადლობთ, ქალბატონო, არა მშია. მეზობელ ოთახში წიგნებს ვხედავ. შეიძლება, დავათვალიერო?

— როგორ არა! — მიუგო კაცმა და კაბინეტში შეუძღვა.

— სანამ ისაუბრებთ, მაგიდას გავაწყობ, —თქვა ქალმა და სამზარეულოში გავიდა.

სანჯაი გაოცებული შეჰყურებდა თაროებზე ჩაწყობილ წიგნებს.

— სულ წაკითხული გაქვთ? — ჰკითხა.

— რასაკვირველია ... წიგნი სულიერი საზრდოა. უნდა ეზიარო ამ უხილავ საგანძურს, მიხ სიბრძნეს, რომ შეიცნო და ჩასწვდე სამყაროს საიდუმლოებას. მაგრამ თუ არ გადაშლი, რად გინდა, ტყუილად გედოს, ჩრჩილმა შეჭამოს, გახუნდეს?...

სანჯაი წიგნების ყდაზე ლამაზად გამოყვანილ ასოებს ჩაჰკირკიტებდა.

„მაჰაბჰარატა!“ — აღმოხდა უცებ და თვალები გაუბრწყინდა.

— ვინ გასწავლა წერა-კითხვა? — გაოცდა მასპინძელი.

— დედამ.

— სადილი გაცივდება, — შემოიჭვრიტა დიასახლისმა.

— მოიცა, — მასპინძელმა თაროდან წიგნი ჩამოიღო, თავფურცელზე რაღაც წააწერა და სანჯაის გაუწოდა.

ბიჭმა გამოართვა. „შვილი ინდოეთისა“ ეწერა გარეკანზე. გადაშალა, ავტოგრაფს თვალი შეავლო და ჩაიკითხა: „ჩემს პატარა ჭკვიან მეგობარს სანჯაის ხოჯა აჰმად აბასისგან!“

ბიჭუნა შეკრთა. წიგნი გულში ჩაიკრა: — ღმერთო, ნუთუ ეს თქვენა ხართ? ამხელა მწერალი! არა მარტო ინდოეთი, მთელი მსოფლიო რომ იცნობს... სიზმარში მგონია თავი!

ორეოცდასამი ლ უვიდი ჯელურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ჩალაური



მხატვარი დინარა ნოდია

როდესაც ქალმა დაუძახა, ბიჭს უკვე ეღვიძა, მხოლოდ თვალები ჰქონდა მიღულული და ბეღურებზე ფიქრობდა.

— რამდენია? — იკითხა მან.

— არ ვიცი, — უპასუხა ქალმა. — არ დამითვლია.

ბიჭმა არ დაუჯერა. მიხვდა, რაღაც რომ დაუმალეს. სწრაფად გადაიძრო საბანი, წამოხტა და ტყაპატყუპით მიირბინა სარკმელთან.

ქალს გულიანად გაეცინა.

ჩაიცვი, თორემ გაცივდები.

ბიჭმა ყურადღება არ მიაქცია, ორივე ხელით ჩაეჭიდა სარკმლის კიდეს, ცხვირი მინას მიაბჯინა და თვლა დაიწყო. საოცრად სასაცილო იყო, ძალიან ტიტლიკანა და ვარდისფერი. კარგად გამოფხიზლება ჯერ კიდევ ვერ მოესწრო, თავს ძალას ატანდა და გულმოდგინედ ითვლიდა. როდესაც მოამთავრა, „ვაიო“ წამოსცდა.

— რა მოხდა? — დაეკითხა ქალი.

— შვიდია, — ხმა გაებზარა ბიჭს.

— შვიდი?! — გაიოცა ქალმა.

ბიჭმა დაბღვერით ახედა, „ვითომ არ იცოდიო?!“ — დანარჩენები სად არიან? — იკითხა გულმოსულმა.

ქალი შეწუხდა.

— მოფრინდებიან... ალბათ... ჩაიცვი!

ქალს მისი სიჩუმე ეუცხოვა და გახედა. კვლავ გაეცინა უნებურად.

პატარას ძილისათვის ეჯობნა და ახლა წარბებს ქვეშიდან იყურებოდა მისკენ. დიდრონი თაფლისფერი თვალები ჰქონდა, საოცრად მრგვალი და კეთილი.

— რა ამბავია?! — გაუწყრა ქალი. — რატომ დგახარ მანდ?

— დანარჩენები სად არიან?

— დაყინებით კითხულობდა ბიჭი.

ქალმა მხრები აიჩეჩა:

— ხომ გითხარი, მოფრინდებიან, — დამარცვლით აუხსნა.

— როდის?

— ალბათ დღეს.

— დღეს? — ეჭვი შეეპარა ბიჭს.

— ხელახლა დაითვალე, — გამოსავალი იპოვა ქალმა. — იქნებ შეგეშალა.

ბიჭს იმედი მიეცა, იქნებ მართლაო. სხარტად შებრუნდა სარკმლისაკენ. საჩვენებელი თითი თოფივით დაუმიზნა ბეღურებს და თვლა დაიწყო. მონდომებითა და დაკვირვებით ითვლიდა.

ქალი უხმაუროდ წამოდგა. ბიჭისათვის თვლაში ხელი რომ არ შეეშალა, ფეხაკრეფით გაეარა ოთახში, მოსასხამი მოიხსნა და ფრთხილად შემოახვია. დადგა და სარკმელში გაიხედა.

ყველაფერი, სადამდისაც კი მზერა გაუწვდა, თოვლის მოფარფატე ფანტელებს დაეფარა. ათოვდა შიშველ, ჩონჩხადქცეულ ხეებს, ჟანგმოკიდებულ სახურავებს, ძველ სამრეკლოს, ქუჩაში მიმავალ ხალხს და სარკმელთან, მუყაოს სადგომზე ჩამომსხდარ, მხრებში თავჩარგულსა და საცოდავად მობუზულ შვიდ ბეღურას.

— ისევ შვიდია, — იმედგადაწყვეტით გამოაცხადა ბიჭმა და თავი ჩაქინდრა.

ქალმა თბილი ხელისგული ჩამოუსვა თმაზე, შემდეგ სახეზე.

— მოფრინდებიან. აი ნახავ... აუცილებლად მოფრინდებიან... დღეს თუ არა, ხვალ მაინც...

თქვა, მაგრამ თვითონაც კარგად იცოდა, რომ დაკარგულთაგან არც ერთი აღარ იყო მომფრენი. ბიჭმაც ძალიან კარგად იცოდა ეს. ამიტომ კრინტიც არ დაუძრავს. მხოლოდ თვალები აევსო ცრემლით და რატომღაც შესცივდა. ქალი შეტრიალდა და გაეცალა. მძიმედ და ავადმყოფურად ადგამდა ნაბიჯებს. კარადასთან შედგა, მაღალყელიან ვაზაში ჩამალული ქაღალდის პარკი ამოიღო და უნებურად ამოიკვნესა.

პატარა ბიჭს უფრო შესცივდა. მაშინ კი, როდესაც დედა მიუახლოვდა, მოსასხამიდან ტიტლიკანა ხელები ამოაძვრინა და, „მე თვითონო“ შეეხვეწა, ბედს შეგუებული და დაღონებული.

ქალმა პარკი გაუწოდა. თავად მუხლებით რაფაზე შედგა და საკეტი გახსნა. რაზეს ჩხაკუნზე ბეღურებმა თავები წამოსწიეს და გამოცოცხლდნენ. არც ერთს არ უფიქრია გაფრენა, პირიქით, სკუპ-სკუპით მივიდნენ სარკმელთან და მის გაღებას დაელოდნენ.

უცნაური ბეღურები იყვნენ — სუსტები, გამხდრები, შიმშილისაგან თავზეხელაღებულები.

ქალმა სარკმელი გამოაღო. ბიჭმა პარკი გახსნა, გადააბრუნა და ნებზე ჩამოიპირქვავა. მთელი მუჭა შავი და გამხმარი ნამცეცები წყალობასავით გადააყარა თავზე ბეღურებს.

ბეღურები სიხარულით აწრიპინდნენ.

ქალი ღიმმორეული უცქეროდა მათ. თან უცნაურ დარცხვენას გრძნობდა, თითქოს მისი ბრალი იყო, ბეღურები რომ მშივრები იყვნენ და მათ კი მეტი ნამცეცები არ გააჩნდათ. თითქოს ის იყო დამნაშავე, დიდ ზამთარს, დიდი გაჭირვება რომ მოჰყვა, შეღამებულზე ღუმელებს რომ მომჭირნეობით ანთებდნენ და ბეღურები თითო-თითოდ იყინებოდნენ სხვენში.

ქალს არ უნდოდა, ეს ყველაფერი მის ბიჭს ცოდნოდა, ძალიან არ უნდოდა. მაგრამ იმ ზამთარს, დიდებმაც და პატარებმაც, ბევრი ისეთი რამ განიცადეს და გაიგეს, რაც შემდეგ აღარასოდეს დავიწყებიათ.

— დღეს თოვლის პაპას გავაკეთებ! — რიხიანად განაცხადა ბიჭმა. ქალი გამოერკვა.

— პატარა თოვლის პაპას?

— არა... დიდსა და დიდცხვირას! — მხრებში გაიმართა ბიჭი, მუცელი წინ გამოაგდო და ლოყები გამობერა. — აი ასეთს!

— აგრე იყოს, — დაეთანხმა ქალი. — მხოლოდ არ დაგავიწყდეს, ნახშირი გაიყოლე და თვალებიც გაუკეთე, თორემ ვერაფერს დაინახავს.

ქალი მოიხარა, მკლავები შემოჰხვია და ჩაიხუტა. ბიჭი გაუძალიანდა. სძულდა, როდესაც ეფერებოდნენ. მისი აზრით, ამით კაცობას უმცირებდნენ. ხელები მკერდზე ტყუპად მიაბჯინა, წელში გაიზნიქა, დაიძაბა და მოიშორა. განთავისუფლებულმა სწრაფად მოძებნა ტანსაცმელი, ჩაიცვა და ბრახბრუხით დაეშვა კიბეებზე.

გარეთ კვლავ თოვდა.

ქალი სარკმლიდან უყურებდა ნაცრისფერი შენობებით გარშემორტყმულ ეზოს და ბიჭს, რომელიც თოვლის გორგალს ფეხის კვრით ატრიალებდა. მუყაოს სადგომსაც დახედა. ბეღურები კვლავ იქ ისხდნენ, თავჩაქინდრულები და დადუმებულები. მოთმინებით ელოდნენ პატარა ვარდისფერ ხელს. თითქოს უაზროდ რომ ელოდნენ, მიხვდნენო: თითოთითოდ შეფრთხიალდნენ და უხალისოდ გაფრინდნენ სხვენისაკენ.

ლოყებაბრიალებული ბიჭი დაბინდებისას ამობრუნდა სახლში. ხელები მთლად გალურჯებული ჰქონდა, თითები ეწოდა და ატირებას აღარაფერი უკლდა. გამეტებით და სწრაფად უბაკუნებდა ფეხებს იატაკს. ქალი კართან დახვდა, აიტაცა და კალთაში ჩაისვა, მისი ხელები მუჭებში მოიქცია და სულის ბერვა დაუწყო.

ბიჭი ტკივილისაგან აცმუკდა.

— შენ ხომ ვაუკაცი ხარ?! — შეახსენა ქალმა. — ჩემი დიდი ვაუკაცი!

— ჰო... ჰო... უმალ დაეთანხმა მოთმინებადაკარგული ბიჭი. მერე რაღაც გაახსენდა და თვალებში უთვალავი ვარსკვლავი აუციმციმდა.

— როგორც მამა! — დაუმატა მან.

— ჰო, როგორც მამა — ჩურჩულით გაიმეორა ქალმა და ხმაში ბზარი შეეპარა. იმწამსვე, ბიჭს რომ არაფერი შეემჩნია, მკერდზე მიიხუტა და კისერში აკოცა. ბიჭმა თავი გადაიქნია და გულიანად აკისკისდა.

ქალს ცოტა გამოუკეთდა გუნება.

სიცივე იმდენი არაფერი, — გაიფიქრა. — სიცივეს როგორმე მოვერევით. მაგრამ „იმას“ რა მოვუხერხო?.. „იმასაც“ სულის ბერვითა და მოფერებით ხომ ვერ ვაჯობებ?

ბიჭმა კიდევ კარგა ხანს იცინა. შემდეგ კი „მშიაო“, გაუბედავად გამოაცხადა.

ქალს ყველაზე მეტად ამ სიტყვისა ეშინოდა.

— ახლავე!

— რა? — იმედით დაეკითხა ბიჭი.

— ახლავე, — გაუმეორა ქალმა. — მიდი და ახლავე...

ბიჭი თვალის დახამხამებაში ჩამობობღდა დედის მუხლიდან, მაგიდასთან მიბაკუნდა, სკამზე შეხტა და მოლოდინად იქცა.

ქალმა სპილენძის ქვაბიდან ტილოს ნაჭერში გახვეული პურის ნატეხი ამოიღო. მარცხენა ხელით გაზეთს წასწვდა, გაშალა და მაგიდას გადააფარა. პური ზედ დადო და დიდი დანით თხელ ნაჭრებად დაუწყო ჭრა. რატომღაც ხელები უთრთოდა და ვერაფრით ვერ იმაგრებდა აძიგძიგებულ კუნთებს. ზომაზე მეტად ჩქარობდა... პური ტალახიანით იფშვნებოდა, ნამცეცები გაზეთზე ცვიოდა. დანა ხელიდან გაადო, ფრჩხილებით ერთი თავი ხახვიც გაფცქვნა და წვრილ ნაწილებად დააქუცმაცა.

მონდომებით შეუდგა ბიჭი ჭამას. ჯანმრთელი იყო და ყველა კბილი თავის ადგილზე ჰქონდა. უმადობას კი იმ ხანებში არავინ უჩიოდა.

ქალი სკამზე ჩამოჯდა და წიგნი გადაშალა. იდაყვებით მაგიდაზე დაყრდნობილს, ორივე ხელის ნები ყურებზე ჰქონდა აფარებული.

იჯდა მოხრილი, მოტეხილი. ერთი შეხედვით, ჯერ კიდევ ახალგაზრდას ჰგავდა.

ქალი კითხულობდა გასაჭირში ჩავარდნილი კაცისა და ავადმყოფი მგლის ამბავს. დროდადრო სტრიქონები ერთმანეთში ერეოდა. მაშინ თვალებს ხუჭავდა და ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი თითქმის შესაძლებელი იყო.

ამ ბოლო დროს განზრახ ირჩევდა ასეთ მოთხრობებს და დიდხანს, სიტყვასიტყვით კითხულობდა მათ. ადრე ამ ამბებისა არაფერი სჯეროდა. ახლა კი, როდესაც ყველაფერი შეიცვალა, მიხვდა, რომ ცხოვრებაში გაცილებით უარესიც შეიძლება მომხდარიყო.

ძლივს წამოსწია გაბრუებული, დამძიმებული თავი და უაზროდ მიაჩერდა ჭერზე მოქანავე ჩამქრალ ნათურას. „ადამიანები გაცილებით უფრო ძლიერები ვართ, ამაზე გაცილებით უფრო ძლიერები და ამტანები. ოღონდ უკიდურესობამდის სანამ არ მივალთ, ვერ ვხვდებით ამას“...

ჩამობნელდა. ქალი წამოდგა. ჭიქაში ჩადგმული სანთელი აანთო და შვილს გახედა.

ბიჭს თავისით გადაეშალა საბანი და გაუხდელად შეწოლილიყო ლოგინში. ორად მოკეცილი იწვა. მუხლები ნიკაპთან მიეტანა და ზომიერად სუნთქავდა.

ქალი მიუახლოვდა, მოიხარა და დააცქერდა. წამწამები უთრთოდა ბიჭს. ძილში რამდენჯერმე შეკრთა და გაიღიმა.

ვერაფრით ვერ გაეგო ქალს, ვის ან რას უღიმოდა მისი პატარა. კარგა ხანს იტრიალა საწოლის მახლობლად, შემდეგ შემობრუნდა, მაგიდას მიუჯდა და დაწყებული საქმე გააგრძელა.

ბიჭი კვლავ იღიმებოდა, პატარა, კეთილი ადამიანის ღიმილით. ალბათ, სიზმარში ბეღურებს აპურებდა, მუჭები სავსე ჰქონდა ფხვიერი თეთრი ნამცეცებით და ჯიბეებიც პურის ნატეხებით გამოტენა. ბეღურები ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ გრძელ, სწორ მდელოზე, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო. ბიჭიც იქვე, შორიახლო, იდგა და გაოცებული მისჩერებოდა მათ. ასეთი ბეღურები არასოდეს ენახა. მისი ხელის ყოველ აქნევაზე ისინი ფრთხებოდნენ. იფანტებოდნენ და წიოკობით მიფრინავდნენ შორს, ზეცის სიღრმეში. უცნაურები იყვნენ, მსუქნები, ლამაზები და საოცრად მხდალები. მხოლოდ სიზმარში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ისინი ასეთები.

ბიჭი იმდენად გააოცა ამ ამბავმა, რომ წამწამები ააფახულა და თვალები გაახილა.

იმწამსვე წაუხდა გუნება. უხალისოდ შეათვალიერა ნახევრად ჩამობნელებული ოთახი.

მაგიდის კიდესთან გადაშლილ წიგნს თავჩაქინდრული, შუბლზე თმებჩამოშლილი ქალი ჩასჩერებოდა. მარჯვენა ხელის შუა თითი კბილებშუა მოექცია და დროდადრო ეპით ისველებდა.

ზოგჯერ ქალის თვალები მისკენ უცნაურად გაიელვებდნენ. რადგან ბიჭი სიბნელეში იწვა, დედა მის სახეს ვერ ხედავდა. რაღაც არაბუნებრივი და შესაშინებელი იგრძნობოდა მის მზერაში.

ბიჭი ვერაფერს ამხვდა.

კვლავ მოუნდა მხიარულ ბეღურებთან დაბრუნება, დარწმუნებულმა იმით, რომ მათ კვლავ ნახავდა, ნელ-ნელა დახარა ქუთუთოები, გასაღიმებლადაც კი მოემზადა. და, როდესაც წამწამებს შორის მთლად პატარა ფურცლის სისქე ზოლიღა დარჩა, სწორედ მაშინ შენიშნა ის მოძრაობა — გაუბედავი, გამიზნული და ქურდული.

უცებ დაუმრგვალდა და გაუფართოვდა თვალები.

დედა ენით ისველებდა თითს, შემდეგ მისი ხელი თრთოლვით ეშვებოდა დაბლა, მაგიდაზე გაშლილ გაზეთზე... იქ, სადაც პურის ნამცეცები იყო დაყრილი...

ბიჭს სული შეეხუთა.

— „ბეღურები?“ — შიშით გაიფიქრა ერთბაშად გამოფხიზლებულმა.

— „ბეღურები?“ — უნდოდა ეყვირა. მთელი ძალით ჩაისუნთქა ჰაერი. მაგრამ რატომღაც კრინტიც კი ვერ დაძრა. რაღაც ბაბუაწვერასავით მშრალი და ხაოიანი მიებჯინა ყელში. იგრძნო, როგორ გაუშეშდა სხეული.

მოუთმენელი, აუტანელი ტკივილი იგრძნო.

მოითმინა, აიტანა. დედის ყურება კი ვეღარ შეძლო. თავზე საბანი წაიხურა და გაირინდა.

კარგა ხნის შემდეგ, როდესაც მთლად გამოფხიზლდა, ყველაფერს მიხვდა, მისი ასაკის ბავშვისათვის მისახვედრზე უფრო მეტსაც კი, და თავისდაუნებურად ატირდა.

ეს ბიჭის ცხოვრებაში პირველი უხმო ტირილი იყო.

●

იმ ღამეს გადაუღებლად თოვდა.

დილაც ავი და სუსხიანი იყო.

როგორც ყოველთვის, ახლაც ადრიანად მოფრინდნენ ბეღურები. რიგრიგობით დაეშვნენ მუყაოს სადგომზე. თოვლი გადაქექეს, თავები ფრთებში ჩამალეს და მოლოდინად იქცნენ.

ბიჭს ჩვეულებრივზე ადრე გაეღვიძა. იგი პირისახით კედლისაკენ იწვა და ცდილობდა, არაფერზე არ ეფიქრა.

ბეღურები კი ისხდნენ და ელოდნენ. ისხდნენ და ელოდნენ. იქნებ შუადღემდის?.. იქნებ საღამომდის?.. არავინ იცის, არც ის იცის ვინმემ, როდის და საით გაფრინდნენ ისინი.

●

მეორე დღეს არც ერთი აღარ მოფრენილა.



ინჟინერი ვალერიან ქანჩაველი

ამ ასზე ძალიან ბევრი ითქვა. დაიწერა კიდეც.

გამოჩენილი ფეხბურთელისადმი მიძღვნილ მინდია მოსაშვილის შესანიშნავ წიგნში „დიდი მანუჩარი“ საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტების, სხვა უამრავ საქებარსა და მოწონების მაუწყებელ გამონათქვამს გაეცნობით.

1972 წელს პარიზის განახლებულ „პარკ დე პრენსის“ სტადიონის მინდორზე გამართულ პირველ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპური გუნდები. მოთამაშეთა შორის მანუჩარ მაჩაიძეც გახლდათ. სწორედ მან გაიტანა პირველი გოლი და ტრიბუნებზე მსხდომთ უდიდესი სიამოვნება მოჰგვარა.

„მ. მაჩაიძის მიერ გატანილი ბურთი ფანტასტიკური გოლების რიცხვს მიეკუთვნება“, — წერდა მატჩის შემდეგ პარიზის სპორტული გაზეთის ფეხბურთის მიმომხილველი.

თბილისის „დინამოს“ კაპიტანმა უამრავ საერთაშორისო შეხვედრაში გამოიჩინა თავი და დახვეწილი, რაინდული თამაშით მოხიბლა ფეხბურთის აღიარებული სპეციალისტები. მის საფეხბურთო ოსტატობას ქებას ასხამდნენ უცხოეთის ცნობილი გაზეთები.

— ასე მგონია, საუკეთესო მატჩი მაინც ვერ ვითამაშე, — ამბობს ფეხბურთელი. — ოცნებად მქონდა, ისე მეთამაშა, ერთხელაც არ შევმცდარიყავი. გგონებ, სწორედ ასე ვითამაშე თბილისში, მილანის „ინტერნაციონალესთან“ შეხვედრის პირველ ნახევარში. ამაში მერე ნანახმა ვიდეოფირმა დამარწმუნა. ასეთი შემთხვევა ძალზე ცოტა მქონდა, რადგან უმეტესწილად სხვა საზრუნავით ვიყავი ხოლმე დაკავებული. როგორც გუნდის კაპიტანს, სხვა მოთამაშეების სწორი თამაშისთვისაც უნდა მეფიქრა. არც მსაჯი უნდა დამრჩენოდა უყურადღებოდ. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელი დღენიადაგ ბურთთან უნდა იყოს, გულმოდგინედ ხვეწდეს ოსტატობას, რათა სიამოვნებამიღებულმა მაყურებელმა მოწონების ტაშით უპასუხოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მინდორზე არ უნდა გამოხვიდე. ჩემდამი გულშემატკივართა ოდნავი განელება და რწმენის დაკარგვა რომ მეგრძნო, უმალ თავს დავანებებდი თამაშს...

ეს ასე არ მომხდარა, მაგრამ მანუჩარ მაჩაიძე ფეხბურთიდან მაინც წავიდა, დატოვა მწვანე მოედანი, რადგან ამისი აუცილებლობა ასაკმა გადააწყვეტინა. ძნელი და მტკივნეული იყო თამაშისათვის თავის დანებება, მაგრამ ფეხბურთის დიდოსტატს „განაჩენი“ საკუთარი თავის მიმართ უკვე გამოტანილი ჰქონდა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთმა ვარსკვლავმა ღირსეულად დატოვა საფეხბურთო მოედანი.

ერთი დღე ჯორის კეტჩერლინკოთან

ბაცილებით უფრო იოლი საქმეა რომის პაპთან აუდიენციაზე მოხვედრა, ვიდრე მეტერლინკის ნახვა მისსავე სახლში. იგი თითქმის არ ჩამოდის პარიზში, სულ დიდი ოთხიოდე კვირა თუ გამოუვა წელიწადში. დანარჩენ დროს ზამთრობით ნიცახა და ზაფხულობით წმ. ვანდრილის საბანატოში ატარებს. აქ უფრო ადვილია ხალხისათვის თავის არიდება.

სენტ-ვანდრილის საბანატო ტურისტების მიერ აკლებული შარაგზიდან კარგა მოშორებით მდებარეობს, მთლად მწვანეშია ჩაფლული და ცოტა ვინმეს თუ მოუვა აზრად, რომ ამ ხამონახტრო ნაგებობის კედლებში თანამედროვეობის უდიდეს მწერალს დაუდვია ბინა.

ნიცაში სულ სხვაგვარად არის საქმე. მთელი ეს ინტერნაციონალური ბრბო, რომელსაც ძირითადად გერმანელები და ინგლისელები შეადგენენ, ყოველდღე, გათენდება თუ არა, გვიან საღამომდე დაბორიალებს დიდი მწერლის ვილასთან და ეს უკანასკნელიც ზოგჯერ იძულებული ხდება, ავტოგრაფებით გააბედნიეროს მრავალი მათგანი და ინტერვიუზეც დაბეჯაულდეს.

მეტერლინკის სანუკვარი ოცნება კი ამ მომაბეზრებელ თაყვანისმცემელთაგან დაზღვეული, უშფოთველი და წყნარი ცხოვრებაა. და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მის მსახურთუხუცესს ერთხელ და სამუდამოდ დავალებული აქვს, უკლებლივ ყველა დაუპატიჟებელ სტუმარს განუცხადოს: „ბატონი შინ არ გახლავთ“. მაგრამ თავისი ბატონისგანვე მან იცის კარგად იცის, ვინ უნდა შეუშვას შინ და ვინ არა.

უახლოეს მეგობრებს თავიანთი გასაღებები აქვთ, რომლებითაც ისინი ბაღის პატარა, შენინღბულ კარს აღებენ და ისე შედიან, რომ მსახურთუხუცესის დაბალ ფანჯრებთან გავლა არც კი უწევთ. მაგრამ ასეთ გასაღებს ძალზე ცოტა ვინმე თუ ფლობს, სულ ექვსიოდე კაცი, იქნებ არც კი.

მე დიდი ხნის არყოფნის შემდეგ ისევ მივუბრუნდი რივიერას და მეტერლინკს ბარათით შევატყობინე, რვა დღე ვიქნები მონტე-კარლოში-მეთქი. მეორე დღეს მაგიდაზე კონვერტი დამხვდა თავისებური გრიფით, თითქოს მწერალს კალმის ნაცვლად რაღაც ჯადოსნური ბეჭედი ეხმაროს.

მეტერლინკი მატყობინებდა, რომ შემეძლო, ვწვეოდი მას და რომ ჩემთან სხვადასხვა საგანზე საუბარი სურდა, თან იქვე უმატებდა, ამას ყველაზე უკეთ ჭიქით ხელში მოვახერხებთო.

თავისთავად გასაგებია, რომ მე დაუყოვნებლივ თანხმობა შევუთვალე. როგორც იქნა, ვეღირსე მორის მეტერლინკის ხილვას პარიზიდან მოშორებით, მისსავე ბინაში, მის საკუთარ გარემოცვაში, ერთი სიტყვით, მის საკუთარ სტიქიაში. უკვე ორი წელი იქნებოდა, რაც მას არ გავხუმრებივარ და ახლა ბავშვივით გავიხარე, როცა მასთან რამდენიმე საათით ყოფნის იმედის ხსივი ჩამწვდა გულში, და რას წარმოვიდგენდი, რომ ეს რამდენიმე საათი მთელ დღედ გადაიქცეოდა.

ნიცაში ჩასვლისთანავე გეგმების დალაგებას შევუდექი. იქ, სადაც ბულვარი პრომენად დეზ ანგლეზ თავდება, სათავეს იღებს უცნაურად დახლართული ვიწრო ქუჩა და აღმა მიემართება. სულ ზემოთ, თუ კარგად დაძებნით, დაგხვდებათ აღმოსავლური ყაიდის ალაყაფი ზედწარწერილი სიტყვით „ფუტკრები“. ალაყაფს უკან ხშირი ბუჩქნარი ხარობს, რომელსაც მარაოსებრი პალმები თავს წამოსდგომიან — თვით ხახლისა კი არავითარი ნიშანწყალი არ მოჩანს.

მეორეჯერ რომ დავრეკე, მსახურთუხუცესი გამოცხადდა და ხახეზე შევატყვე, მზად იყო, თავისი გაზეპირებული „ბატონი შინ არ გახლავთ“ შემოეგებებინა ჩემთვის. საბედნიეროდ, თან მქონდა მოსაწყენი ბარათი და, როგორც კი ამ ცერბერის მზერა ჩემს გოროზ გამოხედვას შეეხალა, უმალ გონს მოეგო, წინ გამიძღვა და აღმა მავალი ბილიკებით დიდხანს მატარა, ვიდრე საბოლოოდ ერთ ფართო ქვის კიბეს არ მივადექით, რომლის თავზე ჩემკენ ხელგამოწვდილი მორის მეტერლინკი იდგა.

ჩემს შეკითხვაზე, როგორ გიკითხოთ-მეთქი, მან მომიგო: „როგორც ხედავთ, ვბერდები!“

ეს წმინდა წყლის კეკლუცობა გახლდათ. შორიდან იგი თავისი შეფერცხლილი თმით, ხუფთად გაპარსული სახით რომელიმე ჭარმაგ სახულიერო პირს გაგახსენებთ, მაგრამ ახლოს რომ მივედი, მეგონა, წინ ოცდაათიოდე წლის ჯანღონით სავსე ახალგაზრდა მამაკაცი მიდგას-მეთქი. მის ერთგვარ მიდრეკილებას ტანსრულობისადმი ჭაბუკური აღნაგობისათვის დაეთმო ადგილი. მისი უწინდელი, ოდნავ დუნე, მოძრაობა ახლა სხარტ მიხვრა-მოხვრად გადაქცეულიყო, ზღვის ჰაერზე გარუჯულ სახეს არავითარი ნაოჭი არ ანშნდა და როგორც კი თავისი ჭაღარა თმა უკან გადაიყარა, თვალწინ ვაჟკაცური იერის ჭაბუკი დამიდგა:

— თუ თქვენ ამას დაბერებას უწოდებთ... ის მაინც გამაგებინეთ, რარიგ შესძელით ეს ოდენი ცვლილების მოხდენა?

— ხიამოვნებით გაგანდობთ მაგ საიდუმლოებას... ოღონდ ჯერ ცოტა წავიხემსოთ.

სუფრა დაბლა, ღია ვერანდის ძირში იყო გაშლილი. თუ კალენდარს დავუჯერებდით, თებერვლის მეოთხე დღე იდგა, მაგრამ მაინც თავისუფლად შეიძლებოდა მაგიდას ციხქვეშ, სუფთა ჰაერზე მივახდომოდით. ლურჯად გაჩახჩახებულ ცაზე ღრუბელი არ ჩანდა და მზე ისეთი ძალით დაგვნათოდა თავზე, რომ იძულებულნი გავხდით, ქუდები დაგვეხურა.

სულ სამნი ვიყავით — მეტერლინკი, ერთი მისი ძველი მეგობარი და მე. ხაკმაოდ ბლომად გამოვცალეთ ფრანგული და იტალიური ღვინის ჭიქები. სუფრაზე მახპინძელმა აღნიშნა, რაოდენ ბედნიერებას ანიჭებდა მას ამ ზამთარს სამხრეთში ყოფნა:

— ველარ ვიტან ზამთრის მოქურუხებულ, ნისლიან დღეებს. გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ენაზე ელაპარაკები მასწავლებელს?



— ისწავლე, შე სასიკვდილე, ისწავლე.... კარგად ისწავლე.

...ბა

იდგა 1982 წელი.

ფეხბურთისადმი ხარკმოხდილმა, თაყვანისმცემელთა სიყვარულით პატივმიგებულმა ადრევე არჩეული პროფესიით განაგრძო ცხოვრება. საშუალო სკოლის ოქროსმედალოსანმა 1967 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე და საფუძვლიანად დაეუფლა მშენებელი ინჟინრის რთულ პროფესიას. მისმა სადიპლომო ნამუშევარმა სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრთა მოწონება დაიმსახურა. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ფეხბურთის დიდოსტატი, ჭადრაკის ჩინებულად მოთამაშე, ლიტერატურისა და მუსიკის მცოდნე, ხატვის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა კაცი თავისუფლად, უნარიანად დასძლევდა მინდობილ სამუშაოს. ეს ნათლად გამოჩნდა იმ ერთი წლის მანძილზე, როცა მანუჩარ მაჩაიძე ტრესტ „საქკურორტმშენის“ მომარაგების სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა.

1983 წლიდან იგი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტში გადაიყვანეს მმართველის მოადგილედ.

მისი სამუშაო ოთახი რკინიგზის სამმართველოს შენობის მეხუთე სართულზეა. შეხვალთ თუ არა, უმალ თვალში მოგხვდებათ სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილისათვის ესოდენ საჭირო წიგნები, ნახაზები, საქმიანი ქაღალდები.

კედელზე ამიერკავკასიის
სელილი საქართველოსა და
კაა გაკრული, რომელზეც ა
ლიკაში დასახელებული
მშენებარე თუ სამომავ
წინებული ყველა ობ

— მშენებლობა
გია, — მეუბნება
თა ნახელავმა წ
ამიტომაც მათი ნა
და უკიდურესად
— დრო. ნაგებობა
და მოხერხებულიც.
მტკიცე, რადგან დრო

ტრესტის კოლექტი
ბის სამშენებლო-სარ
ასრულებს საქართველ
რკინიგზელ მშენებელ
რად და ლამაზად აგე
ლი სახლები და საბა
ლები, სპორტული კ
მყოფოები, კულტურუ
წესებულებები, სავაჭრ
ვრები მომსახურების
კლინიკები... და, რაღ
კინიგზო ხაზები, ხიდ
დეპოები, სხვა უამრავ
ბობა. ერთი სიტყვით,
სადღეისო ყოფა-ცხო
განკუთვნილი.

— სტადიონებს ა

— როგორ არა. ა
კომოტივის“ სტადიო
ტრიბუნების მისაშ

საგულეს აღარ მაქვს ხოლმე, გარეთ გასვლის ხალისი მთლიანად მიქრება. ვზივარ მთელი დღეობით და მივჩერებივარ მოუამულ გარემოს. აქ კი ნახევარ საათსაც ვერ ვუძლებ შინ ჯდომას, ბაღშიც ვმუშაობ, სასეირნოდაც გავდივარ, ჩემს მანქანასაც ვატარებ, კრიკეტსაც მივდევ... დიახ, კრიკეტიც მიყვარს. და თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, რა საამოვნების მომნიჭებელია კრიკეტი. აგერ, იქ, პალმების ქვეშ, საკრიკეტო მოედანიც გავმართე, და რაკი ამ მხარეში წვიმა თითქმის არ იცის, შემიძლია, ჩემს საყვარელ სპორტს მთელი არსებით მივეცე.

— მერედა, ყოველივე ეგ არ გეღლით?

— პირველად კი, როგორ არა, აგრეც იყო. მაგრამ ახლა... შედეგსაც ხომ ხედავთ. აღარც ღიპი, აღარც ღაბაბი, ყველაფერი გამიქრა. გარდა ამისა, კრიკეტი ადამიანს ისეთ რწმენას უნერგავს საკუთარი თავისადმი, როგორც არც ერთი სხვა სახე ტანვარჯიშისა. მე ჩემზე ღონიერ, მაგრამ არაპროფესიონალ მოკრიკეს ხუთ წუთში ნოკაუტში ჩავაგდებ. აფსუს, რომ აქ არ არის კარპენტიერი, თორემ ვუჩვენებდი, როგორ უნდა კრიკეტი.

შემდეგ ისიც დაუმატა, რომ თავმჯდომარეობდა ნიცაში გამართული კრიკეტის თითქმის ყოველ მატჩს და დაუნებებით მირჩია, შინდაბრუნებისთანავე შევდგომოდი კრიკეტის შესწავლას.

შავი ყავის დასალევად ბაღში გავედით.

ჩვენს წინ ლაღად გადაიშალა ლურჯად მოლივლივე ანგელოსთა ყურე, რომლის ფონზეც ანტიბი, ეს პატარა ქალაქი, და მის უკან ესტერელის მთები აღმართულიყვნენ.

მე რამდენჯერმე ვცადე, საუბარი ლიტერატურაზე ჩამომეგდო, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მეტერლინკს ისე არაფერი სძაგს ამქვეყნად, როგორც კონკრეტულ საგნებზე ლაპარაკი მოცლილობის ჟამს. სპორტი, ავტომობილები და სხვა მისთანანი, კი, ბატონო, რამდენიც გაგეხარდებათ, ცოტაოდენი იქნებ ჭორაობაშიც აგყვეთ.

ყოველივე ამას სიამოვნებით მოგისმენთ, მაგრამ როგორც კი ვინმე მის წიგნებზე ჩამოუგდებს სიტყვას, არაჩვეულებრივი ტაქტით წარმართავს საუბარს სულ სხვა მიმართულებით. გიამბობთ რაიმე საავტომობილო მარცხის ან თავისი ბებერი ბულდოგის გოლოს ოინბაზობის ამბავს, ან სულაც ახალი თეატრალური დადგმის შესახებ. მე კი მოსვენებას არ მაძლევდა დაუოკებელი სურვილი, შემეტყო, როგორ შეხვდა იგი იმ ფაქტს, რომ რომის პაპმა მისი ნაწარმოებები ეკლესიის მიერ აკრძალული წიგნების სიაში შეიტანა.

ნამდვილი ინდიელის შესაფერი ცბიერებით შეუმჩნევლად ვეპარებოდი ამ თემას და თანდათან ისე ვუჭერდი სალტეს ჩემს მახპინძელს, რომ ბოლოს და ბოლოს იგი იძულებული გახდა, ამყოლოდა ლაპარაკში:

— არავითარი საბაბი არ გამაჩნია ტრაგიკულად აღვიქვა ეგ ამბავი. პირიქით, მართობს კიდეც. წმ. ვანდრილის საბაბატო რომ ვიყიდე, პაპმა თავისი კურთხევა მიწყალობა. ახლა კი

...ოსა ...ოვადე-
ქით, გესლიანად ჯითხე:

— ეს არ განიჭებთ სიამოვნებას?

მან ენით აუწერელი მზერა მტყორცნა. მერე ხალისიანი, თითქმის ბავშვური სიცილი აიტეხა. ხელი მაგრად ჩამომართვა, როგორც ეს რინგზე მდგომ გამარჯვებულ მოკრივეს შეუძლია მხოლოდ. მანქანა მოატრიალა... და მორის მეტერლინკი მტვრის კორიანტელმა შთანთქა...

გერმანულიდან თარგმნა
ბიორბი ჯაგაშვილმა



ინ
ქა
ეპ
ქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ ასზე ძალიან ბევრი ითქვა. დაიწერა კიდეც.

გამოჩენილი ფეხბურთელისადმი მიძღვნილ მინდია მოსაშვილის შესანიშნავ წიგნში „დიდი მანუჩარი“ საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტების, სხვა უამრავ საქებარსა და მოწონების მაუწყებელ გამონათქვამს გაეცნობით.

1972 წელს პარიზის განახლებულ „პარკ დე პრენსის“ სტადიონის მინდორზე გამართულ პირველ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ოლიმპური გუნდები. მოთამაშეთა შორის მანუჩარ მაჩაიძეც გახლდათ. სწორედ მან
ლი და ტრიბუნებზ
სიამოვნება მოჰგვარა
„მ. მაჩაიძის მიე
ფანტასტიკური გო
თვნება“, — წერდ
ზის სპორტული გ
მომხილველი.

თბილისის „დინა
საერთაშორისო შ
თავი და დახვეწილ
მოხიბლა ფეხბურთ
ციალისტები. მის სა
ბას ქებას ასხამდნენ
ლი გაზეთები.

ერთი დღე ჯორ

ბ აცილებით უფრო ოლი საქმეა რომის პაპთან აუდიენციაზე მოხვედრა, ვიდრე მეტერლინკის ნახვა მისსავე სახლში. იგი თითქმის არ ჩამოდის პარიზში, სულ დიდი ოთხიოდე კვირა თუ გამოუვა წელიწადში. დანარჩენ დროს ზამთრობით ნიცახა და ზაფხულობით წმ. ვანდრილის ხაბატოში ატარებს. აქ უფრო ადვილია ხალხისათვის თავის არიდება.

სენტ-ვანდრილის ხაბატო ტურისტების მიერ აკლებული შარაგზიდან კარგა მოშორებით მდებარეობს, მთლად მწვანეშია ჩაფლული და ცოტა ვინმეს თუ მოუვა აზრად, რომ ამ ხამონასტრო ნაგებობის კედლებში თანამედროვეობის უდიდეს მწერალს დაუდვია ბინა.

ნიცაში სულ სხვაგვარად არის საქმე. მთელი ეს ინტერნაციონალური ბრბო, რომელსაც ძირითადად გერმანელები და ინგლისელები შეადგენენ, [illegible]ილდღე, გათენდება თუ არა, გვიან ბელ სტუმარს განუცხადოს: „ბატონი შინ არ გახლავთ“. მაგრამ თავისი ბატონისგანვე მან ისიც კარგად იცის, ვინ უნდა შეუშვას შინ და ვინ არა.

უახლოეს მეგობრებს თავიანთი გასაღებები აქვთ, რომლებითაც ისინი ბაღის პატარა, შენიღბულ კარს აღებენ და ისე შედიან, რომ მსახურთ-უხუცესის დაბალ ფანჯრებთან გავლა არც კი უწევთ. მაგრამ ახეთ გახადებს ძალზე ცოტა ვინმე თუ ფლობს, სულ ექვსიოდე კაცი, იქნებ არც კი.

მე დიდი ხნის არყოფნის შემდეგ ისევ მივუბრუნდი რივიერას და მეტერლინკს ბარათით შევატყობინე, რვა დღე ვიქნები მონტე-კარლოში-მეთქი. მეორე დღეს მაგიდაზე კონვერტი დამხვდა თავისებური გრიფით, თითქოს მწერალს კალმის ნაცვლად რაღაც ჯადოსნური ბეჭედი ეხმაროს.

მეტერლინკი მატყობინებდა, რომ შემეძლო, ვწვეოდი მას და რომ ჩემთან ხვადასხვა საგანზე საუბარი სურდა, თან იქვე უმატებდა, ამას ყველაზე უკეთ ჭიქით ხელში მოვახერხებთო.

თბილისში ხმა დაირხა, რუსთაველის პროსპექტზე, მხატვრის სახლში, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე ხალხის საყვარელი მხატვარი-კარიკატურისტის, სიცილის აღიარებული დიდოსტატის გიგლა ფირცხალავას ნამუშევართა გამოფენა გაიხსნებაო. მართლაც, დათქმულ დროს მხატვრის უამრავი თაყვანისმცემელი მოზღვავდა, რომ მონაწილეობა მიეღო გამოფენის საზეიმო გახსნაში და დამტკბარიყო ღიმილის, სიცილისა და, წარმოიდგინეთ, ხარხარის მომგვრელი მრავალი ნახელავით. მას შემდეგ, მთელი თვის მანძილზე, დამთვალიერებელთა ნაკადს ბოლო არ უჩანდა.

განსაკუთრებით შეინიშნებოდა სიმრავლე ახალგაზრდობის, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებისა და სამხატვრო სასწავლებლების აღსაზრდელებისა. მათთვის გიგლა ფირცხალავას ბრწყინვალე გრაფიკული შემოქმედება, ახალი ხილია: გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა სათავე ხომ ჩვენი საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დაიდო და იბეჭდებოდა პერიოდიკის სხვადასხვა ორგანოთა, განსაკუთრებით ჟურნალ „ნიანგის“ ფურცლებზე.

გიგლა ფირცხალავას თვალით დანახულმა ჩვენი ყოფის ამსახველმა ნახატებმა და ცნობილ საზოგადო მოღვაწეებზე — მწერლებზე, მეცნიერებზე, მუსიკოსებსა და სპორტსმენებზე შექმნილმა მეგობრულმა შარჟებმა, დამთვალიერებელთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ვიმედოვნებთ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოფენაზე ჩვენს მიერ საგანგებოდ შერჩეული ეს ნახატები არა მარტო ღიმილს მოჰგვრის ჩვენს მკითხველს, არამედ ღრმად ჩააფიქრებს კიდეც.

დავით გუჯუკაშვილი.

მე-5 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. აგრეგატი; 4. ბლინდაჟი; 7. ფაუნა; 8. ესქილე; 9. პლეადა; 10 ერერა; 15 ობიექტი; 16. იუფშარა; 17. აგნოზია; 18. ვიკუნია; 23. თალია; 25. ალთუნი; 26 ვაგიფი; 27. დაშნა; 28. აბილაური; 29. ინტარსია.

შვეულად: 1. ალფრესკო; 2. გოდოლი; 3. იმანდრა; 4. ბენუარი; 5. ნიპელი; 6. იზოლაცია; 11.დიანა; 12. იტრია; 13. თუთია; 14. დალნი; 17. არკატურა; 19. ამნისტია; 20. კაშხალი; 21. გიგანტი; 22. ანემია; 24. დარაია.

გარეკანის პირველ გვერდზე: დილა მუვიდოგისა! გარეკანის მეოთხე გვერდზე: ვაზის ყვავილობა. ფოტოები ბონდო დვალიშვილისა.

გადაეცა წარმოებას 20.04.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.06.88. უე 09356 ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 46000 შეკვეთა 1053. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.

Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42. 99-01-39, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიგლა ფირცხალავა

— რა ენაზე ელაპარაკები მასწავლებელს?

— ახი გრამი ძეხვის ხაყიდლად ხუთნი მოხვედით?
— რა ვქნათ, ძია, დედამ გვითხრა, ერთმა ხელებში უყურეთ, მეორემ ფეხებში, მესამემ ხასწორს, დანარჩენებმა კარგად დათვალეთ ხურდაო.



— ისწავლე, შე სასიკვდილე, ისწავლე... კარგად ისწავლე.

— ნუ გეშინია, შვილო, დედაა შენი!



ხაბავშვო ბალში

— ქალბატონო პელო, ტელეფონზე გთხოვენ!
— არ აცლიან ადამიანს, რომ ბავშვებს ჭამა ვასწავლოთ!

6 /118
ინდექსი 76056
ეროვნული ბიბლიოთეკა